ISSN 1512 - 4649

# ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№3 2016 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საკანონმდებლო სიახლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები

## ჟურნალი “ახალი ეკონომისტი” რეფერირდება:

სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში “ქართულ რეფერატულ ჟურნალში”.

## აღიარებულია რეფერირებულად:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი,ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ქ. მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ასტანა).


მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: economist_n@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge


## The Magazine “Akhali Ekonomisti” (New Economist) IS REVIEWED:

In “Georgian Reviewed Magazine” – P.L.L.E. Iinstitute of Techinform

## IS KNOWN AS REVIEW BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).


ADDRES: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia
tel.: +995 (32) 2 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: economist_n@yahoo.com
veb-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №3(42), 2016



ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

## სარედაქციო კოლეგია:

### მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბესაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზეტა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელგუჯა ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა გელაშვილი; სიმონ გელაშვილი; რევაზ გველესიანი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ გოგოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი,გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი,უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მერაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე; კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ჰერალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაგვილავა; რევაზ ლორთქიფანიძე; ქაბილ მანაფოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მექვაბიშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანია (თბილისის მერი); თედო ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სართანია (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; თამარ შუდრა; ფაია შულენბაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი) მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხადური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; მერაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯგერენაია (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი. ნანა ჯღარკავა.

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2016წ.
© გამომცემლობა „ლოი“


ფასი 5 ლარი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ნ

# The New ECONOMIST

**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED 3(42), 2016**

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board, Doctor of Busines Administration, Professor, Chairman of the Council of Scientists of Georgia; Academician, Member of the Presidium of the Georgian Academy of Business Sciences. Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

**EDITORIAL BOARD**

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business"); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucassus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; REVAZ LORDKIPANIDZE; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Mayor of Tbilisi); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering"); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; TAMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University)MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia"); MICHAEL JIBUTI. NANA JGHARKAVA.

## რედაქტორის გვერდი

ჩემი „ოცნება“ რეალური საქართველოსათვის და ბრძოლა უკეთესი საქართველოსათვის . . . . . . . 7

## მეცნიერება

ზაირა ღუდუშაური, მანანა ხარხელი - საქართველოს კერძო სექტორის საფინანსო კავშირები ევროპასთან ხელმისაწვდომია . . . . . . . . . . . . . . . 9

ეკა ლეკაშვილი, მარიამ ბიწაძე, ქეთევან ჯიქია - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ: ჩეხეთი . . . . . . . . . . 13

რევაზ ლორთქიფანიძე - ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედი ფაქტორები და ეკონომიკის გადაუდებელი ამოცანები 2017-2020 წლებისა და გრძელვადიანი სტრატეგიისთვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 24

ნასყიდა დარბუაშვილი – შეცდომები კარლ მარქსის თეორიებში, შრომა და შრომის ექსპლოატაცია, რა ვერ გათვალა კარლ მარქსმა . . . . . . . . . . 28

ჯუსტან ბოკუჩავა - ელექტროენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირების საზღვარგარეთული გამოცდილება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 37

ირაკლი კოღუა - ინტერნეტით აზარტული თამაშები – „შავი“ ფულის შოვნისა და „გათეთრების“ ახალი გზა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 41

არტურ პოკრიკიანი - ფინანსური განათლება და დანაზოგებთან დაკავშირებული პრეფერენციები: კვლევა სომხეთის რეგიონების მაგალითზე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 45

ნარეკ მკრტჩიანი - სამომხმარებლო კრედიტების გავლენა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე: სომხეთის მაგალითი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 51

ლაშა მგელაძე - კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ასპექტები საქართველოში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 56

სიმონ ზაქარაია - ცოტა რამ ევკალიპტის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 67

## სტუდენტური ხედვა

ეკატერინე ლომია - ენობრივი ბარიერის პრობლემა საერთაშორისო კომუნიკაციაში . . . . . . . . . . 78

## მართვის ახალგაზრდული სკოლა

მაია ომიაძე - კორპორაციული მართვის ხარვეზები ქართულ კანონმდებლობაში . . . . . . . . . . . . 86

## ჩვენი სახელოვანი თანამემამულეები

ომარ შუღრა, ნანა ლომიძე - აკადემიკოსი ილია ვეკუა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 89

ანონსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 91

## წერილი რედაქციას

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 94

## CONTENTS


**EDITORIAL PAGE** .......... 7

**SCIENCE**

**Zaira Ghudushauri, Manana Kharkheli** - Financial cooperation of Georgian private sector with Europe is feasible. . 9

**Eka Lekashvili, Mariam Bitsadze, Ketevan Jikia** - Challenges of Economic Policy of Visegrad Countries after ning EU: Czech Republic .......... 13

**Revaz Lordkipanidze** - The Factors of a Duration of Human life and the Significant Tasks of Economy for 2017-2020 Years and a Long-term Strategy .......... 24

**Naskida Darbuashvili** - Errors in the Karl Marx's theories of labor and labor exploitation, could not predict what Karl Marx? .......... 28

**Justan Bokuchava** - Foreign experiens of regulating electric pover supply by the state .......... 37

**Irakli Koghua** - Online gambling – a new tool for making black money and money laundering .......... 41

**Arthur Pokrikyan** - Financial literacy and saving preferences: a study from rural areas of Armenia .......... 45

**Narek Mkrtchyan** - Impact of consumer loans on real GDP growth: Case of Armenia .......... 51

**Lasha Mgeladze** - Aspects of practical implementation of the competition policy in Georgia .......... 56

**Simon Zakaraia** - About eucalyptus .......... 67

**STUDENT'S VISION**

**Ekaterine Lomia** - The issues of language barriers in international communication .......... 78

**THE YIUTH SCHOOL OF MANAGEMENT** .......... 86

**OUR FAMOUS COUNTRYMEN** .......... 89

**ANNOUNCEMENT** .......... 91

**LETTER TO EDITOR** .......... 94

# ჩემი „ოცნება“ რეალური საქართველოსათვის და ბრძოლა უკეთესი საქართველოსათვის



4 წლის წინ, როცა „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, მე დავწერე ასეთი სტატია - „ჩემი „ოცნება“ ახალი საქართველოსათვის“ (ჟურ. „ახალი ეკონომისტი“, #4, 2012). ის შემდეგ გახდა მოხსენება ბიზნესისმეცნიერებათააკადემიაში(დაიბეჭდაამავე აკადემიის გაზეთში „საქართველოს დედაქალაქი“, #114, 2013, და ამავე აკადემიის ჟურნალში „მოამბე“ #19, 2013) და იქ წამოყენებული იდეები უფრო გავაღრმავე ბროშურაში - „ბიზნესგარემოს განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ („ლოი“, თბ., 2013). ყველგან ვაფიქსირებდი, რომ უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ისეთი ფუძემდებლური, ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა:

1. ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება ფართო საზოგადოების მონაწილეობით. (ეს იდეა უფრო ადრე დავაფიქსირე გაზეთში „სამართლიანები“, #1, 2006);

2. მაქსიმალურად სამართლიანი და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება სახელმწიფო მართვაში.

ბევრი რამ გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე. თუნდაც მარტო ისეთი მასშტაბური პროექტები ავიღოთ, როგორიცაა სამედიცინო დაზღვევა, ან სოფლის მოსახლეობისთვის ხვნა-თესვაში დახმარება და ა.შ., მაგრამ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებას, განურჩევლად მისი პარტიულობისა და კვალიფიციურობისა, აუცილებლად სჭირდება მეცნიერთა კვლევების, ანალიზის, დასკვნებისა და ხედვების გათვალისწინება, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე წინასწარ დადებენ ობიექტურ და კვალიფიციურ დასკვნას. ხელისუფლების მხრიდან მეცნიერული დასკვნების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებით უფრო მეტის გაკეთებაა შესაძლებელი, რომელიც უფრო სასარგებლო იქნება საზოგადოებისათვის, დემოკრატიისათვის, ადამიანის თავისუფლებისათის.

ამასთან, არის შემთხვევები, როცა ხელისუფლების სახვადასხვა შტოსა და დონის ჩინოვნიკები ნებსით თუ უნებლიედ უშვებენ შეცდომებს. არ არის გამორიცხული, რომ ზოგ შემთხვევაში ეს ხდებოდეს შეგნებულად, როგორც ოპონენტები ამბობენ, ანუ დანაშაულებრივად. მართალია, „ოცნების“ ხელისუფლებამ თვითონვე გამოავლინა და აღკვეთა არაერთი დანაშაული, რომელიც სახელმწიფო ჩინოვნიკების მხრიდან იქნა ჩადენილი, მაგრამ უამრავი პრობლემაა, რომელსაც დღემდე არ ან ვერ გაეცა საკადრისი პასუხი. არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო მოხელეები და მაღალი თანამდებობის პირები ავლენენ არაკომპეტენტურობას, რაც მათ გადაწყვეტილებასა და შედეგებზე აისახება ხოლმე. აქ საუბარი არ არის მხოლოდ მთავრობისა და სამთავრობო სტრუქტურების მუშაობაზე, არამედ მთლიანად ხელისუფლების ყველა შტოზე და დონეზე (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო, ადგილობრივი თვითმმართველობები).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩვენ, მეცნიერთა ჯგუფმა და თანამოაზრეებმა გადავწყვიტეთ, რომ შევქმნათ მეცნიერთა, ანუ მაღალკვალიფიციურ და პროფესიონალ ადამიანებთა ჯგუფი, რომელიც ბიუჯეტიდან დაფინანსების გარეშე იმუშავებს ქვეყნისათვის აუცილებელ და საზოგადოებისათვის აქტუალურ პრობლემატიკაზე, კვალიფიციურად შეისწავლიან საკვლევ ობიექტს, მეცნიერული მეთოდებით

გააანალიზებენ მას და შესაბამის დასკვნას დადებენ, რომელსაც გააცნობენ საზოგადოებას, ხოლო შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურას წარუდგენენ ადექვათურ რეკომენდაციებს. სხვათა შორის, ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI შექმნა მეცნიერთა დასი - „სწავლულ კაცთა კომისია", რომელიც ფაქტობრივად რჩევებს აძლევდა მეფეს.

აქედან გამომდინარე ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ და ოფიციალურად დავარეგისტრირეთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „საქართველოს მეცნიერთა საბჭო", რომლის მიზანია:

- ხელშეწყობა საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში ყველა დონის ხელისუფლებისათვის;
- მეცნიერული კვლევების საფუძველზე ქვეყნის სტრატეგიის შემუშავება და სრულყოფა ფართო საზოგადოების მონაწილეობით;
- საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებზე მეცნიერული კვლევების ჩატარება, ყოვლისმომცველი ანალიზისა და დასკვნების გაკეთება, შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შეთავაზება ხელისუფლების ნებისმიერი დონისა და შტოსათვის;
- საზოგადოების ფართო მასებისთვის აუცილებელ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაში ხელშეწყობა;
- პროგრესული ინოვაციების წახალისება და ხელისშეწყობა;
- ახალგაზრდებისათვის პროფესიული და სპეციალური სწავლა-განათლების მიღებაში ხელშეწყობა ტრენინგ-კურსების ჩატარებითა და სხვა კანონით დაშვებული ფორმებით;
- ბიზნესის დაწყების მსურველთათვის ხელის შეწყობა შესაბამისი პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;
- საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია: ეკოლოგიასთან; სასურსათო უსაფრთხოებასთან; ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან; დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასთან, გამჭვირვალობასთან და ა.შ.

როგორი იქნება ჩვენი მუშაობის სტილი და ფორმა?

ჩვენ ვითანამშრომლებთ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, ვინც კი ხელს შეგვიწყობს დასახული მიზნის რეალიზებაში. ამისათვის ჩვენს საბჭოში ვაწევრიანებთ ყველა მეცნიერს, რომელსაც აქვს სურვილი, ჩვენთან ერთად დაამუშაოს იდეები, წინადადებები, რეკომენდაციები ქვეყნის ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში.

ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვისთვისაც მისაღებია ჩვენი წესდების პრინციპები.

ამასთან, ჩვენი მიზანი არ არის ხელისუფლების კრიტიკა და მიტინგებით ვაიძულოთ გადაწყვეტილების მიღება. ჩვენ ვდებთ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომელსაც წარვადგენთ საზოგადოებისა და მთავრობის წინაშე. კიდევ ერთხელ ან მრავალჯერ განვიხილავთ დაინტერესებულ პირებთან თუ ორგანიზაციებთან ერთად, ვიმსჯელებთ საჯაროდ, დიალოგისა თუ დებატების სახით, პირისპირ თუ მასმედიის საშუალებების მონაწილეობით, რათა მივიდეთ ერთიან აზრამდე, თითოეული მნიშვნელოვანი საკითხის სწორად გადაწყვეტამდე.

ლოიდ ქარჩავა
ა(ა)იპ „საქართველოს მეცნიერთა საბჭოს"
თავმჯდომარე
01.10.2016

# საქართველოს კერძო სექტორის საფინანსო კავშირები ევროპასთან ხელმისაწვდომია

ზაირა ღუდუშაური
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი
ტელ: 599 314092
ელ.ფოსტა: Zaira.Gudushauri@mail.ru

მანანა ხარხელი
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

*სტატიაში – „საქართველოს კერძო სექტორის საფინანსო კავშირები ევროპასთან ხელმისაწვდომია" განხილულია საერთაშორისო და ევროპის საფინასო ინსტიტუტების საქმიანობა და მათი როლი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის დემოკრატიის დამკვიდრებაში. სტატიაში ნათქვამია, რომ ამ ინსტიტუტების მეთოდური და ფინანსური დახმარების გარეშე, ვერც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ვერც ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნები ვერ გაატარებდენ რეფორმებს.*

*სტატიაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქმიანობა საქართველოსთან მიმართებაში. სტატიაში აღნიშნულია, რომ ხსენებული ბანკი ახლაც თანამშრომლობს საქართველოსთან. მას თავისი წარმომადგენლობა ჰყავს საქართველოში „EBRD BAS PROGRAME GEORGIA" და მისი მეთოდური და ფინანსური მხარდაჭერა (გრანტი და სესხი) ხელმისაწვ დომია იმ ქართული კერძო ფირმებისთვის, რომლებიც დააკმაყოფილებენ მის პირობებს.*

თანამედროვე მსოფლიოში ინტეგრაციული პროცესები გაცილებით გაღრმავდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამჟამად მან ყოვლისმომცველი, გლობალური ხასიათი მიიღო. პირველ რიგში ეს შეეხებო ეკონომიკას. დღეს, მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარეშე.

ეკონომიკური გლობალიზაცია აუცილებლად მოითხოვს ქვეყნების ურთიერთ-თავსებადობას. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა 90-იან წლებში, როცა სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები დაადგენენ საბაზრო ეკონომიკის გზას. მსოფლიო ეკონომიკაში მათი სრულყოფილი ჩართვა შეუძლებელი იყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების – მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი და სხვები – მეთოდური და ფინანსური დახმარების გარეშე. ამ ვითარებაში აღმოჩნდა საქართ ველოც. საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის და დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან იგი ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. მის წინაშე სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ურთულესი პერსპექტივა დაისახა. თანაც, ეს ხდებოდა სამოქალაქო ომის, ქაოსის, აფხაზეთის და ოსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური კონფლიქტების და სოციალური პრობლემების უკიდურესი გამწვავების ფონზე. ამ გარდამავალ ეტაპზე, საქართველოს ახალ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში ნორმალური ფუნქციონირებისთვის, კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის ფორმირებაში, შესაბამისი ინსტიტუტების (სასამართლო, მედია და ა. შ.) რეფომირებაში, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში და ა. შ., სჭირდებოდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარება, რაც მან მიიღო კიდეც 1994 წლიდან. ამჟამად გაერომ, მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა დაამთავრეს საქართველოში მუშაობა, რადგანაც საქართველოში რეფორმები დამთავრდა, დღეს საქართველოს ურთიერთობები ამ ორგანიზაციებთან ისეთი ინტენსიური აღარ არის.

1. ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი და საქართველო.

ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ამ სფეროში კვლავაც ურთიერთობს საქართველოსთან არის ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD). იგი შეიქმნა 1991 წლის აპრილში. მასში მონაწილეობს 39 ქვეყანა, მათ შორის ევროკავშირის ყველა ქვეყანა (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბერძნეთი, დანია, ესპანეთი, იტალია, ირლანდია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, პორტუგალია, საფრანგეთი), ევროკავშირის კომისია და ევროპის საინვესტიციო ბანკი.

EBRD-ის საწესდებო კაპიტალი 10 მლრდ ეკიუს შეადგენს (1 ეკიუ = 125 დოლარი). საწესდებო

კაპიტალში 10% ეკუთვნის აშშ-ს, 8,5% იტალიას, დიდ ბრიტანეთს, გერმანიას და საფრანგეთს (თითოეულს), ევროკავშირის დანარჩენ წევრებს 0,2-3,4%, ხოლო ყოფილ სსრ კავშირს 6%. ასევე, 6% ეკუთვნით ერთად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს – რუმინეთს, ბულგარეთს, უნგრეთს, პოლონეთს, ჩეხეთს და სლოვაკიას [1, გვ. 90].

EBRD-ის შტაბ-ბინა მდებარეობს ლონდონში, სადაც ტარდება ბანკის მმართვე ლობითი საბჭოს და დირექტორთა საბჭოს სხდომები.

EBRD-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია [2, გვ. 117]:

- განვითარებადი ქვეყნებისათვის გრძელვადიანი სესხების მიცემა საწარმოო მიზნით, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის განვითარებისათვის, შესაბამისი მთავრობების დავალიანებათა დაფარვაზე გარანტიების გაცემა, სესხების გაცემა კონკრეტული პროექტებისათვის;
- სესხების გაცემა განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, გზატკეცილებისა და რკინიგზის, ელექტროკავშირის, ქალაქის პორტების, ელექტრული დანადგარების შესაქმნელად. ასევე, განათლების, ჯანდაცვის განვითარებისათვის კადრების მოსამზადებლად. ასეთი სესხები გაიცემა განვითარებად ქვეყნებზეც ისეთი პირობების დაცვის შემთხვევაში,როგორებიცაა ტნკ-ების საქმიანობისათვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა, ეროვნული ვალუტების დევალვაცია, ექსპორტზე კონტროლის ლიბერალი ზაცია, მომხმარებელთა სუბსიდიების ლიკვიდაცია, უცხოელ კაპიტალდამბანდებელთა განთავისუფლება გადასახადებისაგან, მოგების თავისუფალი გატანა და ა. შ.
- განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც იყოფა შემდეგ სახეებად:
- ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება როგორც სესხების შემად გენელი ნაწილი; უვადო სესხები და კრედიტები ტექნიკურ დახმარებაზე; ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება ბანკის მიერ პროექტების მომზადებისას;
- ტექნიკური დახმარება, რომელსაც უწევს EBRD, მაგრამ არ აფინანსებს – იგი ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოს როლს. აქ ჩართულია EBRD-ის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტები.
- ტექნიკური დახმარება ადმინისტრაციული ბიუჯეტის ხარჯზე.
- გარემოს დაცვის ფინდიდან განვითარებადი ქვეყნების გარემოს დაცვის პროექტების და საქმიანობის დაფინანსება, რომელშიც EBRD ასრულებს მზრუნველისა და პროექტის დამკვეთის ფუნქციას.

EBRD-ის ძირითადი ამოცანაა შერჩეული კონკრეტული ობიექტების (უპირა-ტესად ინფრასტრუქტურის – სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის) დაკრედიტება. 1995 წლიდან EBRD-ს კრედიტებში განვითარების სოციალური ასპექტები, განსაკუთრებით სიღარიბესთან ბრძოლა თამაშობს დიდ როლს. იზრდება ჯანდაცვის, განათლების, ოჯახის დაგეგმვის, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გამოყოფილი კრედიტები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაცვას და პრივატიზაციას.

მხოლოდ განსაზღვრული და ბანკის მიერ მოწონებული მიზნებისათვის სესხის გაცემის მიზანშეწონილობის დასადგენად, EBRD-ის ამა თუ იმ ქვეყანაში ქმნის მისიებს. დასამტკიცებელი პროექტი უნაკლო უნდა იყოს. ამიტომ იგი მომზა დების დროს ხუთ სტადიას გადის: განსაზღვრას, მომზადებას, ღირებულების შეფა სებას, განხილვას და მმართველთა საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემას. ყველა ამ საფეხურის გავლის შემდეგ პროექტი დასრულებულ სახეს იღებს. ბანკი კრედიტს იმ ფულის ნიშნებით გასცემს და იბრუნებს, რომელსაც ხელშეკრულება ითვალისწინებს. EBRD-ს შესაძლებლობა აქვს სხვადასხვა ვალუტით აწარმოოს სასესხო-საფინანსო ოპერაციები.

EBRD გასცემს ორი სახის კრედიტს: მიზნობრივი კრედიტი მიმართული კონკრეტული საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, ხოლო პროგრამული კრედიტები მოწოდებულია მთავრობის ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმების განხორციელების მხარდასაჭერად. ამ შემთხვევაში კრედიტი არის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო დაფინანსების საშუალება, გამიზნული ეკონომიკური პოლიტიკის კარდინალური ცვლილებებისათვის.

EBRD-დან სესხის მიღებისთვის სესხის ამღებმა ქვეყანამ რიგი პირობები უნდა შეასრულოს:

- სესხის მოთხოვნა შეიძლება მთავრობის მიერ მიზნობრივი წესით, ე. ი. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაფინანსებისათვის და სესხის ამღები ქვეყნის ცენტრალური ბანკის გარანტიით;
- სესხის ამღებს კრედიტის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ამისთვის სხვა ხელსაყრელი წყარო არ გააჩნია;
- სესხის მიღებისათვის წარდგენილ პრო-

ექტს აანალიზებს და აფასებს EBRD-ს საექსპორტო კომისია, რომელიც გასცემს რეალიზაციის ნებართვას;

- სესხი გამოიყენება ცენტრალიზებული წესით და ეტაპობრივად ხორციელ-დება პროექტის შესაბამისად.

ეს მოთხოვნები გამომდინარეობს, როგორც EBRD-ს, ასევე მისი წევრი სახელმწიფოების ინტერესებიდან და უკავშირდება არამარტო ქვეყნის ეკონომიკურ პოლი ტიკას, არამედ, პოლიტიკურ სიტუაციასაც. კრედიტის მოცულობა, დაფარვის ვადა და ხშირად სარგებლის განაკვეთიც დამოკიდებულია პროექტის შინაარსსა და რეალიზაციის პირობებზე.

სესხის მიღების პირობები წევრი ქვეყნების ცალკეული ჯგუფებისთვის განსხ ვა ვებულია და დამოკიდებულია ქვეყნის მშპ-ს მოცულობაზე ერთ სულზე გაანგა რი შებით. სესხის ამღებ ქვეყნებს შეუძლია აიღოს, როგორც მრავალვალუტიანი კრედიტი მცოცავი საპროცენტო განაკვეთით, ასევე, ერთვალუტიანი კრედიტი, როგორც მცოცავი, ასევე, ფიქსირებული განაკვეთებით.

EBRD-ს გააჩნია ე. წ. საინვესტიციო სესხები, რომლებიც გაიცემა წევრ ქვეყ ნებზე ბუნებრივი, საფინანსო და შრომითი რესურსების უფრო რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების მიზნით, როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო სექტორში, იმ პირობით, თუ პროექტი, რომელსაც ბანკი აფინანსებს, შეესაბამება ქვეყნის სტრა ტეგიას, დასაბუთებულია ეკონომიკურად და პასუხობს სიღარიბესთან ბრძოლის და ეკონომიკის მყარად განვითარების ამოცანებს. ამასთან, ბანკი სახსრების 60% სესხად აძლევს კერძო სექტორს, 40%-ს კი სახელმწიფო სექტორს.

მაშასადამე, EBRD სესხებს აძლევს წევრ სახელმწიფოებს და მათ კერძო სექტორებს. საქართველო დამოუკიდებლად არ არის EBRD-ს წევრი, მაგრამ ადრე მისი წევრი ყოფილა, ყოფილი საბჭოთა კავშირი, ე. ი. არა რუსეთი, არამედ, საბჭოთა კავშირი, რომელსაც მის საწესდებო კაპიტალში 6% ჰქონდა შეტანილი. საბჭოთა კავშირში კი მაშინ საქართველოც შედიოდა და თუ ამ წარსულ სტატუსს გამოვი ყენებთ, გამოდის, რომ საქართველოც ყოფილა EBRD-ს წევრი ქვეყანა.

ამჟამად EBRD თანამშრომლობს რუსეთთანაც და СНГ-ს ქვეყნებთანაც – აძლევს მათ კონსულტაციებს, სესხებს, სპეციალურ კურსებზე უმზადებს ბანკი-რებს და მენეჯერებს, უწევს ტექნიკურ დახმარებას და ა. შ. მას ურთიერთობა აქვს საქართველოსთანაც.

ამ სტატიის ავტორები ვართ ქართული ფირმა შპს „ბიზნეს-სწავლება და კონსულტაციები“-ს წარმომადგენლები. ფირმისა, რომლებაც, 2013 წელს გაიმარჯვა EBRD-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში და საქართველოს კერძო სექტორის მენეჯერული დახმარებისთვის გრანტის ფორმატში EBRD-დან მიიღო დაფინანსება.

ჩვენმა საკონსულტაციო ფირმამ 2013 წლიდან დღემდე საკონსულტაციო მომსახურება გაუწია საგარეჯოს ღვინის ქარხანა „კახეთი 3000“-ს (გადავიყვანეთ კომპიუტერულ ფინანსურ აღრიცხვაზე), ზესტაფონის შპს „ბაია-ფუდს“ (ჩავუტარეთ ბაზრის მარკეტინგული გამოკვლევა და მოვუწყვეთ საქონლის გამოფენა-ჩვენებები გუდვილის ქსელში), კარალეთის მეფრინველეობის ფაბრიკას, შპს „ფრიდს“ (გადავიყვანეთ კომპიუტერულ აღრიცხვაზე და ჩავუტარეთ ფინანსური ანალიზი), მარნეულის შპს „დოვრუშალის“ (ჩავუტარეთ ფინანსური ანალიზი და გადავიყვანეთ კომპიუტერულ აღრიცხვაზე), ქობულკეთის შპს „ჯეჯულს“ (გადავიყვანეთ კომპიუტერულ ფინანსურ აღრიცხვაზე), ქუბულეთის სააფთიაქო კომპლექსს „გლუკოზა-1“-ს და ქობულეთის შპს „ძრავას“. ორივე მათგანს ჩავუტარეთ ფინანსური ანალიზი და მოვუწესრიგეთ ფინანსური აღრიცხვა.

ამით იმის თქმა გვინდა, რომ EBRD-ს საქართველოსთან კავშირი არ გაუწყვეტია და ამ კავშირს მომავალშიც კარგი პერსპექტივა აქვს. რადგან EBRD-ს მიზანი არის საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიის დამკვიდრება, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ტემპით, რომელი ტემპითაც ეს პროცესები საქართველოში მიდის, მათ დამკვიდრებას კიდევ დიდი დრო დასჭირდება. აქედან გამომდინარე, საქართველოს კერძო სექტორს EBRD-თან თანამშრომლობით (იქნება ეს კონსულტაცია, გრანტი თუ სესხი) „ფეხზე დადგომის“ კარგი შანსი აქვს.

ლიტერატურა:

1. Фундаментальный анализ финансовых рынков, под ред. Л. Калмыковой, 2005.

2. ქარუმიძე ე., საერთაშორისო ორგანიზაციები, თბ., 2003.

# FINANCIAL COOPERATION OF GEORGIAN PRIVATE SECTOR WITH EUROPE IS FEASIBLE

ZAIRA GHUDUSHAURI
Professor of Georgian Technical University

MANANA KHARKHELI
Assistant Professor of Tbilisi State University

The given article describes activities of international and European financial institutions and their role in strengthening democracy of market economy in developing countries and transition economies.

According to the authors, without methodical and financial assistance from these institutions, neither East European nor former Soviet Union countries would be able to implement reforms.

The article highlights the importance of EBRD (European Bank of Reconstruction and Development) activities in Georgia. It is mentioned that at present EBRD cooperates with Georgia and it is represented by `EBRD BAS PROGRAME GEORGIA~.

EBRD methodical and financial assistance (grand and loan) is available for Georgian firms which correspond to the standards of the bank.

# ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ: ჩეხეთი



ეკა ლეკაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი
ელ.ფოსტა: eka.lekashvili@tsu.ge
ტელ: 599 89 98 09





ქეთევან ჯიქია
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მაგისტრანტი
ელ.ფოსტა: jikiaketi@gmail.com
ტელ: 593 28 52 88

მარიამ ბიწაძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის მაგისტრანტი
ელ.ფოსტა: bitsadze.mariam@gmail.com
ტელ: 558 55 33 76

*ვაგრძელებთ, სტატიათა სერიების სახით ნაშრომის „ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები ევროკავშირში გაწევრიანების შემდგომ“ ეტაპობრივ წარმოდგენას.*

*წინამდებარე სტატია მოიცავს ჩეხეთის გამოცდილებას. შესწავლილია მისი ეკონომიკური მაჩვენებლები და მათი ცვლილებების ტენდენცია ევროკავშირში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდგომ; ასევე, ქვეყანაში არსებული ძირითადი პრობლემბი და გამოწვევები, კერძოდ: ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება და ჰარმონიზაციის პროცესების უზრუნველყოფა, ევროპის ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრობა, სტრატეგიული სექტორები. ჩეხეთის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საქართველოსთვის ევრიონტეგრაციის გ ზაზე.*

ჩეხოსლოვაკიასა და ევროგაერთიანებას შორის ურთიერთობები 1986-1988 წლიდან იწყება და ძლიერდება 1991 წელს ევროკავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა 1993 წელს ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდგომ ჩეხეთის რესპუბლიკამ, არსებობა დაიწყო როგორც დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ და საჭირო გახდა ხელახლა დაწყებულიყო ასოცირების შეთანხმებაზე მუშაობა, რომელიც ამავე წელს იქნა გაფორმებული ევროკავშირთან და რომელიც ამოქმედდა 1995 წელს (ასოცირების ხელშეკრულება მოიცავდა კოპენჰაგენის კრიტერიუმებს), ხოლო გაწევრიანების შესახებ

მოლაპარაკებები ოფიციალურ სახეს იღებს 1998 წლიდან. ამ პერიოდისთვის ქვეყანა რიგი გამოწვევების წინაშე იდგა, მათ შორის: ასოცირების პროცესი უნდა განხორციელებულიყო ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შესახებ მოლაპარაკებების პარალელურად, პრობლემები არსებობდა სასამართლო, განათლების, ასევე, კორუფციასთან მიმართებაში. გარდა ამისა ჩეხეთის მთავარ გამოწვევად, ისევე როგორც უნგრეთისთვის, პოლონეთისთვისა და სლოვაკეთისთვის აღიქმებოდა სამართლებრივი შესაბამისობის მიღწევა ევროკავშირთან, რასაც 2004 წელს დაემატა წევრობის ვალდებულებები. საკანონმდებლო ჰარმონიზაციის პროცესი დაიწყო 1998 წლიდან, რასაც მოყვა „საკანონმდებლო ქარიშხლის“ 6 წელი. თუმცა მანამდე მთავრობის მიერ გამოცემული განკარგულებების საფუძველზე სამინისტროებს გადაეცათ პასუხისმგებლობა მათ სფეროში საკანონმდებლო სამუშაობის განხორციელების შესახებ, ხოლო ტექნიკურ ნორმებთან დაახლოების ფუნქცია გადაეცა სტანდარტიზაციის ოფისს, საკოორდინაციო ფუნქცია - მთავრობის აპარტს და საჯარო ადმინისტრაციის ოფისს. შეიქმნა სპეციალური ევროკავშირის კანონმდებლობასთან თავსებადობის დეპარტამენტი, რომელიც კონტროლს უწევდა სხვადასხვა სამინისტროს მიერ შედგენილ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებს, მართავდა კომენტირების პროცესს და აწვდიდა ხელისუფლებას მოსაზრებებს კანონებთან დაკავშირებით და ითვისებდა საზედამხედველო ფუნქციასაც და შეიქმნა, ასევე საკოორდინაციო უწყებები (კოორდინაციას უწევდნენ ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულებას და ევროკავშირთან მოლაპარაკებების წარმოებას) სამინისტროებში, მათ შორის: ევროპასთან ინტეგრაციის სამთავრობო კომიტეტი, ევროპული შეთანხმების განხორციელების სამუშაო კომიტეტი და ექსპერტთა 22 სამუშაო ჯგუფი, რაც ასოცირების ხელშეკრულების თავების რაოდენობას შეესაბამებოდა. ზემოთ ხსენებული ევროკავშირის კანონმდებლობასთან თავსებადობის დეპარტამენტი, 1996 წელს ჯერ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო 1999 წელს მთავრობის აპარატში გადავიდა.

1995 წელს ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებული „თეთრი წიგნი“, რომელიც წარმოადგენდა ევროკავშირის კანონდმებლობის პირველად სახელმძღვანელოს მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩეხეთის კანონმდებლობის დაახლოების საქმეში ევროკავშირის კანონმდებლობასთან. კერძოდ, 1995 წელს საკანონმდებლო ჰარმონიზაციის მიზნით თავსებადობის დეპარტამენტმა შექმნა მონიტორინგის მონაცემთა ბაზა, თუმცა სისტემური მონიტორინგი განხორციელდა მხოლოდ 1998 წელს, როცა ევროკავშირმა ჩეხეთის კანონმდებლობის პირველადი შეამოწმება დაიწყო. შემოწმების შედეგების ანგარიშით გაირკვა, რომ არსებობდა უამრავი საკანონმდებლო ხარვეზი და არა მხოლოდ საკანონმდებლო სფეროში, არამედ სტრუქტურული და ინსტიტუციონალური განხრითაც [2]. დღეისათვის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის 2015-2016 მიხედვით ჩეხეთის რესპუბლიკამ ქვეყანაში არსებული ინსტიტუტები განვითარების დონის მიხედვით 140 ქვეყანას შორის 57-ე ადგილია 4.1 ქულით, რაც ზომიერ მაჩვენებლად მიიჩნევა და მწვავე პრობლემურ საკითხთა ნუსხაში არ ხვდება [3].

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პრობლემები არსებობდა არა მხოლოდ კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიღწევი,ს არამედ უკვე მიღებული კანონების აღსრულების კუთხით, კერძოდ კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში, ასევე სახელმწიფო შესყიდვების, საბაჟო ადმინისტრაციის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, საერთო ბაზრის ორგანიზებისა და მონაცემთა საერთო ბაზის შექმნის სფეროებში. აღსრულების პროცედურების ბუნდოვანება, კიდევ უფრო ართულებდა არსებულ მდგომარეობას, საჭირო იყო სანქციების მექანიზმის გაძლიერებაც.

საინტერესოა ჩეხეთის გამოცდილება ევროკავშირის კანონმდებლობის თარგმნის შესახებ, როგორც ცნობილია ქვეყანაში შეიქმნა საკოორდინაციო და სარევიზიო ცენტრი და განისაზღვრა თარგმნის პროცესის განხორციელების სამი ეტაპი, კერძოდ: პირველი ეტაპი - ტენდერები პირველადი თარგმნის მოსამზადებლად, მეორე ეტაპი - პირველადი თარგმანი იგზავნებოდა ცენტრის ექსპერტებთან, სადაც ხდებოდა ტერმინოლოგიის შესწორება, ხოლო მესამე ეტაპი - ტექსტი შემოწმება ლინგვისტი ექსპერტების მიერ. საბოლოო ჯამში განხორციელებულმა აქტივობებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საქმეში.

ჩეხეთი დღემდე არ წარმოადგენს ევროპის ეკონომიკური და მონეტარული (სავალუტო) კავშირის წევრ ქვეყანას. მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კრიტერიუმების ანალიზი გვიჩვენებს შემდეგს:

1. ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა

აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 3%-ს;

2015 წლის მონაცემებზე დარდნობით ჩეხეთის შემოსავლებმა და ხარჯებმა შესაბამისად შეადგინა 72.21 $ მლრდ. და 75.56 $ მლრდ., ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი აღწევს 3.35 $ მლრდ. რაც მშპ-ის 1.8%-ს წარმოადგენს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელსაც უდიდესი ყურადღება ექცევა ევროკავშირში ამა თუ იმ ქვეყნის მიღების დროს, წარმოადგენს მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება. საქმე იმაშია, რომ ამ მაჩვენებელს მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა როდი აქვს. მიჩნეულია, რომ თუ ქვეყნის ერთ სულზე მშპ-ს წარმოება წელიწადში 2000 დოლარზე ნაკლებია, მაშინ ლაპარაკიც კი ზედმეტია ასეთ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაზე და პირიქით, იქ, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 10000 დოლარს აღემატება, აქ არ შეიძლება არ ფუნქციონირებდეს დემოკრატიული ინსტიტუტები [1]. ცხადია, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდას აღნიშნულ ქვეყნებში იძლევა ყოველწლიურად მზარდი წარმოების მასშტაბები. ქვეყნის მშპ-ისა და მშპ ერთ სულ მოსახლეზე ზრდადობის ტენდენცია გამოსახულია დიაგრამაზე 3. 1.

**დიაგრამა 3.1. მშპ-ს და მშპ ერთ სულ მოსახლეზე დინამიკა ჩეხეთში (1991-2014)**




წყარო:http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG

როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო კრიზისის ფონზე ორივე მაჩვენებლი შემცირების მიმართულებით იცვლება და 2008 წლიდან ეკონომიკა ცდილობს დასტაბილურდეს თუმცა პოსტკრიზისულ პერიოდში აღნიშნულის მიღწევა შეუძლებელი ხდება 2012 წლამდე. არსებული მდგომარეობა გამოსწორებულია 2013-2014 წლებში და ფიქსირდება შესაძლოა პროცენტულად უმნიშვნელო, მაგრამ საკმაოდ შესამჩნევი ზრდა. 2014 წელს მშპ-მა და მშპ-მა ერთ სულ მოსახლეზე მიაღწია 205$ მლრდ და 19 529$.

2. ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 60%-ს;

ჩეხეთის ვალის მოცულობამ $67 მლრდ.-ს მიაღწია და მშპ-ის 36.89% შეადგინა [7].

3. ინფლაცია 1,5%-ზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს სამი ყველაზე წარმატებული წევრი სახელმწიფოს მონაცემს;

ჩეხეთის ინფლაცია 2014 წლის მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით აღწევს 0.3%-ს (იხ. დიაგრამა 3.2).

**დიაგრამა 3.2. ინფლაციის დონის დინამიკა ჩეხეთში (1994-2014)**




წყარო: http://data.worldbank.org/indicator/FP.CPI.TOTL.ZG

ინფლაციის მაჩვენებელი მუდმივად იცვლებოდა 1994 წლიდან 2014 წლის ჩათვლით პერიოდში. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 1998 წელს, როდესაც ინფლაციის მოცულობამ 10%-ს გადააჭარბა, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2003 წელს და 0.1%-მდე დაეცა.

4. უნდა არსებობდეს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც სამი ყველაზე წარმატებული ქვეყნის მაჩვენებელს არ უნდა აღემატებოდეს ორ პროცენტზე მეტად;

ჩეხეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთმა 2015 წლის დეკემბერში მიაღწია 0.49%-ს. ჩეხეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გამოსახულია დიაგრამაზე 3.3.

**დიაგრამა 3.3. ჩეხეთის გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი (2001-2016)**




წყარო:http://sdw.ecb.europa.eu/browseChart.do?DATASET=0&REF_AREA=106&node=bbn4864&trans=N

ყველაზე წარმატებულ ქვეყანათა საერთო მაჩვენებელი აღწევს 2,34%-ს და თუ აღნიშნულ მონაცემს შევადარებთ ჩეხეთის მონაცემს, შეგვიძლია თავისუფლად ვთქვათ, რომ აღნიშნულ კრიტერიუმს ქვეყანა აკმაყოფილებს.

5. უნდა მოხდეს ევროპულ სავალუტო სისტემაში არსებული სავალუტო გაცვლის კურსების მექანიზმით გათვალისწინებული საზღვრების დაცვა ორი წლის განმავლობაში.

2014 წლისთვის 1 ამერიკული დოლარი = 20.75 ჩეხური კრონა (CZK), ხოლო 2004 წელს 1 ამერიკული დოლარი = 25.69 კრონა, 1993 წლისთვის 1 ამერიკული დოლარი = 29.15. სავალუტო გაცვლის კურსი 1993-2014 მოცემულია დიაგრამაზე 3.4.

**დიაგრამა 3.4. სავალუტო გაცვლის კურსის დინამიკა ჩეხეთში (1993-2014)**




წყარო: http://data.worldbank.org/indicator/PA.NUS.FCRF

ჩეხეთის სავაჭრო ურთიერთობების გარდაქმნა დაკავშირებულია 1993 წელთან, ეს არის პერიოდი, როდესაც ჩეხოსლოვაკია გაიყო ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომლებმაც დამოუკიდებლად განაგრძეს არსებობა საერთაშორისო სივრცეში. აქამდე არსებული ეკონომიკის სოციალისტური სისტემა ემყარებოდა ბრძანებით მმართველობას, ცენტრალიზაციას, რეგულირებასა და დაგეგმარებას. სისტემის შედეგი გახდა საქონლისა და მომსახურების დეფიციტი ბაზარზე, რაც მნიშვნელოვნად იცვლება ევროკავშირთან ურთიერთობის გაძლიერების კვალდაკვალ. ოთხი თავისუფლებიდან ერთ-ერთი საქონლის თავისუფალი გადაადგილება, აღნიშნული შესაძლებლობა გამოყენებულ იქნა ქვეყნის მწარმოებლების მიერ, რაც აისახა კიდეც ექსპორტის მოცულობაზე, რომლის ტენდენცია გამოსახულია დიაგრამაზე 3.5.

**დიაგრამა 3.5. ჩეხეთის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა (1996-2014)**




წყარო: http://data.worldbank.org/indicator/NE.IMP.GNFS.CD ; http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD

დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ჩეხეთის, როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტი 2004 წლიდან მკვეთრად იზრდება და მცირდება მსოფლიო კრიზისის პერიოდში. მნიშვნელოვანია 2012-2014 წლები, რადგან შესამჩნევად იზრდება ექსპორტი ქვეყანაში იმპორტთან შედარებით და 2014 წელს შესაბამისად მიაღწია $172მლრდ და $158 მლრდ. უმსხვილეს საექპორტო პარტნიორ ქვეყნებს ჩეხეთისთვის 1993 წელს წარმოადგენდნენ გერმანია - 26%-ს, სლოვაკეთი-20.98% და ავსტრია 6.05%. 2014 წლისთვის აღნიშნულ სამეულს გამოაკლდა მხოლოდ ავსტრია და მისი ადგილი დაიკავა პოლონეთმა 5.95%-ით, რაც შეეხება გერმანიას მისი წილი გაზრდილია და აღწევს 32.03%-ს, ხოლო სლოვაკეთის შემცირებულია და შეადგენს 8.37%-ს (იხ. ცხრილი 3.1).

**ცხრილი 3.1. უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნები ჩეხეთისთვის**

| 1993 წელი | | 2014 წელი | |
|---|---|---|---|
| გერმანია | 26.00% | გერმანია | 32.03% |
| სლოვაკეთი | 20.98% | სლოვაკეთი | 8.37% |
| ავსტრია | 6.05% | პოლონეთი | 5.95% |
| იტალია | 5.17% | დიდი ბრიტანეთი | 5.09% |
| რუსეთში | 4.46% | საფრანგეთი | 5.07% |
| დიდი ბრიტანეთი | 3.02% | ავსტრია | 4.35% |
| პოლონეთ | 2.73% | იტალია | 3.62% |
| ნიდერლანდები | 2.39% | რუსეტი | 3.14% |
| უნგრეთი | 2.27% | უნგრეთი | 2.78% |
| ჩინეთი | 1.95% | ნიდერლანდები | 2.74 |

წყარო: http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html

იმპორტიორი ქვეყნების სამეული შემდეგი სახით წარმოგვიდგება: გერმანია 26.23%, ჩინეთი 11.35% და პოლონეთი 7.69. 2014 წლისთვის, ხოლო 1993 წელს: გერმანია 25.56%, სლოვაკეთი 16.74% და რუსეთი 9.99%.

**ცხრილი 3.2. ჩეხეთის ექსპორტი სასაქონლო ნიშნის მიხედვით**

| 1993წ. | | 2014წ. | |
|---|---|---|---|
| მეტალები | 17.26% | მანქანები და ელექტრონიკა | 36.04% |
| მანქანები და ელექტრონიკა | 16.04% | ტრანსპორტირება | 19.88% |
| ტრანსპორტირება | 10.40% | მეტალები | 9.73% |
| სხვადასხვა | 7.41% | სხვადასხვა | 6.62% |
| ტექსტილი და ტანსაცმელი | 7.16% | პლასტმასი/რეზინა | 6.04% |
| ქიმიკატები | 7.05% | ქიმიკატები | 4.75% |
| ქვები | 6.31% | ხე | 3.34% |
| საწვავი | 6.08% | საწვავი | 2.66% |
| ხე | 5.13% | ტექსტილი და ტანსაცმელი | 2.43% |
| პლასტმასი/რეზინა | 4.15% | ქვები და შუშები | 2.42% |
| საკვები | 3.42% | საკვები პროდუქტები | 2.41% |
| ცხოველები | 2.96% | ბოსტნეული | 1.47% |
| ბოსტნეული | 2.18% | ცხოველები | 1.13% |
| მინერალები | 1.68% | ფეხსაცმელი | 0.57% |
| ფეხსაცმელი | 1.89% | ტყავი | 0.36% |
| ტყავი | 0.89% | მინერალები | 0.18% |

წყარო: http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html

ჩეხეთი მსოფლიოში მეორე ადგილზეა საავტომობილო წარმოების მიხედვით 118 მანქანით 1 000 მოქალაქეზე. აღნიშნულ მონაცემებს, თუ შევადარებთ 1993 წლის მონაცემებს შევნიშნავთ, რომ მანქანები და სატრანსპორტო აღწურვილობის წილი მთლიან ექსპორტში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, ხოლო მეტალების შემცირებულია.

იმპორტირებული საქონლის ხუთეულს წარმოადგენს: მანქანები და ელექტრონიკა 29.97%, საწვავი 10.87%, ქიმიკატები 9.86%, მეტალები 8.71% 1993 წელი. 2014 წლის მონაცემები კი ასე გამოიყურება: მანქანები და ელექტრონიკა 34.05%, მეტალები 11.35%, ტრანსპორტირება 9.81%.

ჩეხეთში სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა შეფასებულ იქნა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის 2015-2016 მიხედვით, რომელიც სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობის შეფასებას ახდენს სხვადასხვა ორი A-კონკურენცია და B-არსებული პირობების ხარისხი მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც თავის მხრივ სხვადასხვა მაჩვენებლებში იშლებიან. ადგილობრივი კონკურენციის შეფასებისთვის გამოყენებული მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 3.6):

ადგილობრივი კონკურენციის მიხედვით, როგორც ვხედავთ ჩეხეთმა 52-ე ადგილი დაიკავა 4.6 ქულით, რაც მაღალ მაჩვენებლად მიიჩნევა და ადასტურებს სასაქონლო ბაზრების კონკურენტუნარიანობის მაღალ დონეს.

ყურადღება გავამახვილოთ სოფლის მეურნეობის სექტორზე, რადგან გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დროს ერთ-ერთ მგრძნობიარე საკითხთა ნუსხაში შევიდა აღნიშნული სექტორი. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მომავალი რეფორმის შესახებ მოლაპარაკება მიმდინარეობდა შესაბამისი ცოდნისა და მონაცემების ნაკლებობის პირობებში, აღნიშნულმა დიდი გავლენა იქონია შაქრის გადამუშავების მრეწველობაზე. როგორც ცნობილია შაქრის წარმოება ტრადიციული სფეროა ჩეხეთის ეკონომიკის, რომელზეც მნიშნელოვანი გავლენა იქონია 1989-1993 წლებში სოფლის მეურნეობის პრივატიცაციის, რესტრუქტურიზაციის და თავისუფალ ბაზარზე გადასვლის პროცესებმა. კერძოდ, შაქრის გადამამუშავებელი მრეწველობა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დასავლეთის წარმოებას, რამაც განაპირობა შაქრის ბაზრის რეგულირების საჭიროება, რომელიც 1995 წლიდან დაიწყო. საწყისი ეტაპისთვის ქვეყანა ცდილობდა დაეცვა ადგილობრივი მწარმოებელი, ამიტომ დადგენილ იქნა წარმოებისა (380 000 ტონა) და ექსპორტის კვოტა (95 000ტონა). მხოლოდ სტრატეგიულ მწარმოებლებს ჰქონდათ უფლება განეხროციელებინათ რედისტრიბუცია [2].

ამასთან, მცირე ზომის მწარმოებლებისთვის განისაზღვრა ინდივიდუალური კვოტები

დიაგრამა 3.6. კატეგორია-კონკურენცია




წყარო: http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=CZE

ადგილობრივ ბაზარზე და შეადგინა 19 000 ტონა, ხოლო საექსპორტო კვოტამ 4 750 ტონა, რაც შემდგომში იქნა გაპროტესტებული მცირე ზომის მწარმოებლების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში, რადგან მიიჩნევდნენ, რომ აღნიშნული ქმედება არღვევდა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, საბოლოოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული ბრძანებულება გაუქმებულ იქნა. შემდგომში მიღებული კვოტა 505 000 ტონის ოდენობით იქნა დაწესებული, რაც შეესაბამებოდა ევროკავშირისას, თუმცა სასოფლო სამეურნეო ბაზარზე კვოტების გადანაწილება მაინც მთავარ პრობლემად რჩებოდა. 2002 წელს კოპენჰაგენის სამიტზე განისაზღვრა ჩეხური შაქრის საერთო კვოტა 455 000 ტონით, რაც წარმოადგენდა ევროკავშირში წარმოებული შაქრის 2.6%-ს, რამაც განსაზღვრა ჩეხეთის სტატუსი, ის მოხვდა მცირე მწარმოებლების სიაში. ჩეხური შაქრის მწარმოებლები არ ეთანხმებოდნენ არსებულ სიტუაციას, მათ მხოლოდ მოლაპარაკებების შედეგი შეატყობინეს. ამის მიზეზი გახდა მწარმოებლებთან კომუნიკაციის არ ქონა, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესიდან გამომდინარე არსებული სირთულეები, რამაც საბოლოო ჯამში ქვეყანა მიიყვანა არახელსაყრელ პირობებამდე [2].

2005-2007 წლებში ევროკავშირმა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ზეწოლის შედეგად განახორციელა შაქრის რეფორმა, რომლის შედეგადაც აღმოსავლეთის შაქრის კომპანიამ (ბრიტანელი და გერმანელი მფლობელები), რომელსაც ეკუთვნოდა ჩეხური შაქრის გადამუშავების უმეტესი ნაწილი, საკუთარი კვოტები ევროკომისიას „მიყიდა“, რამაც გამოიწვია ის ფაქტი რომ ჩეხეთი, რომელიც შაქრის ექსპორტიორი ქვეყანა იყო იმპორტიორ ქვეყნად გადაიქცა, ჩეხური საწარმოების უმრავლესობა კი დაიხურა [2].

სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 2014 წელს აღწევს 2.70%-ს, არც 1995 წლისთვის იყო მაღალი აღნიშნული მონაცემი. პრიორიტეტი სამრეწველო და მომსახურების სექტორს ენიჭებოდა, რომელთა წილი საკმაოდ მაღალია და შესაბამისად აღწევს 37.96% და 59.34% (იხ. დიაგრამა 3.7).

**დიაგრამა 3.7. სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მომსახურების %-ული წილი მშპ-ში**




წყარო: http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS; http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS

სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციაა: ხორბალი, კარტოფილი, შაქარი, სვია, ფრინველები. მრეწველობის პროდუქციას წარმოადგენს: ავტომობილები, მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა, მინა და სამხედრო აღჭურვილობა.

მსოფლიო ბანკის 2013 წლის მონაცემებით ჩეხეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას უკავია ქვეყნის 54.6%. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა პროცენტული წილი დასაქმებულთა მთლიან მოცულობაში 2014 წლისთვის შეადგენს 2.70%-ს (იხ.დიაგრამა 3.8 ).

**დიაგრამა 3.8. ჩეხეთში დასაქმების წილი და დინამიკა სექტორების მიხედვით (1992-2014)**




წყარო: http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS; http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS; http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS

ჩეხეთში სოფლის განვითარების პოლიტიკა განხორციელდა 2007-2013 წლებში სოფლის განვითარების პროგრამის საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია როგორც ეროვნულ, ასევე ევროკავშირის პოლიტიკასთან. ძირითადი ხარვეზებს, რომელთა გამოსწორების მიზნით იქნა ამოქმედებული აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს: სოფლის მეურნეობის, სატყეო სექტორის და კვების მრეწველობის კონკურენტუნარიანობის, ასევე სასოფლო ზონებში ცხოვრების დონის დაბალი დონე.

დღეს ჩეხეთი, 10-ნახევარი მილიონიანი მოსახლეობით, მიჩნეულია მეტად მიმზიდველ ქვეყანად საერთაშორისო საინვესტიციო კაპიტალისთვის. ჩეხეთმა სულ ახლახანს დააღწია თავი ეკონომიკურ რეცესიას. გასული წლის მესამე კვარტალში, ეკონომიკის ზრდის წლიურმა მაჩვენებელმა 4.7 პროცენტი შეადგინა, რითაც ჩეხეთმა მესამე ადგილი დაიკავა ევროკავშირში. ეს ფაქტორი, სახელმწიფო ბიუჯეტის კლებადი

დეფიციტის პირობებში, სულ უფრო მეტ ინვესტიციას იზიდავს ქვეყანაში. სახელმწიფო ფონდების უცხოურმა ფლობამ გასულ წელს 36 პროცენტით იმატა. (შედარებისთვის, პოლონეთში იგივე მაჩვენებელი 5 პროცენტს შეადგენს, ხოლო უნგრეთში კლებას ჰქონდა ადგილი - 21 პროცენტით). ჩეხეთი უფრო მეზობელ გერმანიას ემსგავსება, თუნდაც ფინანსური სიჯანსაღის თვალსაზრისით. ინვესტორები უკვე კარგა ხანია ჩეხეთს ეკიდებიან როგორც განვითარებულ და არა განვითარებად ეკონომიკას. ზოგადად, ჩეხეთის ეკონომიკა შეიძლება დახასიათდეს სამი სიტყვით: კარგი, სტაბილური, თუმცა, ოდნავ მოსაწყენი [19].

გარდაქმნების შედეგად დაჩქარდა ეკონომიკური მოდერნიზაციის და ინოვაციური განვითარების პროცესები. თუ დავეყრდნობით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსს 2015-2016, კატეგორია - ინოვაციებში ჩეხეთი 35-ე ადგილს იკავებს 140 ქვეყანას შორის 3.8 ქულით, რაც ზომიერ მაჩვენებლად მიიჩნევა (იხ. დიაგრამა 3.9 ).

**დიაგრამა 3.9. კატეგორია - ინოვაციები**




წყარო: http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=CZE

ყურადღება გავამახვილოთ კომპანიის მიერ კვლევასა და განვითარების მიმართულებით, გამოყოფილ ხარჯებზე, რომელიც 3.1 ქულით ფასდება, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ჩეხეთში არსებულ კომპანიათა უმეტესობა კვლევებისა და განვითარების მიმართულებით სულ უფრო მცირე ფინანსურ სახსრებს ხარჯავს. განსავითარებელია სამეცნიერო კვლევეითი ინსტიტუტების ხარისხიც, რომლებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული ინოვაციური შესაძლებლობების შექმნის კუთხით.

პოლონეთისა და უნგრეთის შემთხვევაში ადამიანების თავისუფალი გადაადგილების ამოქმედების შემთხვევაში ქვეყანები დადგნენ ტვინების გადინებისა და შენარჩუნების, მოზიდვის პრობლემასთან. ტვინების მოზიდვა ჩეხეთისთვის პრობლემური აღმოჩნდა, ქვეყანამ 3.1 ქულას მიაღწია, რაც დაბალ მაჩენებლად აღიქმება, ხოლო, ტვინების შენარჩუნების მიხედვით 3.6 ზომიერი მაჩვენებელით წარმოგვიდგა, რაც შეეხება უმუშევრობას ჩეხეთში, იგი ერთერთი ყველაზე დაბალია ევროკავშირში [18], 2014 წლის მონაცემებით ჩეხეთის უმუშევართა მოცულობა სამუშაო ძალის მთლიან მოცულობაში შეადგენს 6.2%-ს (იხ. დიაგრამა 3.11).

მართალია 1991 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი მერყეობდა 2-დან 3 პროცენტამდე, მაგრამ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ ქვეყანამ მაინც შეძლო ვიშეგრადის დანარჩენ სამ ქვეყნასთან შედარებით უმუშევრობის ზომიერად დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება.

ამრიგად, ჩეხეთისთვის ევროკავშირის კანონმდებლობასთან თავსებადობის დეპარტამენტის შექმნა წარმატებული აღმოჩნდა კანონდებლობის ჰარმონიზაციის მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა საინტერესოა ჩეხეთის გამოცდილება ევროკავშირის კანონმდებლობის

**დიაგრამა 3.11. უმუშევართა %-ული წილი სამუშაო ძალის მთლიან მოცულობაში**




წყარო: http://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS

თარგმნის მიმართულებით. კანონმდებლობის თარგმნის პროცესის სტრუქტურა, რომელიც შემოთავაზებულ იქნა ჩეხეთის მიერ წარმატებით ამოქმედდა. ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩეხეთის გამოცდილება ევროკავშირის კანონმდებლობის თარგმნის პროცესის მიმართულებით, რომელიც საჭიროებს კომპეტენტური საკოორდინაციო სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც ითანამშრომლებს არა მხოლოდ სამინისტროებთან, არამედ ჩართავს არასამთავრობო სექტორსაც.

სახარბიელოა ჩეხეთის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ისეთები როგორიცაა ექსპორტი, იმპორტი, ინფლაცია, უმუშევრობის დონე და ა.შ.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ქვეყანაში, სტრატეგიული სექტორების განვითარებაზე. როგორც ვნახეთ ასეთ სექტორს ჩეხეთისთვის წარმოადგენდა შაქრის მრეწველობა, რომლის ექსპორტის წილის მიხედვით უმსხვილეს ექსპორტიორთა რიგებში შედიოდა. თუმცა, დღეს ის იმპორტიორად იქცა, რაც განაპირობა სოფლის მეურნეობის ცოდნისა და მონაცემების ნაკლებობის პრობლემებმა ქვეყანაში, რამაც ქვეყანა სტრატეგიული სექტორის დაკარგვამდე მიყვანა. ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონელით გამოწვეულმა კონკურენციის მაღალმა დონემ შესაძლებელია ქვეყნის ადგილობრივი წარმოება შეამციროს და მათი უმეტესობა გააქროს კიდეც ბაზრიდან. ამიტომ აუცილებელია შიდა ბაზრის ეტაპობრივი გახსნა, რაც საშუალებას მისცემს ადგილობრივ მწარმოებლებს განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები, იმდენად რომ შეძლონ ძლიერ კონკურენციაში ჩართვა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩეხეთის გამოცდილება ევროკავშირის კანონმდებლობის თარგმნის პროცესის მიმართულებით, რომელიც საჭიროებს კომპეტენტური საკოორდინაციო სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელიც ითანამშრომლებს არა მხოლოდ სამინისტროებთან, არამედ ჩართავს არასამთავრობო სექტორსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. გრიშაშვილი, გზა ევროკავშირისაკენ, კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი დახასიათება, თბილისი 2003;
2. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), ევროპული პოლიტიკის კოორდინაციის გაუმჯობესება საქართველოში, ვიშეგრადის ქვეყნების პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბილისი 2015;
3. http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=CZE
4. http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG
5. http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.KD.ZG
6. http://data.worldbank.org/indicator/FP.CPI.TOTL.ZG

7. http://www.nationaldebtclocks.org/debtclock/czechrepublic
8. http://sdw.ecb.europa.eu/browseChart.do?DATASET=0&REF_AREA=106&node=bbn4864&trans=N
9. http://data.worldbank.org/indicator/PA.NUS.FCRF
10. http://data.worldbank.org/indicator/NE.IMP.GNFS.CD ;
11. http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.CD
12. http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html
13. http://wits.worldbank.org/country-analysis-visualization.html
14. http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=CZE
15. http://data.worldbank.org/indicator/NV.AGR.TOTL.ZS;
16. http://data.worldbank.org/indicator/NV.SRV.TETC.ZS;
17. http://data.worldbank.org/indicator/NV.IND.TOTL.ZS
18. http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/economies/#economy=CZE
19. http://commersant.ge/?m=5&news_id=32028&cat_id=10
20. http://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS

Challenges of Economic Policy of Visegrad Countries after joining EU:
Czech Republic

Eka Lekashvili,
TSU Associated Professor
Mariam Bitsadze,
Magister of Economic and Business Faculty at TSU
Ketevan Jikia,
Magister of Economic and Business Faculty at TSU

We are continuing series of articles “Challenges of Economic Policy for Visegrad Countries after joining EU”.

Presented article contains Czech Republic experience. Economical values and their variation before and after joining EU; also, main problems and challenges were studied, such as: process of getting close to and harmonizing with EU legislations, membership of EU Economic and Monetary Union (EMU), strategic sectors. On the basis of studying Czech experience, it can be considered as a way to join EU for Georgia.

# ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედი ფაქტორები და ეკონომიკის გადაუდებელი ამოცანები 2017-2020 წლებისა და გრძელვადიანი სტრატეგიისთვის



რევაზ ლორთქიფანიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
ტელ: 557007217;
ელ.ფოსტა: revazlordkipanidze@gmail.com

*მსოფლიო ინტერნეტქსელის ეპოქაში, საერთაშორისო თანამეგობრობის შესაძლებლობები განუზომლად იზრდება და, სასიხარულოა, რომ საქართველოს რეფორმირებადი სახელმწიფოს მცდელობა უპრეცენდენტოდ დიდია ჯანდაცვის პრობლემებისა და სიღარიბის დაძლევის საქმეში. შრომაში განხილულია რეფორმის განვითარებისა და საერთაშორისო განზოგადების ანტიმონოპოლიური, მაკრო და რეგიონალური პრიორიტეტები.*

ვფიქრობ, ბრძენი მკითხველი დამეთანხმება, რომ მსოფლიოში და მათ შორის რესურსებით მდიდარ ღვთისმშობლის წილხვედრ ქართულ მიწაზე, გენეტიკურად ხანგამძლე მოსახლეობამ მეტად ბედნიერად რომ იცხოვროს, მეტად უნდა გაითვალისწინოს ცხოვრების ხანგრძლივობაზე მოქმედი ფაქტორებიც, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია: 1) ადამიანის სულიერი მდგრადობა და ლოცვის სისტემატურობა; 2) ცხოვრების ეკონომიკური დონე; 3) ეკონომიკური დამოუკიდებლობა (როგორც სახელმწიფოს, ასევე, ადამიანის მეტად თავისუფალი - ლაღი ცხოვრება); 4) ჯანსაღ ბუნებასთან ხშირი კონტაქტი; 5) სუფთა წყალი; 6) სუფთა ჰაერი; 7) რაციონალური კვება; 8) საზოგადოებისადმი გახსნილობა; 9) მშვიდი ოჯახური გარემო; 10) შემოქმედებითი აქტიურობა; 11) ინტერესიანობა; 12) ზომიერი სპორტი და სხვ.

მსოფლიო ინტერნეტქსელის ეპოქაში, საერთაშორისო თანამეგობრობის შესაძლებლობები განუზომლად იზრდება და, სასიხარულოა, რომ საქართველოს რეფორმირებადი სახელმწიფოს მცდელობა უპრეცენდენტოდ დიდია ჯანდაცვის პრობლემებისა და სიღარიბის დაძლევის საქმეში. ჯუნგლების კანონისაგან განსხვავებით, ადამიანების საზოგადოება მხოლოდ ინსტიქტებზე ვერ იქნება აგებული და სულ უფრო მეტად გააზრებული ჩარევაა ეკონომიკაში საჭირო და არა პასუხისმგებლობის აცილება თავისუფალი ბაზრის თვითრეგულირების უნარის მომიზეზებით. პოლიტეკონომიის კლასიკოსების ეპოქის შემდეგ, მრავალი კრიზისი იწვნია კაცობრიობამ და საერთაშრისო თანამეგობრობის მეტი აქტიურობაა საჭირო, რომ გრძელვადიან სტრატეგიაში მოსალოდნელი რესურსების მწვავე დეფიციტი და, შესაბამისად, კლიმატის მეტად მკვეთრი ცვლილებები, შესაძლოდ უმტკივნეულოდ გადაიტანოს ადამიანმა.

## მსხვილი და მცირე მეწარმეობის გონივრული თანაარსებობა

კოსმოსური კვლევების განვითარებისა და ტექნიკის განსაზოგადოების ეპოქაში, სახელმწიფოსა

და მსხვილი ინდუსტრიის როლი და ჩართულობა მსოფლიო ეკონომიკაში არსებითად მატულობს, მაგრამ, ჩვენი წონასწორული რეალიზმის თეორიის შესაბამისად, არ უნდა დავუშვათ არც სახელმწიფო და არც კერძო მონოპოლიების გაჩენის შესაძლებლობები არაკეთილსინდისიერი გამოვლინებების მიმართულებით. შესაბამისად, არც უნდა შევზღუდოთ და დავაკნინოთ, როგორც სახელმწიფოს (მეტწილად მსხვილ ინდუსტიასთან ასოცირებული), ასევე, კერძო (ინდივიდუალური) უნარების უნიკალობა და ეფექტი.

ეკონომიკისა და პოლიტიკის საქმიან წრეებს საქმიანად მინდა მივმართო, რომ რეალურად მასობრივი დასაქმებისათვის, მწვავედ აუცილებელია, ანტიმონოპოლიურ აქტიურობასთან ერთად, მცირე მეწარმეობას პრიორიტეტული მხარდაჭერა მიეცეს - მიკრო და მცირე ბიზნესის შეღავათები შემოსავლებს კი არ უნდა უკავშირდებოდეს, როგორც ჯერ კიდევ 90-იანი წლების საგადასახადო კოდექსშია, არამედ დასაქმებულთა რაოდენობას. თუ კაცი მარტოა ან 2-3 თანამშრომლითაა ბიზნესში, მან ბუღალტერია აწარმოოს, თუ ბიზნესზე იზრუნოს - შეარგოს ღმერთმა, რასაც იშოვის, ნუ დავუწყებთ ეჭვიანობას და ისედაც მცირე შემოსავლებში ქექვას. უფრო მეტიც, შემოსავლის კრიტერიუმები, ხშირ შემთხვევაში, ამ შემოსვლების დამალვის მიზეზი ხდება და ბიუჯეტიც მეტს კარგავს და მეწარმეც არალეგალური ბიზნესის ჭაობში ექცევა.

### ანტიმონოპოლიური პოლიტიკა

გლობალიზების პირობებში, ეკონომიკური მონოპოლიების მოქმედება მნიშვნელოვნად აფერხებს მსოფლიო ეკონომიკის სრულფასოვან განვითარებას, რის გამოც, მსოფლიოს მზარდი მთლიანი პროდუქტის მიუხედავად, სიღარიბე და სიმდიდრის პოლარიზება მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებულია.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს ადგილობრივი ბაზარი განსაკუთრებით საგანგაშოდაა დაზიანებული საერთაშორისო ფესვების მქონე ფარული მონოპოლიებით, რაც, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პოტენციალის გამოყენების ჯერ კიდევ უკიდურესად დაბალ დონეებზე აისახება.

პრობლემის მოგვარების გარეშე, ქართული ტურისტული პოტენციალის ამოქმედებაც კი ფაქტიურად უსარგებლო იქნება ქვეყნისთვის, ვინაიდან, ტურიზმით შემოდინებული ვალუტა, ისევ უცხოელი მესაკუთრეებისა და სურსათის იმპორტიორების სასარგებლოდ გაედინება.

პრობლემის მოგვარების გარეშე, აზრს მოკლებულია ექსპორტის საგადასახადო სტიმულირებაც, ვინაიდან, მატერიალური წარმოების დარგების სათანადო დონეზე განვითარების გარეშე, ექსპორტის სტიმულები, ძირითადად, ნედლეულის ექსპორტს ახალისებს, რის შედეგადაც, ადგილობრივ მეწარმეობასაც ეცლება სანედლეულო საფუძველი და ჩვენივე ნედლეულიც გაძვირებეული სახით გვიბრუნდება გადამამუშავებული მრეწველობის იმპორტის სახით.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საჭიროა რეალური ბაზრის ქმედითი მონიტორინგის განვითარება რეგიონებისა და დარგების მიხედვით და, შესაბამისად, საზოგადოების სისტემატური ინფორმირება იმპორტშემცვლელი საგადასახადო მექანიზმების ამოქმედებისა და შესაბამისი მეწარმეობის სტიმულირების შესახებ, მ.შ. ეფექტიანი დიფერენცირებული საამორტიზაციო მექანიზმების გამოყენებით.

### მაკროეკონომიკური პოლიტიკის დემოკრატიული პრინციპები

ეკონომიკურად განვითარებულ სამყაროში, სულ უფრო არსებითი ხდება სახელმწიფოს მონაწილეობა მასობრივი გამოყენების ინოვაციური ტექნოლოგიებისა და იაფი ენერგომატარებლების პროექტებში, თავდაცვითი ტექნიკის წარმოებაში, კოსმოსისა და წყალქვეშა პოტენციალის ათვისებაში, განსაკუთრებით მძიმე და მასშტაბური გავრცელების ჯანდაცვითი დაავადებების წინააღმდეგ წარმოებულ კვლევებში, ადამიანის ჯანსაღი და ფინანსურად წელგამართული სიბერის პერსპექტივის პრაქტიკულ რეალიზებაში.

ჩვენი ისტორიის გაკვეთილებმა გვიჩვენა, რომ, ამ მხრივ, ხშირია ერთი უკიდურესობიდან მეორეში აღმოჩენის შემთხვევები, როცა ხან სახელმწიფო დიქტატურის პროცესები ვითარდება ან, საპირისპიროდ, ქაოსი და ანარქიაა, რაც, ორივე შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აფერხებს ეკონომიკურ პროგრესსა და ცხოვრების დონის ამაღლების ტენდენციებს.

მაკროეკონომიკური თვალთახედვით, ინფლაციური რყევების, ფარული მონოპოლიებით ხელოვნურად გამოწვეული რეგრესული სტრუქტურული უმუშევრობისა და ცენტრალური, ავტონომიური წარმონაქმნებისა და მუნიციპალური ინტერესების მნიშვნელოვანი დისპროპორციების

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

დასაძლევად, საჭიროა უნიკალურ ადგილობრივ შესაძლებლობათა კომპლექსური გამოყენება და ეკონომიკური ეფექტიანობითა და ეროვნული სიმდიდრით დაწინაურებული სუპერსახელმწიფოების (შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია და სხვ.) გამოცდილებათა დასაბუთებული გათვალისწინება ეკონომიკურ რეგულაციებში.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, უახლოეს ორიენტირად უნდა დავისახოთ მნიშვნელოვანი რეზერვის გამოყენება მთლიან შიდა პროდუქტში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხვედრიწონის 35-40%-მდე ზრდისა და მისი მეტად დემოკრატიული (თანაბარზომიერი) განაწილების სახით ცენტრსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის. ჯერ-ჯერობით, ამ მხრივ, ცენტრალიზმის ეპოქის მემკვიდრეობით, ჯერ კიდევ უკიდურესად უთანაბრო განაწილებასთან გვაქვს საქმე, რის გამოც, ადგილობრივი ინტერესები, ხშირ შემთხვევაში, მინიმალურადაც ვერ კმაყოფილდება.

### რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა

რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის ხარვეზების გამო, საქართველოში, 2014-2015 წლების შედეგებით, მნიშვნელოვნად შემცირდა ვაშლის, თხილის, ატმის, ბალისა და ალუბლის წარმოება და ავადხსენებული საბჭოთა კავშირის 1985 წელთან შედარებითაც, 2015 წლის ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით ორჯერ არის შემცირებული ყურძნის წარმოება, თითქმის 4-ჯერ - ციტრუსების წარმოება, უფრო არსებითია შემცირება სამრეწველო პროდუქციაზე, მ.შ. განსაკუთრებით მეცნიერებატევად დარგებში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის, საწყის ეტაპზე, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უნიკალური შესაძლებლობების სოფლის მეურნეობის დაწინაურებასა და ეფექტიან რეგიონალურ პოლიტიკას, ვინაიდან, ქვეყანას, რომელსაც განვითარებული რეგიონები აქვს, დარგობრივი სრუქტურაც სრულყოფილი ექნება, ხოლო, თუ პრიორიტეტი დარგობრივი სტრუქტურის განვითარებას ენიჭება, შესაძლებელია, მხოლოდ ძლიერი ცენტრი და სუბიექტურად დაწინაურებული ტერიტორიული „ოაზისები“ მივიღოთ, ხოლო ბევრი რეგიონი ჩამორჩენილი დარჩეს.

განსაკუთრებული სტიმულები უნდა მიეცეს საგანგაშო დემოგრაფიული სიტუაციის სტაბილიზებას მაღალი მთის რეგიონებში და რეალურად ამოქმედდეს მრავალშვილიანი ოჯახების წახალისების ეკონომიკური მექანიზმები, ამასთანავე, ადამიანის დამსახურებასთან დაკავშირებული სოციალური დაცვის დიფერენცირებული სტიმულები, მ.შ. განსაკუთრებით მთის მოსახლეობისთვის.

### ინოვაციური კოოპერირების პოლიტიკა სახელმწიფოსა და ეკლესიის ჩართულობით

სასოფლო-სამეურნეო ტრადიციების საქართველოში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დასაწყისმა აჩვენა, რომ სწრაფადცვალებად ტექნოლოგიურ მიღწევათა დამოუკიდებლად შეძენა და გამოყენება გლეხს ძალიან გაუჭირდა და მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში ეს კიდევ უფრო გართულდება. ამდენად, აუცილებელია, კოოპერაციული მეურნეობების ყოველმხრივი სტიმულირება, მათ შორის საგადასახადო ბერკეტებისა და ფინანსური სუბსიდირების მექანიზმებით საწყის ეტაპებზე.

გასათვალისწინებელია, რომ ქართული სოფელი უძველეს და უახლეს ისტორიაშიც იყენებდა კოოპერირების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის საეკლესიო მეურნეობების ეფექტიანი ჩართულობით და კოოპერაციის სასიკეთო შესაძლებლობებს აქტიურად იყენებენ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები თანამედროვე პირობებში.

ეკონომიკური სუბიექტების მრავალმხრივი ჩართულობა ორიენტირებული უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდებასა და, შესაბამისად, საექსპორტო ნამეტის არსებითი სტიმულირებისათვის.

ზემოაღნიშნული საფუძვლის გარეშე, ტექნიკური ინოვაციების ეპოქაში, საქართველოს უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად გამოუყენებელია და აუცილებელია ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ინდუსტრიულ ცენტრებში კლასტერული ტიპის ტერიტორიების მოწყობის სტიმულირებისათვის, რამაც, ასეთი ტიპის წარმონაქმნებთან ურთიერთხელსაყრელი ინოვაციური კოოპერირებისათვის, აქტიურად უნდა დააინტერესოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, უნივერსიტეტები, ბანკები, სხვადასხვა ბიზნეს-ობიექტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://en.wikipedia.org/wiki/Revaz_Lordkipanidze
2. http://revaz-lordkipanidze.simplesite.com/

## The Factors of a Duration of Human life and the Significant Tasks of Economy for 2017-2020 Years and a Long-term Strategy

Revaz Lordkipanidze
Doctor of Economic Sciences, Academician of
Georgian Academy of Economic Sciences

In the epoch of the world internet, an international community's capacity grows enormously and it's pleased that role of the reforming Georgian state unprecedentedly grows in processes of the elimination of healthcare problems and poverty. Author of the work offers the priorities to the development and international generalization of anti-monopoly, macro and regional reforms.

# შეცდომები კარლ მარქსის თეორიებში, შრომა და შრომის ექსპლოატაცია, რა ვერ გათვალა კარლ მარქსმა



ნასყიდა დარბუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ტელ.: 599085530
ელ.ფოსტა: naskida@yandex.ru

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

*ნაშრომში განხილულია ეკონომიკურ მეცნიებებაში ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერის, ეკონომისტის და საზოგადო მოღვაწის კარლ მარქსის შრომებში და თეორიებში დაშვებული ზოგიერთი, შეცდომა. კერძოდ: საქონელბრუნვის და ფულის მიმოქცევის პროცესი. ამ პროცესში, კერძოთ საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაში მარქსი ხედავდა შრომის ექსპლოატაციას. კვლევაში დამტკიცებულია, რომ მოგების მიღების პროცესში შრომის ექსპლოატაცია არ ხდება. განხილულია კარლ მარქსის შრომის ექსპლოატაციის თეორია, დამტკიცებულია რომ მუშა, მუშაობის პროცესში არამც თუ ექსპლოატაციას განიცდის, არამედ სოლიდურ მოგებასაც ნახულობს.*

*მარქსის მტკიცებით, რაც უფრო მეტად განვითარდება კაპიტალიზმი მით უფრო გაიზრდება მუშათა რაოდენობა და სოციალიზმი დამყარდება ბუნებრივად, არჩევნების გზით ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლით. დამტკიცებულია, რომ ასეთი მტკიცება მცდარია.*

*კარლ მარქსმა XIX საუკუნის ბოლოს, ნაცვლად რაციონალური დასკვნებისა და წინადადებებისა, რასაც შეეძლო ეკონომიკის განვითარება და საერთო კეთილდღეობა მოეტანა, მოგვცა შრომის ექსპლოატაციის თეორია. თვითონ კარლ მარქსი იყო მასიური მუშათა მოძრაობების მთავარი ორგანიზატორი. მასიურმა მუშათა მოძრაობებმა, საყოველთაო მუშათა გამოსვლებმა და გაფიცვებმა მრავალი უარყოფითი პროცესები გამოიწვია და ბევრგან რევოლუციები და დიდი სისხლისღვრაც მოხდა. ამ ყველაფრის ლოგიკური შედეგი იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომები.*

*ნაშრომში ასევე მოცემულია ეკონომიკის ბალანსის თეორია და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა და ბალანსის დარღვევის ლოგიკური შედეგები.*

ადამ სმითის მოძღვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია ერთი ადამიანის ნააზრევმა შეცვალოს მთელი მსოფლიო, ხოლო მისმა შრომებმა და ავტორიტეტმა თაობებზე მოახდინოს ზეგავლენა. ამის საიულისტრაციოდ კარლ მარქსის შემოქმედება გამოდგება. ჩვენ დავრწმუნდებით იმაში, თუ ერთი ადამიანის მიერ დაშვებული უზუსტობა და შეცდომები, ავტორიტეტთა მცდარი მოსაზრებები, როგორ ხდება ახალი უფრო დიდი და მასშტაბური შეცდომების მიზეზი და საფუძველი.

ადამ სმითის შრომითი ღირებულების თეორია, კარლ მარქსმა საფუძვლად დაუდო თავის ერთ-ერთ მთავარ გამოკვლევას "შრომის ექპლოატაციის თეორიას".

გენიალური გერმანელი მეცნიერი კარლ მარქსი XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. ის მრავალმხრივ განათლებული პიროვნება იყო. იგი ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში მოღვაწეობდა: ფილოსოფია, პოლიტიკა, პოეზია, ეკონომიკა და ა.შ. და ყველგან თავისი კვალი დატოვა. პირველი ნაშრომები ქ. ტრირში (გერმანია), გიმნაზიაში სწავლის დროს დაწერა, რომელიც 17 წლის ასაკში დაამთავრა. კარლ მარქსი ჩართული იყო მუშათა მოძრაობებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა აქციების მომზადებაში. მან ბევრ მუშათა მოძრაობის ორგანიზაციების და მუშათა პარტიების შექმნაში მიიღო მონაწილეობა. ყველა მათგანში ერთ-ერთი ლიდერი იყო, ზოგ მათგანს კი თავად

ხელმძღვანელობდა.

კარლ მარქსის დამსახურება ეკონომიკურ მეცნიერებაში იმაში მდგომარეობს, რომ მან საბოლოოდ დახვეწა ადამ სმითის და დავიდ რიკარდოს ეკონომიკური თეორიები. ყველა პრობლემა, რაც ამ პერიოდში პოლიტიკურ ეკონომიკაში არსებობდა, საფუძვლიანად შეისწავლა და ამომწურავი პასუხები გასცა. კარლ მარქსმა შეისწავლა ის პრობლემებიც, რომლებიც ადამ სმითმა უბრალოდ არ განიხილა ან ზედაპირულად განიხილა. კარლ მარქსმა ეკონომიკურ მეცნიერებაში პირველმა საფუძვლიანად შეისწავლა ფულის როლი და ფუნქციები, ასევე პირველმა მოგვცა ფულის რაოდენობის გამოთვლის ფორმულა.

ამავე დროს, მარქსმა მოგვცა "შრომის ექსპლოატაციის თეორია", სიმდიდრე შრომის ექსპლოატაციას დაუკავშირა. სთვლიდა, რომ ადამიანთა ერთი ნაწილი,რომლებსაც მარქსმა ბურჟუაზია უწოდა, მდიდრდებიან სხვათა შრომის მითვისების, მუშათა ექსპლოატაციის ხარჯზე. კაპიტალისტურ ეკონომიკას კარლ მარქსმა ბურჟუაზიული ეკონომიკა უწოდა. ადამ სმითს და მის მიმდევრებს ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის თეორეტიკოსებს ეძახდა. ამ ეკონომიკის ფუძემდებლებად მარქსი, ადამ სმითს და დავიდ რიკარდოს მიიჩნევდა.

კარლ მარქსი თავის შრომებში ბევრგან დიდი სინანულით აღნიშნავს, რომ ადამ სმითმა თავის კვლევებში გვერდი აუარა მუშათა მდგომარეობას. ის თვლიდა, რომ ადამ სმითმა სწორად არ განიხილა სიმდიდრის დაგროვების მიზეზები, ბურჟუაზიის მდგომარეობა და მათი სიმდიდრის დაგროვების "არხები". კარლ მარქსის აზრით სმითმა დაინახა, მაგრამ არ გაანალიზა მუშათა (ჩვეულებრივი მოსახლეობის) ეკონომიკური პრობლემები.

კარლ მარქსმა მოახდინა საზოგადოების კლასებად დაყოფა. საზოგადოება მარქსმა თავდაპირველად ორ კატეგორიად (კლასად) დაყო: მჩაგვრელებად და ჩაგრულებად. მოგვიანებით ასეთი კლასობრივი დაყოფა შეცვალა ბურჟუაზიად, რომლებიც ყველა სიმდიდრეებს ფლობენ, კაპიტალიდან მიღებული შემოსავლებით არსებობენ და მდიდრდებიან, და პროლეტარიატად, (მუშათა კლასად), რომელსაც საკუთარი ძალის გარდა არაფერი გააჩნია. უფრო გვიან კარლ მარქსი ცალკე კლასებად გამოყოფს გლეხობას, რომლებიც მიწაზე შრომით მიღებული მოსავლით ირჩენს თავს. ინტელიგენცია, რომლებიც არსებობენ საკუთარი ცოდნით, ინტელექტუალური შრომით მიღებული შემოსავლებით. წვრილ ბურჟუაზია, ხელოსნები და ა.შ.

წინააღმდეგობრივია მარქსის მოსაზრებები კლასობრივ ბრძოლაზე. თავდაპირველად მარქსი მიიჩნევდა, რომ კლასობრივი ბრძოლა სოციალური რევოლუციით დასრულდება, ამ ბრძოლის საბოლოო შედეგი იქნება სოციალურად თანასწორი საზოგადოების შექმნა. ამავე დროს, ის აღნიშნავდა, რომ ხშირად რევოლიციების შემდეგ სულ სხვა შედეგი დგება, ვიდრე რევოლუციამდე დაპირებები იყო. ფრიდრიხ ენგელსი, მარქსის მეგობარი და თანამებრძოლი საერთოდ აღნისნავდა, რომ რევოლუციის დროს უხეში შეცდომები დაიშვება, რასაც მძიმე შედეგები მოსდევს. მიუხედავად ამისა კლასთა დაპირისპირებას და კლასობრივ ბრძოლას, რევოლუციებს, კარლ მარქსი "კაცობრიობის განვითარების ლოკომოტივს" უწოდებს. თავდაპირველად კარლ მარქს მიაჩნდა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალურად სამართლიან სახელმწიფოზე გადასვლა მხოლოდ რევოლუციური გზით შეიძლება. მოგვიანებით კარლ მარქსი იცვლის თავის შეხედულებებს და სოციალურად სამართლიანი სახელმწიფოს, კაპიტალიზმის ლოგიკურ, ბუნებრივ გაგრძელებად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ამოწურავს თავის თავს და მოხდება სოციალურად სამართლიან სახელმწიფოზე ბუნებრივი გადასვლა, რომელიც იქნება გარდამავალი ეტაპი, კომუნიზმის აშენებამდე.

დღევანდელი გადასახედიდან მარქსის შრომები ნორმალური ადამიანის გონებაში უამრავ წინააღმდეგობას იწვევს. დღეს თანამედროვე ეკონომიკაში ბევრი რამ გახდა ცნობილი, რაც მარქსისთვის უცნობი იყო. ამის გამო დღევანდელი გადასახედიდან მარქსის ზოგი მოსაზრება "ღიმილს" იწვევს. თუ მარქსის მოსაზრებებს ეკონომიკაზე დღევანდელი შეხედულებებიდან გამომდინარე გავეცნობით, ძალიან ბევრ მარქსის მოსაზრებებს საერთოთ ვერ გავიგებთ. მაგრამ თუ იმ დროში დავბრუნდებით და ჩავთვლით, რომ არაფერი ვიცით რაც მერე მოხდა, დავრწმუნდებით ამ ადამიანის აზროვნების გენიალურობაში, ნებისმიერი საკითხის კვლევის მრავალ მხრივ შესწავლაში და პრობლემების სიღრმისეულ ხედვებში.

გარდა პოლიტეკონომიის დახვეწისა და ეკონომიკური მეცნიერების თეორიული გამდიდრებისა, მარქსმა კიდევ უფრო სერიოზული კვლევა მოგვცა. მან საფუძლიანად გამოიკვლია კაპიტალისტური ეკონომიკის წინააღმდეგობრივი პროცესები. ამავე დროს, მკვეთრად, მძაფრი შეფაებები გააკეთა. ასეთი შეფასებები არცაა გასაკვირი თუ

გავითვალისწინებთ იმას, რომ მარქსი ევროპაში მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კარლ მარქსის მეცნიერულ კვლევებში უამრავი წინააღმდეგობრივი დებულებები და მოსაზრებები გვხვდება. ზოგი მათგანი ჩვენ უკვე განვიხილეთ. როდესაც კარლ მარქსის მეცნიერულ კვლევებს ვეცნობით გვეუფლება ისეთი შეგრძნება, რომ თითქოს ორი კარლ მარქსი არსებობდა. კარლ მარქსი მეცნიერი, რომელიც გვაძლევს ბრწყინვალე კვლევებს, და კარლ მარქსი როგორც პოლიტიკოსი, მუშათა მოძრაობის ლიდერი, რომელიც ყველა მოვლენას და კვლევებს კლასობრივ ბრძოლას და შრომის ექსპლოტაციას უკავშირებს. როგორც ჩანს ეს გაორება განაპირობებს მარქსის შრომებში წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს და განსხვავებულობას.

ჩვენი კვლევის მიზანია კარლ მარქსი მეცნიერი-ეკონომისტი, და მარქსის მიერ ეკონომიკურ კვლევებში დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომები, რამაც კაცობრიობის ისტორია შეცვალა.

მაშ ასე, შევუდგეთ კარლ მარქსის მნიშვნელოვანი შეცდომების განხილვას, რომელთა არსებობაც რომ არა, კაცობრიობის ისტორია შეიძლება სულ სხვაგვარად განვითარებულიყო.

კარლ მარქსს თავის მთავარ ნაშრომში - "კაპიტალში", მაგალითი მოყავს მონათმფლობელური წყობილებიდან, სადაც მონათმფლობელის ეკონომიკურ ინტერესებს განიხილავს მონის ყიდვის დროოს. მისი განმარტებით, როცა მონათმფლობელი მონას ყიდულობს მისი მიზანია მონაში გადახდილი თანხა, მონის სიცოცხლის ბოლომდე მნიშვნელოვანი მოგებით ამოიღოს. მაგალითად, თუ, დაუშვათ, მონაში გადაიხადა 50 ოქრო, მონის სიცოცხლის განმავლობაში უნდა ამოიღოს 80 ოქრო. ამ შემთხვევაში მარქსი დიდ შეცდომას უშვებს. მონის ყიდვის დროს მონათმფლობელის მიზანი მოგების მიღება არ არის. ამ საკითხს შემდგომში დაწვრილებით განვიხილავთ, ახლა კი მივყვეთ მარქსის მსჯელობას.

მონის ყიდვით, მონათმფლობელის კაპიტალი ფულის სახით მცირდება და ქონების სახით იზრდება. ამ შემთხვევაში მონას, მარქსი, სრულიად სამართლიანად მონათმფლობელის ქონებად თვლის. თუ მონათმლობელის ქონება, მონა, პროდუქციას ქმნის მონათმფლობელისათვის შემოსავლები და მოგება მოაქვს. ამ შემთხვევაში შექმნილი პროდუქციიდან მიღებული შემოსავლებით და მოგებით შეგვიძლია დავითვალოთ სიცოცხლის განმავლობაში მონისგან მიღებული მოგება. აქვე მარქსი სწორედ მონათმფლობელის "მიზნებში" დაშვებული შეცდომის, და იმის გამო, რომ მონათმფლობელი მონას მოგების მიღების მიზნით არ ყიდულობს, სერიოზულ გაუგებრობას აწყდება. მარქსი ვერ ხსნის შიდა მოსამსახურე მონების ეკონომიკურ ხასიათს და მნიშვნელობას. იგი აღნიშნავს, რომ შიდა მოსამსახურე მონების საქმიანობიდან რა მოგება მიიღება ამის გაგება შეუძლებელია და აქედან გამომდინარე ვერ დავადგენთ ასეთმა მონებმა სიცოცხლეში დაუტოვეს თუ არა მონათმფლობელს მოგება. ვერ მოუნახა რა სხვა ახსნა შიდა მოსამსახურე მონებს, მარქსი თვლის მონათმფლობელის ფუფუნებად.

ამ ანალიზის დროს მარქსი უაღრესად მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს, ის თვლის, რომ მონის შრომით მიღებული მოგება მონათმფლობელის საკუთრებაა, იმიტომ, რომ მონა მონათმფლობელის ქონებას, კაპიტალს წარმოადგენს. დავიმახსოვროთ მარქსის ეს განმარტება. ჩვენ შემდგომ მსჯელობაში ვნახავთ, რომ იგივე მოგებას მარქსი სრულიად სხვაგვარად აფასებს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კარლ მაქსმა, სმითის მიერ შემოტანილი შრომითი ღირებულების თეორია საფუძვლად დაუდო "შრომის ექსპლოატაციის თეორიას". საქონლის ფასწარმოქმნის განხილვის დროს მარქსი ნამატ ღირებულებას, მოგებას, მუშის შრომის ნაწილად განიხილავს და ამტკიცებს, რომ მოგება მუშის შრომის ის ნაწილია, რომელიც კაპიტალისტს მიაქვს. სწორედ ესაა მარქსის მთავარი არგუმენტი, რითაც ამტკიცებს, რომ კაპიტალისტი მდიდრდება მუშათა შრომის მითვისების გზით. მარქსი ამტკიცებს, რომ იმისათვის, რომ წარმოების პროცესი განხორციელდეს, საჭიროა საწყისი კაპიტალი, მანქანა დანადგარები (ძირითადი კაპიტალი) და საბრუნავი კაპიტალი, და ასევე, საჭიროა სამუშაო ძალა. მანქანა-დანადგარები და საბრუნავი კაპიტალი კაპიტალისტის საკუთრებაა. მარქსი აღნიშნავს,რომ ძირითად საშუალებებს,თავისი ღირებულება თანდათანობითი ცვეთის გზით გადააქვს საქონლის ღირებულებაში და არაფერს იძახის იმაზე, რომ "კაპიტალისტის მიზანია საწარმოო მანქანაში გადახდილი თანხა ამოიღოს მოგებით". გავიხსენოთ მონის შეძენის შემთხვევა, ამ ორ ეკონომიკურად აბსოლუტურად ერთი და იგივე შემთხვევას მარქსი აბსოლიუტურად განსხვავებულად განიხილავს. მონის შემთხვევაში მარქსი სთვლის, რომ „მონის შრომით მიღებული მოგება, მონათმფლობელის საკუთრებაა, იმის გამო, რომ მონა მონათმფლობელის კაპიტალის ნაწილ-

ია". მანქანა-დანადგარები კაპიტალისტის საკუთრებაა და მისი ქონების ნაწილია, ამ ქონების მუშაობას მესაკუთრისთვის მოგება რომ უნდა მოჰქონდეს, ამაზე მარქსი არაფერს იძახის. ვერც იტყვის, იმიტომ რომ, თუ მოგება წარმოებაში ჩადებულ კაპიტალს მოაქვს, მაშინ ვეღარ ახსნის და ვეღარ დაამტკიცებს შრომის ექსპლოატაციის თეორიას.

ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მონის ყიდვისას მონათმფლობელის მიზანი მოგების მიღება არ არის. მონათმფლობელი არ ფიქრობს იმაზე, რომ მონაში ფულს ჩადებს და 5 თუ 10 წლის შემდეგ მოგებით ამოიღებს. მონას ცხენს, ხარკამეჩს და ა. შ. ყიდულობს იმისათვის, რომ მიწები დაამუშაოს, მოსავალი მოიყვანოს და მოსავლის გაყიდვით მიიღოს შემოსავალი და მოგება, ანუ დამატებითი კაპიტალი. როგორც ვხედავთ, მონის ყიდვისას მონათფლობელი არ ფიქრობს მოგების მიღების "კლასიკურ ფორმაზე", ვიყიდე, გავყიდე და მივიღე მოგება.

ზუსტათ ანალოგიურად ხდება წარმოების შემთხვევაში. მანქანა-დანადგარებს კაპიტალისტი არ ყიდულობს იმისათვის, რომ მათი გაყიდვით მოგება მიიღოს. ამორტიზაციის დანარიცხები კაპიტალის შესანარჩუნებლად კეთდება და არა მოგების მისაღებათ. ძირითადი კაპიტალის გაზრდის დროს, მიზანი ამ შემთხვებაში არის რომ, გაზარდოს საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე, მოცულობა და პროდუქციის ხარისხი. რაც უფრო ბევრს და ხარისხიან პროდუქციას აწარმოებს საწარმო, საწარმოო ციკლში (დროის მოცემულ პერიოდში), მით მეტია წლიური (საანგარიშო პერიოდის) შემოსავლები და მოგება.

ახლა წარმოვიდგინოთ ვითარება, როცა მუშა მუშაობს ხელის დაზგაზე და დღეში 12 საათი მუშაობით ამზადებს 12 წინდას. ერთი წინდის ღირებულებაა, დაუშვათ 1 დოლარი, საიდანაც დაუშვათ 0,5 დოლარი დამატებული ღირებულებაა. დამათებული ღირებულობიდან 0,25 დოლარს იღებს მუშა, ანუ 12 საათში 3 დოლარი. 0,25 რჩება მეწარმეს (კაპიტალისტს) მოგების სახით ესე იგი, თუ კაპიტალისტი მუშის შრომას ითვისებს, ამ შემთხვევაში შრომის დღიური ექსპლოატაცია შეადგენს 3 დოლარს. დავუშვათ, მეწარმემ შეიძინა მანქანა, რომელიც საათში უშვებს 10 წინდას. ამ შემთხვევაში მუშა ეწევა ბევრად უფრო ნაკლებ ფიზიკურ შრომას, მისი ფუნქცია მანქანის ჩართვა და კონტროლია. მეწარმემ მუშის სამუშაო დრო შეამცირა 8 საათამდე, შეამცირა წინდის ფასი 0,8 დოლარამდე, საიდანაც 0,3 დოლარი დამატებული ღირებულებაა, 0,1 იღებს მუშა ანუ 8 დოლარს, 0,2 ანუ 16 დოლარს კაპიტალისტი. ამ შემთხვევაში მუშა 8 საათში ბევრად ნაკლები შრომით 8 დოლარს იღებს, ხოლო მუშის ექსპლოტაცია 16 დოლარს შეადგენს. ამოდის, რომ მაშინ, როცა მუშა ბევრად ნაკლებ შრომას ხარჯავს, ექსპლოატაცია თითქმის 5 ჯერ იზრდება. ესე იგი შრომის პირობების გაუმჯობესების და ანაზღაურების გაზრდის პირობებში შრომის ექსპლოატაციის დონე 5 ჯერ იზრდება, რაც ეკონომიკურად სრული უაზრობაა.

მანქანის შეძენამდე მუშის შრომის ნაყოფიერება იყო საათში 1 წინდა, მანქანის შეძენის შემდეგ შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 10 ჯერ, მაგრამ დროში (1 საათში) შრომის ნაყოფიერება გაიზარდა, და არა იმავე დროში შრომის დანახარი. თუ ასეა, როგორ შეიძლება შრომის ექსპლოატაციის გაზრდაზე ლაპარაკი. ეკონომიკურად ეს ყველაფერი აბსურდია.

ცდილობდა რა შრომის ექსპლოატაციის დამტკიცებას, კარლ მარქსი კიდევ უფრო დიდ შეცდომებს უშვებს. მან მოგვცა ფულად-სასაქონლო ბრუნვის სქემა, რომელსაც თავად კარლ მარქსმა "კაპიტალის საყოველთაო ზოგადი ფორმულა" უწოდა, ეს ფორმულა მარქსმა ასე გამოხატა საქონელი - ფული - საქონელი (ს - ფ - ს) და ამ სქემის მეორე ნაწილი (ფ - ს - ფ) და ძალიან სკურპუოზულად და ხანგრძლივი მსჯელობით იხილავს ამ ორ ვარიანტს. მარქსის აზრით ორი ვარიანტი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ს - ფ - ს ეს არის მარტივი სასაქონლო გაცვლა, სადაც ფული მხოლოდ შუამავლის ფუნქციას ასრულებს. ამ შემთხვევაში თანაბარ ღირებულებათა გაცვლა ხდება და გაცვლის მიზანი მოგების მიღება არაა. რთული კაპიტალისტური წარმოების პირობებში, სადაც მიზანი მოგებაა, მოქმედებს ფ - ს - ფ. მარქსის მტკიცებით ორივე შემთხვევაში სქემა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაზებს წარმოადგენს. ს - ფ გაყიდვაა, ფ - ს ყიდვაა. აქ მარქსს არ დავეთანხმები, ერთის მხრივ, ის სწორად მსჯელობს, მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც მარქსი აღწერს, საქმე გვაქვს ყიდვა-გაყიდვასთან ანუ ვაჭრობასთან, და ამ სქემაში ფაქტობრივად არ ჩანს წარმოება, ამ დროს მარქსი განიხილავს კაპიტელისტურ წარმოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ უფრო სწორი იქნება ეს სქემა შემდეგი სახით: ფ - ს ესაა წარმოება, ს - ფ ესაა ბაზარი. სქემატურად ფულად-სასაქონლო წრე-ბრუნვის პროცესი შემდეგი სახით შეიძლება გამოვსახოთ:




ნახ. 1 ფულად-სასაქონლო წრე-ბრუნვის პროცესი

ნახაზიდან კარგად ჩანს და სრულიად ლოგიკურია თუ ვიტყვით, რომ ფულით ვყიდულობთ ყველა საჭირო რესურს და ვაწარმოებთ ახალ პროდუქტს (ახალ საქონელს), საქონელი იყიდება ბაზარზე და წარმოებაში ფული ბრუნდება მატებით, ანუ მოგებით. წარმოებაში ფული გარდაიქმნება საქონლად, ბაზარზე საქონელი გარდაიქმნება ფულად.

მარქსმა ფ - ს - ფ ვარიანტში დამატებითი მნიშვნელობა შეიტანა და ფორმულა შემდეგი სახით მოგვცა:

ფ - ს - ფ + დფ

სადაც დფ დამატებითი ფულია, რომელიც საქონლის რეალიზაციის შემდეგ რჩება. მარქსი ფორმულას უფრო კომპაქტურადაც გვთავაზობს ფ - ს - ფ’, სადაც ფ’ ფულია დამატებულ ფულთან ერთად. სინამდვილეში დფ არის მოგება. მარქსი სთვლის, რომ დფ მუშის შრომის ის ნაწილია, რომელიც ბურჟუას, კაპიტალისტს რჩება.

მარქსის განმარტებით კაპიტალისტის ინტერესშია მუშა ამუშაოს მინიმალურ, უმნიშვნელო შრომის ანაზღაურებაზე. მისი ანალიზით თუ კაპიტალისტი მუშას იმდენს მისცემს, რომ მუშა გამდიდრებას დაიწყებს, მაშინ მუშა აღარ იმუშავებს მძიმე სამუშაოებზე, რაც კაპიტალისტის ინტერესში არ არის. მარქსი ამტკიცებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ მცირე ანაზღაურება და ყოველდღიური ბრძოლა არსებობისათვის აიძულებს მუშას შეასრულოს მძიმე სამუშაოები, საიდანაც კაპიტალისტი დიდ მოგებას ნახულობს. დფ-ს მარქსი საერთოდ არ განიხილავს როგორც ჩადებულ კაპიტალიზე (კაპიტალისტის ქონებაზე) მოგებას, გარდა აღნიშნულისა მარქსი თავისდაუნებურად თვითონ აძლევს კაპიტალისტურ სისტემას გამზადებულ ფორმულას, თუ როგორ აიძულონ მუშა, რომ მუდმივად იმუშაოს და მუშის მუშაობით მოგება მიიღოს.

ამ შემთხვევაშიც კარგად ჩანს მარქსის წინააღმდეგობრივი ბუნება. ერთ შემთხვევაში (მონის შემთხვევა) მარქსი მოგების მიღებას ბუნებრივად და სამართლიანად მიიჩნევს, მეორე შემთხვევაში სხვისი შრომის მითვისებად. ერთის მხრივ აღნიშნავს მუშების მძიმე შრომას და მათ ექსპლოატაციას, მეორეს მხრივ კი იძლევა გამზადებულ ფორმულას იმისა, თუ როგორ მოხდეს მუშის იძულება.

აქვს თუ არა ადგილი მუშის შრომის მითვისებას და ექსპლოატაციას?

ანალიზი აჩვენებს, რომ მუშის შრომის ექსპლოატაცია არამც თუ არ ხდება, არამედ მუშა თავის შრომიდან დიდ მოგებას ნახულობს. ამის დამტკიცება ძნელი არ არის.

მუშა, მუშაობის შედეგად კარგავს ენერგიას, თუ მუშა მუდმივად იმუშავებს ისე, რომ არ აღიდგენს დახარჯულ ენერგიას, დადგება დრო, როცა იგი ველარ შეძლებს მუშაობას, იმიტომ რომ მას მთლიანად გამოეცლება ენერგია.

ადამიანს აბსოლიტური უძრაობის პირობებშიც სჭირდება ენერგიის აღდგენა ორგანიზმის გათბობაზე, შიდა წნევის შენარჩუნებისათვის, სხვადასხვა ორგანოების ფუნქციონირებისათვის და ა.შ. თუ ადამიანმა “უძრაობის” შემთხვევაში საჭირო ენერგია ყოველდღიურად არ მიიღო, სიცოცხლის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება, ვინაიდან ორგანიზმს არსებობისა და სიცოცხლისათვისაც მნიშვნელოვანი ენერგია სჭირდება. ეს ყველაფერი დათვლადია და შეგვიძლია ციფრებში და ფულად თანხებში გამოვხატოთ.

თუ ადამიანი მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში მუშაობს, ეს უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანის შრომის ექსპლოატაცია არ ხდება. მუშა სულ ცოტა დახარჯული ენერგიის ექვივალენტური შრომის ანაზღაურებას იღებს. მუშა რომ ნაკლებს იღებდეს, რამდენიმე დღეში მუშაობას ველარ შეძლებდა, ორგანიზმის “გამოფიტვის” გამო. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა მუშა თავისი შრომით არსებობისათვის საჭირო სახსრებს შოულობს, იგი “მოგებით” მუშაობს. მუშის “მოგება” ტოლია მუშის მიერ დახარჯულ მთლიან ენერგიას გამოკლებული არსებობისთვის დახარჯული ენერგია, ანუ “უძრაობის” ენერგია, რომელიც მუ-

შას უმუშავრობის შემთხვევაში სჭირდება.

აქსიომა 1: თუ მუშა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუდმივად მუშაობს, მაშინ შრომის ექსპლოატაცია გამორიცხულია.

გარდა იმისა, რომ მუშა თავის თავს ინახავს, მაშინ იმ დროს, მუშათა აბსოლიტური უმრავლესობა ოჯახსაც ინახავდა. ესე იგი, მუშა გარდა თავისი თავისა, დამატებით ოჯახის 3-5 წევრს ინახავს, ანუ კმაყოფაზე ჰყავს. ამოდის, რომ მუშა თავის დახარჯული შრომიდან სოლიდურ მოგებას ნახულობს.

ერთი დასაქმებულის კმაყოფაზე მყოფ ადამიანთა რაოდენობა დღესაც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელია. ზოგადად, ქვეყანაში რაც უფრო მეტია ერთი დასაქმებულის კმაყოფაზე მყოფი ადამიანების რიცხვი, მით უფრო დაბალია ამ ქვეყანაში ცხოვრების დონე. თუმცა ეს მაჩვენებელი შეიძლება საპირისპიროსაც აჩვენებდეს, თუ ერთ დასაქმებულზე არასრულწლოვანები მოდის. ასეთ შემთხვევაში მრავალი შვილის ყოლა მხოლოდ ცხოვრების და შემოსავლების მაღალ დონეზე მიანიშნებს. ამავე დროს, უნდა ავღნიშნოთ, რომ ცხოვრების დონე მხოლოდ ერთი დასაქმებულის კმაყოფაზე მყოფ ადადამიანთა რიცხვით არ განისაზღვრება და იგი დამოკიდებულია ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ს საერთო რაოდენობაზე და მშპ-ს განაწილების მაჩვენებელზე.

როგორც ვხედავთ, არანაირ შრომის ექსპლოატაციას ადგილი არა აქვს. შრომის ექსპლოატაცია იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მუშა დახარჯული შრომის ღირებულებაზე უფრო ნაკლებ ანაზღაურებას მიიღებდა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია და ჩვენ ეს ზემოთ მსჯელობაში უკვე დავამტკიცეთ.

მარქსი თვლიდა, რომ კაპიტალისტმა მუშას უნდა გადაუხადოს არა მოლოდ მუშის არსებობისათვის საჭირო თანხა, არამედ მტკიცებით კაპიტალისტი ვალდებულია მუშას გადაუხადოს ოჯახის შესანახი ხარჯები. ამ მტკიცებას მარქსი ვერანაირად ვერ ასაბუთებს, ამას იმით ხსნის, რომ ბავშვები, რომლებსაც ოჯახი ზრდის მომავალი სამუშაო ძალაა. მარქსი თვლიდა, რომ ოჯახის შენახვაზე გადახდილი თანხა, ეს არის მომავალ სამუშაო ძალაში, ანუ მომავალ წარმოებაში ჩადებული თანხები. მაგრამ უნდა თუ არა მომავალში სამუშაო ძალა, ან რა უნდა მომავალში ეს ხომ კაპიტალისტის ნება და სურვილია, და არა ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე არანაირი ლოგიკური საფუძვლები არ არსებობს იმისა, რომ კაპიტალისტი დაავალდებულოს მუშათა ოჯახების შენახვაში. ლოგიკური საფუძვლები რომც მოიძებნოს, ასეთ შემთხვევაშიც, ეს არ შეცვლის იმ გარემოებას, რომ მუშა თავის შრომას დიდი მოგებით ყიდის.

კარლ მარქსის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა მდგომარეობს იმაში რომ, ის ბოლომდე ვერ ჩაწვდა იმ პერიოდში მიმდინარე პროცესებს, განსაკუთრებით კი ფუნდამენტურ მეცნიერებებში და ტექნიკურ პროგრესში განხორციელებულ მასშტაბურ ცვლილებებში. ბოლომდე ვერ გაერკვა ტექნიკური რევოლუციის შედეგებში და ბოლომდე ვერ განსჭვრიტა კაცობრიობის მომავალი.

კარლ მარქსის ანალიზით კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო გაიზრდებოდა მუშათა რაოდენობა. მისი აზრით გაიზრდებოდა მუშათა მოძრაობები, მუშათა კლასი გახდება საზოგადოების წამყვანი, "დომინანტი" ძალა. კაპიტალისტები აღმოჩნდებოდნენ უმცირესობაში და უმრავლესობის ნებით დამყარდებოდა სოციალურად სამართლიანი საზოგადოებრივი წყობა - სოციალიზმი. კარლ მარქსის აზრით ეს ბუნებრივი პროცესია და დროთა განმავლობაში კაპიტალიზმი გარდაიქმნებოდა სოციალიზმად.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსმა ბევრი ეკონომიკური პრობლემა საფუძვლიანად შეისწავლა, მისი აზროვნება სუბიექტური და მიკერძოვბული იყო. ნებისმიერი მეცნიერი ან მკვლევარი თუ იგი კვლევის ჩატარებამდე არ განთავისუფლდა "სუბიექტივიზმისაგან" აუცილებლად დაუშვებს შეცდომებს და კვლევები არასრულფასოვანი, მიკერძოებული იქნება. მეცნიერებამ არ იცის კლასები და კლასობრივი ბრძოლა, პოლიტიკური და ისტორიული მოვლენები, სოციალური პრობლემები და ა.შ. მეცნიერება ადგენს კანონზომიერებებს იმისდა მიუხედავად თუ თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ამიტომ ობიექტური კვლევისათვის აუცილებელია მკვლევარი განთავისუფლდეს ყოველგვარი გავლენებისაგან. მკვლევარმა მეცნიერმა უნდა გამოიყენოს გამოჩენილი ავტორიტეტების საყოველთაოდ აღიარებული თეორიები და კვლევები, მაგრამ აქსიომის სახით არ შეიძლება მათი მიღება რაც არ უნდა ცნობადი და დიდი ადამიანის მიერ იყოს ეს კვლევები.

კარლ მარქსი განთავისუფლებულია იმ პერიოდში ცნობილი ავტორიტეტების გავლენისაგან, მაგრამ მიკერძოებულია პოლიტიკური და სოციალური პრობლემების განხილვის დროს. ალბათ თავისებური გავლენა იქონია დრომაც. იმ პერიოდში ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი კი სწრაფად ხდებოდა, მაგრამ როგორც

იტყვიან მაშინ ეს პროცესები “ტემპებს” კრეფდა. მარქსი მაშინ ვერანაირად ვერ წარმოიდგენდა ტექნიკური პროგრესის იმ მასშტაბებს, რაც XX საუკუნეში მოხდა, განსაკუთრებით XX საუკუნის ბოლოს, როცა კაცობრიობის ცივილიზაციაში პირველად რეალურად “მოაზროვნე” მანქანები გაჩნდნენ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მარქსი არ დაუკვირდა იმ პერიოდში მიმდინარე პროცესებს. გარდა აღნიშნულისა კარლ მარქსი ყველაფერს უკავშირებდა შრომის ექსპლოატაციას და კლასობრივ ბრძოლას. აღნიშნავდა იმას, რომ მსოფლიოში მუშათა რაოდენობა გაიზრდებოდა და ასეც მოხდა. აღნიშნავდა, რომ გაიზრდებოდა მუშათა მოძრაობები, ასეც მოხდა XX საუკუნეში უამრავი გაფიცვები, მუშათა გამოსვლები, გრანდიოზული მიტინგები და ა.შ. მოხდა. კარლ მარქსის ცნობილი მოწოდების “პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით”, შესაბამისად ხშირად მიტინგები და მანიფესტაციები გრანდიოზული იყო და ერთდროულად მრავალ ქვეყანაში მიდიოდა. XX საუკუნის ბოლოს ეს ყველაფერი მინელდა და ჩაქრა. დღეისათვის, იშვიათად აქა იქ თუ ხდება მუშათა გამოსვლები. ღატომ? გაჭირვება და პრობლემები აღარ არის? რა თქმა უნდა არა, დღესაც მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი ყოველდღიურად არსებობისათვის იბრძვის. მაშ რა მოხდა?

ჩნდება ლოგიკური პასუხი, სოციალისტური სისტემა დაინგრა და მუშათა მოძრაობაც, რომელსაც სოციალისტური სახელმწიფოები აქტიურად უჭერდნენ მხარს, აღარ არის. ბევრი ასე იფიქრებს, მაგრამ ასე არ არის.

ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის ხარჯზე ელვისებური სისწრაფით იზრდებოდა შრობის ნაყოფიერება. იმას, რასაც XX საუკუნის დასაწყისში მუშა ერთ თვეში ან ერთ წელში აკეთებდა, XXI საუკუნის დასაწყისში ერთი საათიც არ სჭირდება. შრომის ნაყოფიერების ზრდამ და ბაზარზე საქონლის რეალიზაციის შეზღუდულობამ, ანუ მოსახლეობის ზღვრულმა რაოდენობამ, რაც “საზღვრავს” ბაზრის საქონელტევადობას, გამოიწვია სამუშაო ძალის მკვეთრი შემცირება.

შეგვიძლია გამოვიყვანოთ “შრომის ნაყოფიერების და შრომის დანახარჯების” თეორია: შრომის ნაყოფიერების ზრდისას, შრომის დანახარჯები მცირდება და მისი ზღვარი ნოლის ტოლია. ადრე თუ გვიან, და ეს დრო შორს არ არის, შრომა საერთოდ განულდება და ყველაფერს მოაზროვნე მანქანები და ავტომატები გააკეთებენ. უკვე დღეს ბევრ წარომებაში, სადაც ათასობით ადამიანი მუშაობდა, რამდენიმე ათეული კაციღა მუშაობს, არიან წარმოებები, სადაც ადამიანური შრომა საერთოდ აღარ გამოიყენება ან იმდენად უმნიშვნელოა, რომ შეგვიძლია არც ჩავთვალოთ. ციფრული ტექნოლოგიები ისეთი ტემპით ვითარდება, რომ უახლოეს ხანებში შრომის დანახარჯები ნოლს გაუტოლდება.

ჩემი აზრით ტექნიკურ პროგრესთან არსებული პრობლემები გამოვლინდა 1929-1932 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, თუმცა მაშინ ამას არავინ მიაქცია ყურადღება და ამ კუთხით დიდი მსოფლიო კრიზისი არავის შეუსწავლია. სხვადასხვა მეცნიერთა კვლევაში სახელდება ამ კრიზისის გამომწვევი 10-ზე მეტი სხვადასხვა მიზეზი, ძირითადად კი ასახელებენ საფონდო ბირჟებზე შექმნილ მდგომარეობას. ამ კრიზისის შესწავლის შემდეგ პირადად მე მგონია, რომ საფონდო ბირჟების კრახი იყო იმ პერიოდში მიმდინარე პროცესების შედეგი და არა მიზეზი.

ჩემი ანალიზით ტექნიკურმა პროგრესმა პირველი “შოკი” XX საუკუნის დასაწყისში მოახდინა. ამ პერიოდში, XIX საუკუნის ბოლოს, ტექნიკურმა პროგრესმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია, მარტო ტესლას ამერიკელ გამომგონებელს 1000-ზე მეტი გამოგონება ჰქონდა დაპატენტებული. ამ პერიოდში მოხდა ისეთი დიდი გამოგონებები როგორიცაა შიდა წვის ძრავის გამოგონება და დიზელის ძრავის გამოგონება. რაც ყველაზე მთავარია ამ პერიოში გამოიგონეს ჯერ მუდმივი დენის ძრავა (ტესლა აშშ), ხოლო შემდეგ ცვლადი დენის ძრავა (რეიტერი აშშ) რამაც ფაქტობრივად კაცობრიობის ისტორიაში ახალ ერას, “ელექტრონულ” ერას დაუდო საფუძველი. ელექტრიფიკაციამ დასაბამი მისცა ახალი ტიპის, მრავალჯერ უფრო წარმად მომუშავე საწარმოო მანქანებს, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია ელექტრონიკამ დასაბამი მისცა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციას ანუ საწარმოო პროცესებში ადამიანის ჩანაცვლებას.

ამ პროცესების შედეგად მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ამავე დროს, გადადიოდნენ რა ახალ ტექნოლოგიებზე წარმოებებიდან მასიურად ხდებოდა ცოცხალი სამუშაო ძალის გამონთავისუფლება, გაშვება.

შეიქმნა სიტუაცია, როცა ერთის მხრივ წარმოების მაღალი დონის ტექნიკით აღჭურვა იწვევდა მუშების მასიურ დათხოვნას სამსახურებიდან, მეორეს მხრივ მაღალი დონის მანქანა დანადგარები მრავალჯერ უფრო მეტ პროდუქციას ქმნიდნენ.

რა გამოდის ეკონომიკურად?

წარმოებებიდან მასიური დათხოვნები და მასიური უმუშავრობა მკვეთრად აქვეითებს მოსახლეობის მსყიდველობით უნარს, ამავე დროს ახალი ტექნიკა, მანქანა დანადგარები და ახალი ტექნოლოგიები მრავალჯერ უფრო მეტ პროდუქციას უშვებს. ბაზარზე პოდუქციის მიწოდება მრავალჯერ იზრდება,მაგრამ მყიდველი არა ჰყავს, მოთხოვნილება მრავალჯერ მცირდება იმიტომ, რომ ტექნიკური პროგრესით გამოწვეულმა მასიურმა უმუშავრობამ მკვეთრად დააქვეითა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. ასეთ ვითარებაში ღრმა ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალი იყო და კიდეც მოხდა დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის სახით.

მოყვანილი პრობლემების გამო, პატარ-პატარა კრიზისები XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში უკვე ხდებოდაა. პირველმა მსოფლიო ომმა ერთის მხრივ დაძაბა ვითარება, მეორეს მხრივ როგორც ომს, ისე ომის შემდგომ პერიოდში,ომისგან მიყენებული ზარალის აღდგენას მნიშვნელოვანი რესურსები დასჭირდა, რაც დადებითად მოქმედებდა ეკონომიკაზე და დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი მნიშვნელოვნად გადაწია.

მოსახლეობის მსყიდველობით უნარსა და წარმოებულ პროდუქციას შორის დისბალანსი იყო მთავარი და ძირითადი მიზეზი,რამაც დიდი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. ამერიკის საფონდო ბირჟებზე აქციების ფასების ვარდნა კი უკვე არსებული კრიზისის შედეგი იყო.

თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროში ყველა ეკონომიკურ კრიზისებს იწვევს მოსახლეობის მსყიდველობით უნარსა და წარმოებულ პროდუქციას შორის დისბალანსი, რაც განაპირობებს ჭარბ წარმოებას.

დაუბრუნდეთ ჩვენს ძირითად თემას.

კარლ მარქსის მტკიცება იმაზე, რომ მუშათა კლასი გაიზრდებოდა და უმრავლესობა გახდებოდა და შეცვლიდა არსებულ სისტემას არ გამართლდა. ტექნიკური პროგრესის შედეგად XX საუკუნის დასაწყისში ურთიერთსაწინააღმდეგო პროცესები განვითარდა: ერთის მხრივ,არსებული წარმოებები სწრაფად იზრდებოდა, ამავე დროს იხსნებოდა უამრავი ახალი წარმოება რაც დიდი რაოდენობით მუშახელს ითხოვდა; მეორეს მხრივ, არსებული წარმოებების მანქანა-დანადგარების სისტემატიური გადაიარაღება განაპირობებდა მუშათა მასიურ დათხოვნებს სამსახურებიდან.

ნებისმიერი ბაზარი ჯერადია, მათ შორის მსოფლიო ბაზარიც ჯერადია. XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო ბაზარმა თანდათანობით გაჯერება დაიწყო, ხოლო XX საუკუნის ბოლოს თითქმის მთლიანად გაჯერდა. ეს იმას ნიშნავს,რომ წარმოებათა გაფართოება და ახალი წარმოებების შექმნა ნაკლებად ხდება. ესე იგი, ახალ მუშახელზე მოთხოვნილება აღარ არის. ამ დროს ტექნიკური პროგრესი თავის პიკს, თავის მაქსიმუმს აღწევს. "მოაზროვნე მანქანებმა" ადამიანი თითქმის ყველა სფეროში ჩაანაცვლა. XXI საუკუნის ბოლომდე, შეიძლება ბევრად ადრეც, პროდუქციის შექმნაში შრომის დანახარჯები განულდება.

ამრიგად კარლ მარქსის მტკიცება იმის შესახებ, რომ მუშათა კლასი (პროლეტარიატი) გაიზრდებოდა,უმრავლესობა გახდებოდა და ბუნებრივად მოხდებოდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა,მცდარია და ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული.

ცალსახაა,რომ მარქსი ვერ გაითვალისწინებდა იმას,რაც მომავალში მოხდებოდა,თუმცა კარგად დაკვირვების შემთხვევაში, მაშინ XIX საუკუნის ბოლოს,იოლად შეიძლებოდა იმის დადგენა,რომ შრომის ნაყოფიერების სწრაფი ტემპებით ზრდა უარყოფითად მოქმედებდა დასაქმებაზე.

მარქსის იდეებმა და თეორიებმა, სოციალური სამართლიანობის იდეამ,მთელ მსოფლიოში მასშტაბური, მძლავრი მუშათა მოძრაობები, რევოლუციები და სამოქალაქო ომები გამოიწვია, რასაც მილიონობით ადამიანი შეეწირა და კოლოსალური ნგრევები და მატერიალური ზარალი მოჰყვა.

შეიძლებოდა თუ არა, კარლ მარქსს თავისი მსჯელობა და ძალისხმევა სხვა მიმართულებით წარემართა და გამოეყენებინა? შეიძლებოდა თუ არა,რომ კაცობრიობა და კაპიტლისტური სამყარო სხვა მიმართულებით განვითარე ბულიყო და თავიდან აგვეცილებინა ადამიანური მსხვერპლი, ნგრევა და ზარალი?

ალბათ შეიძლებოდა, უფრო სწორად სრულიად შეძლებელი იყო. ჩემი ანალიზით ყურადღება უნდა გამახვილებულიყო სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე, არსებული რესურსების განაწილების სამართლიანობაზე. დედამიწაზე არსებული ბუნებრივი რესურსები მილიონობით და მილიარდობით წლის განმავლობაში იქმნებოდა. სრულიად სამართლიანია თუ ვიტყვით,რომ ბუნებრივი რესურსების სიკეთე დედამიწაზე მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა უნდა იგრძნოს.

სამართლიანი განაწილების პრინციპი ეს არ არის მხოლოდ სოციალური პრობლემა, რომელ-

შიც ძალადობისა და რევოლუციების გზით უნდა გადაწყდეს, ეს უდიდესი ეკონომიკური პრობლემაა, რომელიც დიდი ხანია მთელ მსოფლიოში უმძიმეს პრობლემებს იწვევს და რომელსაც რატომღაც არავინ ყურადღებას არ აქცევს. ესაა ბალანსი წარმოებასა და მოხმარებას შორის, რასაც მოსახლეობის მსყიდველობითუ ნარიანობა განაპირობებს. თუ ეს ბალანსი დარღვეულია,არა აქვს მნიშვნელობა საზოგადოებრივ წყობას და ეკონომიკის სახეობას, საბაზროა ის თუ არა საბაზრო, ეკონომიკა კრიზისში ექცევა, ხოლო თუ ეს ბალანსი არსებობს, ეკონომიკა წრმატებით ვითარდება. დიდმა ბრიტანელმა მეცნიერმა ჯონ კეინსმა კი დაამუშავა ეფექტური მოთხოვნილების თეორია, სადაც მთავარი ყურადღება სწორედ მოსახლეობის მსყიდველობით უნარზე იყო აქცენტირებული, მაგრამ კეინსს ყურადღება არ გაუმახვილებია მთავარ ეკონომიკურ კანონზე, ეკონომიკურ ბალანსზე.

ეკონომიკის მთავარი თეორია, ეკონომიკური ბალანსის თეორია: ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია არსებობდეს ბალანსი წარმოებსა და მოხმარებას შორის.

ეკონომიკის განვითარების აქსიომა: დროის ერთეულში წარმოებული პროდუქცია ტოლია დროის ერთეულში რეალიზებული პროდუქციისა.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. К. Маркс, Ф. Энгелс Манифест комунистической партии, Москва, Политиздат 1964 г.
2. К. Маркс, Капитал I-IV т. Москва, политическая литература 1951 г.
3. Экономическая энциклопедия – политическая экономия, т. II, Москва, совецкая енциклопедия, 1975 г,

# ელექტროენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირების საზღვარგარეთული გამოცდილება

ჯუსტან ბოკუჩავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
E-mail: Justan.Bokuchava@telasi.ge

*სტატიაში – „ელექტროენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირების საზღვარ გარეთული გამოცდილება“ ენერგეტიკის რეგულირება განხილულია განვითარებულ და პოსტსოციალისტურ განვითარებად ქვეყნების ჭრილში. განვითარებული ქვეყნებიდან ელექტროენერგე ტიკის სახელმწიფო რეგულირების მაგალითებად წარმოდგენილია აშშ, დიდი ბრიტანეთი და სკანდინავიის ქვეყნები, პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან კი ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, მოლდოვა, რუსეთი და სხვები.*

*დასკვნის სახით ნათქვამია, რომ ელექტროენერგიის ლოკალური ბაზრები ყველგან არის შექმნილი, სკანდინავიის ქვეყნებმა კი რეგიონის, ე. ი. სკანდინავიის ელექტრობაზარიც შექმნეს.*

*ავტორი ავითარებს აზრს, რომ თუ საქართველო აითვისებს მთელ თავის ელექტროენერგეტიკის რესურსს, მას ექნება უნარი შექმნას სამხარეო კავკასიის რეგიონის ელექტრობაზარი.*

როგორც ყველასათვის ცნობილია, ელექტროენერგეტიკა არის ბუნებრივი მონოპოლია და, როგორც ყველა მონოპოლიას, მასაც აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს ბაზარზე თავისი პროდუქციის ფასი ზემოგების მიღების მიზნით და ამით დააზარალოს მომხმარებლები.

სწორედ ამ მიზეზით კარგა ხანია საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დაიწყეს მისი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი და რეგულირება. ეს ჩარევა ზოგან მასშტაბურია, ზოგან მხოლოდ მისი ელემენტებია დანერგილი. ამ ბოლო დროს, ზოგ ქვეყანაში, დერეგულაციის პროცესი, ანუ რეგულირების საპი-რისპირო პროცესი დაიწყო.

ასეთ ვითარებაში ისმება კითხვა: როგორ მოიქცეს საქართველო? ამჟამად საქართველოს შექმნილი აქვს ენერგეტიკის რეგულირების ინსტიტუტი - ”სემეკი”, ანუ, დღეს ელექტროენერგეტიკას სახელმწიფო არეგულირებს, მაგრამ როგორ მოვიქცეთ ხვალ - მოვახდინოთ მისი დერეგულაცია, თუ პირიქით, გავაძლიეროთ სახელმწიფოს მხრიდან მისი რეგულაციები.

ელექტროენერგეტიკის რეგულირება საზღვარგარეთ ასე 15-20 წლის წინ დაიწყო [1, გვ. 13], ზოგადად ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირებას კი საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამას მრავალმა მიზეზმა შეუწყო ხელი, რომელთაგან ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ელექტროენერგეტიკის მონოპოლიური მდგომარეობა ხელს უშლიდა შიდადარგობრივ კონკურენციის განვითარებას [1, გვ. 19].

ეს მოცემულობა ჩვენზე ადრე გააცნობიერეს საზღვარგარეთის ქვეყნებმა, პირველ რიგში, მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა.

## 1. ელექტროენერგეტიკის რეგულირება განვითარებად ქვეყნებში.

აშშ-ში ელექტროენერგეტიკის დარგის ძირითად მარეგულირებელ ინსტიტუტებს წარმოადგენენ ენერგეტიკის სამინისტრო, რომელიც კურირებს ენერგეტიკის განვითარების ტექნიკურ ასპექტებს და ენერგეტიკის რეგულირების ფედერალური კომისია, რომლის კომპეტენციაში შედის არა მხოლოდ ენერგეტიკული მომსახურების ტარი ფების დადგენა, არამედ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალიზაცია და აგრეთვე, ბუნებრივი მონოპოლიური დარგების ინსტიტუციონალური გარემოს რეფორმირება. ამის გარდა, აშშ-ს ყველა შტატში არსებობს ან დარგობრივი კომისიები ცალ-ცალკე ან ყველა ბუნებრივი მონოპოლიის მარეგულირებელი ერთი კომისია, შექმ ნილია მარეგულირებელი კომისიების ასოციაციაც [2, გვ. 20].

აშშ-ში ენერგეტიკის ფუნქციონირების ძირითადი პარამეტრები განსაზღვრულია კანონებით - „ელექტროენერგეტიკის პოლიტიკის შესახებ“, ”ჰოლდინგური ტიპის კომუნალური კომპანიების შესახებ” და ”ელექტროენერგეტიკის შესახებ”.

XX საუკუნის 70-იანი წლების პერიოდის დასაწყისში აშშ-ის ელექტრომომარაგების ყველა კომპანია ბუნებრივი მონოპოლია იყო და ჰქონდა ენერგიის წარმოების, ტრანსლირების და გაყიდ-

ვის მონოპოლიური უფლება. დარგის რეგუ-ლირე-ბის მაშინდელი საერთო მიდგომა ითვალისწინებ-და იმას, რომ ლოკალური ბუნებრივი მონოპოლია იღებდა ვალდებულებას მოემარაგებინა მომხ-მარებლები ენერგიით მთელი მოთხოვნილების მოცულობით, იმ პირობით რომ მომხმარებ-ლები გადაიხდიდნენ ელექტროენერგიის ღირებულებას რეგული რებული ტარიფით. [3, გვ. 5].

XX საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში აშშ-ში მომხდარი ელექტროენერ-გეტიკული კრიზისის გამო, ქვეყნის მთავრობამ დაიწყო ამ დარგის რეფორმა. პირველი სერიოზული ნაბი-ჯი ამ დარგის რეფორმირებაში იყო 1992 წელს ”ელექტრო ენერგეტიკის პოლიტიკის შესახებ” კანონის მიღება. ამ კანონმა უფლება მისცა ბი-თუმ მწარმოებელთა ნაწილს, რომლებიც ვერ ახ-ერხებდნენ საქმიანობის კონკურენტულ და ბუნე-ბრივ-მონოპოლიზებულ სახეების შეთავსებას, სახელშეკრულებო ფასებით მიეყიდათ ელექტრო-ენერგია პირდაპირ მომხმარებლებისთვის. 1996 წელს ამერიკის მთავრობამ ოფიციალურად, კან-ონის დონეზე დაამტკიცა ქსელური კომპლექსებ-ის მართვის დამოუკიდებელ ოპერატორთა ინ-სტიტუტი, რომლის ფუნქციას მხოლოდ ქსელის გამშვებუნარიანობის ოპერატიული მართვა კი არ წარმოადგენდა, არამედ სისტემათაშორისი ელექ-ტროკავშირების პერსპექტიული განვითარების განხორციელებაც [4, გვ. 37]. ამის პარალელუ-რად, აშშ-ს ელექტრო ენერგე ტიკის რეგულირე-ბის ფედერალურმა კომისიამ დაიწყო დარგობ-რივი ანტიმო ნო პო ლიური კანონმდებლობის გადამუშავება, რომლის ძალითაც ენერგეტიკის ფორმირებულ ლოკალურ ბაზრებზე დაიშვებოდ-ნენ მხოლოდ დაშვების პროცე დურა გავლილი კვალიფიციური მონაწილეები. ამასთან, აშშ-ის მთავრობამ დაადგინა აგრეთვე, საბაზრო ქცე-ვის და ინფორმაციის გახსნის სტანდარტები, რომელთა დამრღვევებს საბაზრო ფასებით ვაჭ-რობის უფლება ავტომატურად ჩამოერთმეოდათ. ყველაფერი ზემოთნათქვამი ნიშნავს იმას, რომ აშშ-ში ჩამოყალიბდა და განვი თარდა ელექტრო-ენერგიის ლოკალური ბაზრები და საბაზრო ფას-წარმოქმნა.

2003 წელს შეიქმნა ჩრდილოამერიკის საბჭო. ეს იყო თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, რომელ-შიც შედიოდნენ რეგიონის ყველა ენერგობაზრის წარმომადგენლები, და, რომელიც ახორციელებდა კონტროლს ენერგოსისტემების სტანდარ-ტების დაცვაზე.

მაშასადამე, აშშ-ის ელექტროენერგეტიკაში სამეურნეო სუბიექტებს სახელმწიფო აძლევს ძირ-ითად იმპულსს და სთავაზობს თამაშის წესებს.

მეტიც, აშშ-ში შექმნილია მარეგულირებელი საქმიანობის შემსწავლელი სპეციალიზებული კვლევითი ინსტიტუტი და უნივერსიტეტებშიც ამზადებენ რეგუ-ლირების სფეროს სპეციალ-ისტებს.

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოს ერთ-ერთი პირ-ველი ქვეყანაა, რომელმაც ელექტროენერგეტიკის რეფორმირება დაიწყო. XX საუკუნის 90-იან წლე-ბამდე, დიდი ბრიტანეთის ელექტროენერგეტიკა აშშ-დან განსხვავებით უკვე რეგულირდებოდა სახელმწიფოსგან. ამას ახორციელებდა ენერგე-ტიკული საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ბუნებრი-ვი მონოპოლიის წარმომადგენლები და მარეგუ-ლირებელი ინსტიტუტების წარმომადგენლები [5, გვ. 21-22].

სწორედ ამ ვითარებამ შეუწყო ხელი დიდ ბრი-ტანეთს, რომ შედარებით მოკლე პერიოდში მო-ეხდინა ენერგობაზრის ცენტრალიზებული მოდ-ელის რეალიზება.

ელექტროენერგეტიკის რეფორმირების მიმა-რთულებით დიდ ბრიტანეთში პირველი ღონისძიე-ბა იყო ”ელექტროენერგეტიკის შესახებ” კანონის მიღება (1989 წ.), რომელმაც მთლიანად აღმოფხ-ვრა დარგში კერძო გენერირებადი კომპანიების შესვლის ადმინისტრაციული ბარიერები და და-მოუკიდებელ გენერატორებს მისცა ქსელურ ინ-ფრასტრუქტურაზე თავისუფალი წვდომა. ამასთან ერთად, შეიცვალა რეგულირების ფუნქციები და სტრუქტურა. მისი ძირითადი ფუნქცია გახდა მომხმარებლების დაცვა და დარგში კონკურენ-ციის განსავითარებლად ინსტიტუ-ციონალური გარემოს კორექტირება. ანტიმონოპოლიურ კანონ-მდებლობაზე მეთვალ ყურეობის ფუნქცია გა-დაეცა ანტიმონოპოლიური კვლევის კომისიას და სამართ ლიანი ვაჭრობის სამსახურს.

1990 წლიდან დიდ ბრიტანეთში დაიწყო ამ დარგის ბუნებრივ-მონოპოლიურ სეგმენტის პრი-ვატიზება. ეს იყო ეროვნული ქსელური კომპა-ნია, რომელიც ფლობდა ელექტროგადაცემის სისტემათაშორის ხაზებს და აგრეთვე, ენერგო-სის-ტემის დისპეტჩერული სამუშაოების შემ-სრულებელ ტექნოლოგიურ ოპერატორს. ამ ნა-ბიჯის გადადგმამდის ბრიტანეთის მთავრობამ ინფრასტრუქტურასთან მონა-წილეთა არადის-კრიმინაციული წვდომისთვის შექმნა ყველა პირობები და კანონის დონეზე აუკრძალა პო-ტენციალურ კონკურენციის სფეროს გენერაციის სუბიექტებს და გამსაღებელ კომპანიებს პირდა-პირ ან არაპირდაპირ მონაწილეობა მიეღოთ ქსე-ლური კომპლექსის პრივატიზებაში.

დიდი ბრიტანეთის ანალოგიური სცენარით განხორციელდა ელექტროენერგეტიკის რეფორმირება და სახელმწიფო რეგულირებაზე გადასვლა სკანდინავიის ქვეყნებშიც. მათ ერთად შექმნეს სახელმწიფოთაშორისი ენერგეტიკული ბაზარი.

ენერგეტიკის რეფორმირება სკანდინავიის ქვეყნებშიც XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში დაიწყო. შეიქმნა საჭირო ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა დარგის პოტენციალურად მონოპოლიურ და კონკურენტულ საქმიანობის სახე-ებისთვის. შედეგად. მოკლე დროში ჩამოყალიბდა დარგის შიდა სტრუქტურა. ერთის მხრივ, შეიქმნა ქსელური კომპანიები (სახელმწიფო, კერძო, შერეული) და ბაზრის სისტემური ოპერატორები, ხოლო მეორეს მხრივ, ენერგიის მსხვილი მწარმოებლები და გამსაღებელი კომპანიები. ამასთან, სკანდინავიის ყველა ქვეყანაში სახელმწიფომ გენერაციის ყველა მსხვილ კომპანიაში მათ სააქციო კაპიტალში მონაწილეობით შეინარჩუნა კონტროლის უფლება.

1993 წელს სკანდინავიაში შედგა პირველი საერთაშორისო ენერგეტიკული ბირჟის - Nord Pool -პროექტი. თავდაპირველად მასში ნორვეგია და შვედეთი შევიდნენ, შემდეგ მათ შეუერთდნენ დანია და ფინეთიც. ამ ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტებს დაევალათ ამ ახლადშესაქმნელი ბირჟის სუბიექტებისთვის საქმიანობის პირობების და წესების უნიფიკაცია.

რაც შეეხება ელექტროენერგეტიკის რეგულირებას, სკანდინავიის ქვეყნებშიც, ისე როგორც დიდ ბრიტანეთში, უფრო მეტად ეს პროცესი ლიცენზირებით ხდება. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამ ქვეყნებში სამეურნეო სუბიექტების ლიცენზირებისას მთავარი ყურადღება ეკოლოგიურ კანონმდებლობასთან მათი საქმია-ნობის შესაბამისობას ექცევა.

რეფორმირებამ სკანდინავიის ქვეყნებს ის ძირითადი შედეგი მისცა, რომ შემცირდა ეროვნული ტარიფები (მაგალითად, ნორვეგიაში 16%-ით) [1, გვ. 14] და შეიქმნა ენერგეტიკის როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე, საკმაოდ ეფექტური თვითრეგულირებადი სისტემა.

## 2. ელექტროენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირება პოსტსოციალისტურ განვითარებად ქვეყნებში.

არანაკლებ საინტერესოა ამ სფეროში პოსტსაბჭოთა ქვეყნების და აღმოსავლეთ ევროპის (ბულგარეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი) ქვეყნების გამოცდილება. რადგან აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები უფრო განვითარებული არიან და ევროკავშირის წევრებიც გახდნენ, უპირველესად მათზე შევჩერდებით. მათ შესახებ ვრცელი ინფორმაციაა მოცემული გ. თავაძის და დ. ჩომახიძის ნაშრომში - "ბუნებრივი მონოპოლიები და მათი რეგულირება, 2005, გვ. 19-25.

ბულგარეთის ენერგეტიკის მარეგულირებელი სახელმწიფო კომისია ჩამოყა-ლიბდა 1999 წელს. იგი პასუხისმგებელია ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, თბოენერგიის ტარიფებზე და ლიცენზირებაზე. მისი ნებართვით ხდება ტრანზიტული გაზსადენებისა და ნავთობსადენების რეკონსტრუქცია.

უნგრეთის ელექტროენერგეტიკული ოფისი ჩამოყალიბდა 1994 წელს. არეგულირებს და ზედამხედველობას უწევს ელექტროენერგეტიკისა და გაზის სექტორში მომუშავე კომპანიებს, ასევე ელექტროსადგურებს 50 მეგავატი სიმძლავრის ზემოთ, იცავს მომხმარებელთა უფლებებს.

ჩეხეთის ელექტროენერგეტიკის რეგულირების ოფისი ჩამოყალიბდა 2001 წელს. პასუხისმგებელია ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, თბოენერგიის ტარიფებზე და ლიცენზიებზე.

პოლონეთის ელექტროენერგეტიკის რეგულირების ოფისი ჩამოყალიბდა 1997 წელს. ადგენს ტარიფებს და გასცემს ლიცენზიებს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და გათბობის სისტემებში; იცავს მომხმარებელთა უფლებებს, არის დავების გადამწყვეტი, ამუშავებს ტექნიკურ სტანდარტებს, ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას.

დაახლოებით ამავე წლებში დაიწყო ენერგეტიკის სექტორში რეფორმირება და სახელმწიფო რეგულირება პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც. ყველა ამ ქვეყნებში დღეს მარეგულირებელი კომისიებია შექმნილი. ეს სამუშაოები ყველგან დაიწყო ისეთ პირობებში, როცა დარგის ძირითადი ფონდები თითქმის 60-70%-ით ამორტიზებული იყო, ელექტროენერგიაზე მოთხოვნა კი - გაზრდილი. ქვემოთ ვიძლევით ინფორმაციას მათ შესახებ [2, გვ. 22-24]:

უკრაინა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან პირველი ქვეყანაა, სადაც შეიქმნა ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია. ეს მოხდა 1994 წელს. იგი ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოა და ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე. მისი მოვალეობაა დარგში კონკურენციის დამკვიდრება, მომხმარებლის უფლებების დაცვა, ლიცენზირება და ტარიფის დადგენა.

რუსეთში ფედერალური ელექტროენერგეტიკული კომისია ჩამოყალიბდა 1995 წელს. შემდგომში მან რეორგანიზაცია განიცადა და ამჟამად ის იწოდება "ტარიფების ფედერალურ საბჭოდ". იგი ადგენს და არეგულირებს ელექტროენერ-გეტიკული სისტემების ტარიფებს, იხილავს დავებს რეგიონულ ელექტროენერგო-კომპანიებს, საბითუმო ბაზარსა და მიმწოდებლებს შორის.

სომხეთის ბუნებრივი მონოპოლიების მარეგულირებელი კომისია ამ სახელწოდებით ფუნქციონირებს 2003 წლიდან. სხვა სახელით იგი შეიქმნა 1997 წელს. კომისია პასუხისმგებელია ტარიფების დადგენასა და ლიცენზირებაზე ელექტრო-ენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, თბოენერგიის, წყლის და ტელეკომუნიკაციების სფეროში.

მოლდოვას ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული სააგენტო ჩამოყალიბდა 1998 წელს. პასუხისმგებელია დარგის რეგულირებაზე, ტარიფების დადგენაზე და ლიცენზირებაზე ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და თბოენერგიის სექტორში. ვალდებულია ხელი შეუწყოს ენერგეტიკაში კონკურენ-ციის ზრდას, დაიცვას მომხმარებელთა უფლებები, შეიმუშაოს ტექნიკური სტანდარტები.

ესტონეთის ელექტროენერგეტიკული ბაზრის ინსპექცია ჩამოყალიბდა 1998 წელს. არეგულირებს ენერგიის და საწვავის ბაზარს, ადგენს ტარიფებს, გასცემს ლიცენზიებს, მონიტორინგს უწევს მომსახურების ხარისხს, ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას.

დასკვნა

საზღვარგარეთის ქვეყნების ელექტროენერგეტიკის სფეროს რეფორმირება-რეგულირების ჩვენს მიერ წარმოდგენილმა მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ ყველგან ჩატარდა იგი. ზოგიერთ ქვეყანაში,კერძოდ, მაღალგანვითარებულ სკანდინავიის ქვეყნებში და აშშ-ში ამ სფე როში კონკურენციული მოდელის ელემენტებიც კი შეიტანეს. მაგალითად,აშშ-მა შექმნა ლოკალური ელექტრობაზრები, სკანდინავიის ქვეყნებმა კი გარდა ნაციონა ლური, შიდასაქვეყნო ლოკალური ბაზრებისა, შექმნა რეგიონის ე. ი. სკანდინავიის ერთიანი ელექტრობაზარი.

ეს მიდგომა გასათვალისწინებელია და სამაგალითოა საქართველოსთვისაც, რომ მან იზრუნოს მთელი კავკასიის თუ არა, სამხრეთ კავკასიის ელექტრობაზრის შესაქმნელად მაინც. ამის პოტენციალი საქართველოს აქვს, თუ იგი შეძლებს აითვისოს თავისი მდინარეების და აგრეთვე, ენერგიის სხვა წყაროების შესაძლებლობები სრულად.

ლიტერატურა:

1. Зарубежный опыт реформирования электроэнергетики,ж.: "Вестник Федеральной энергетическо комиссии, 2001, №7.

2. თავაძე გ., ჩომახიძე დ., ბუნებრივი მონოპოლიები და რეგულირება, თბ., 2005.

3. Междунарожный опыт реформирования электроэнергетики. www.rao-ess.ru/reforming/foreign/mo/uso.pdf.

4. Томсон У., Реструктуризация электроэнергетики, ж.: "Вопросы Экономики", №11,2005.

5. Кустов Г., Реформирование электроэенергетики: европейский опыт, ж.: "Вестник Федеральной энергетической комисии, №5, 2002.

## FOREIGN EXPERIENCE OF REGULATING ELECTRIC POWER SUPPLY BY THE STATE

JUSTAN BOKUCHAVA
PhD student
Georgian Technical University

The article Foreign experience of regulating electric power supply by the state studies electric power supply regulation in developed and post-socialist developing countries. As examples of developed countries, USA, UK and Scandinavian countries are examined; from post socialist countries Czech Republic, Hungary, Poland, Moldova and Russia are considered.

As a conclusion, the article states that local markets of electric power supply are created everywhere. Moreover, Scandinavian countries even created a regional, so called Scandinavian electric power market.

The author suggests that in case Georgia fully uses its energy resources, the country will be able to create South Caucasus electric power market.

# ინტერნეტით აზარტული თამაშები – „შავი“ ფულის შოვნისა და „გათეთრების“ ახალი გზა

ირაკლი კოღუა
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი
599 69 95 52
E-mail: iraklikoghua@yahoo.com

*სტატიაში – „ინტერნეტით აზარტული თამაშები – „შავი“ ფულის შოვნის და „გათეთრების“ ახალი გზა“ – საუბარია ამ ახალ მეთოდზე, რომელმაც კაზინოებში აზარტული თამაშებით ფულის „გათეთრების“ ტრადიციული მეთოდი დიდი პროცენტით ჩაანაცვლა.*

*სტატიაში ინტერნეტით აზარტული თამაშების ნიშნით ქვეყნები დაყოფილია სამ ჯგუფად: ქვეყნები, სადაც ასეთი თამაშები დაშვებულია და რეგულირდება; ქვეყნები, სადაც ინტერნეტ-თამაშები კანონიერად ითვლება, მაგრამ არ რეგულირდება; ქვეყნები, სადაც ინტერნეტით აზარტული თამაშები არაკანონიერია. საქართველო მიეკუთვნება მეორე ჯგუფის ქვეყანათა რიცხვს. ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ ასეთი მდგომარეობა მეტად სახიფათოა დაუსაქმებელი ქართველი ახალგაზრდებისთვის და მიმართავს ქვეყნის მთავრობას, რომ მან გაამარტივოს მათი ბიზნესში დასაქმების გზები და საწყის ეტაპზე ფინანსურადაც დაუჭიროს მათ მხარი.*

ფულის „გათეთრება“ („გარეცხვა“) ხდება იმ ქვეყნებში, სადაც უკანონო გზით ნაშოვნი ფულის მოხმარება პრობლემაა. როდესაც ადამიანები „შავ“ ფულს აკეთებენ, იქნება ეს ნარკობიზნესი, აზარტული თამაშები, იარაღით ვაჭრობა თუ სხვა, მათ არა აქვთ მისი ლეგალური გამოყენების საშუალება, რადგანაც ეს თანხა რეგისტრირდება და დეკლარაციაში იწერება, რის შედეგადაც წარმოიშვება სერიოზული დისბალანსი. სწორედ იმისთვის, რომ ეს დისბალანსი არ წარმოიშვას, ასეთი „შავი“ ფულის პატრონები მას „ათეთრებენ“.

იმ ტრადიციულ მეთოდებს, რომლებითაც დღემდე ხდებოდა „შავი“ ფულის „გათეთრება“, დღეს არატრადიციული მეთოდები დაემატა. ერთ-ერთი ასეთია ინტერნეტით აზარტული თამაშები.

უკანასკნელ წლებში ინტერნეტში აზარტულმა თამაშებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. ნაწილობრივ ეს გამოიწვია ტექნოლოგიების მუდმივმა განვითარებამ, რამაც გააფართოვა ინტერნეტით აზარტული თამაშების შესაძლებლობები და შედეგად ეს თამაშები ადვილად ხელმისაწვდომი გახდა. ამან იმ ფინანსური სახსრების მოცულობაც გააფართოვა, რომელიც ამ სექტორში ტრიალებს.

როგორც წესი, ინტერნეტში აზარტული თამაშები ტრანსსასაზღვრო საქმიანობაა. ინტერნეტ-საიტის სამართავად გამოყენებული სხვადასხვა მდგენელები მთელ მსოფლიოში არის გაფანტული, მათ შორის ოფშორულ იურისდიქციებშიც. მაგალითად, აზარტული თამაშის ინტერნეტ-საიტი შეიძლება ერთი იურისდიქციის ქვეყანაში იყოს დარეგისტრირებული, სერვერი კი – მეორე ქვეყანაში. მეტიც, ინტერნეტ-საიტის მართვა და ფინანსური ოპერაციების მართვა შეიძლება ხდებოდეს მესამე იურისდიქციიდან. შედეგად, ამ სექტორის მართვაში ხშირად იმდენი დაინტერესებული მხარეა ჩართული, რომ მის რეგულირებაში იქმნება საკანონმდებლო და იურისდიქციული პრობლემები.

ყოველივე ამის მიუხედავად, ქვეყნის ხელისუფლებამ, სადაც არ არის აკრძალული ინტერნეტით აზარტული თამაშები (ასეთი ქვეყანაა საქართველო) უნდა იცოდეს ის რისკები, რომელსაც იგი უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი რისკია დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ფულის „გათეთრება“ („გარეცხვა“).

1. ფულის „გათეთრება“ ინტერნეტ-თამაშებით.

2009 წლის მარტში დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულის „გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფმა, ე. წ. „ფატფ“-მა კაზინოს მეშვეობით ფულის „გათეთრების“ ტიპოლოგიური ანგარიშგება წარმოადგინა. მისი მოსმენის

შემდეგ ფულის „გათეთრების" საწინააღმდეგო ღონისძიებათა შეფასების ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტმა „მანიველმ"-მა მიიღო გადაწყვეტილება, რათა ევროკავშირის ყველა ქვეყანამ, რომელშიც დაშვებულია ინტერნეტით აზარტული თამაშები გაატაროს დამატებითი ღონისძიებები მის საკონტროლოდ. მართალია, საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მაგრამ, ევროპასთან შეთანხმება „თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ" და აგრეთვე, „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება", გვავალებს ვიცხოვროთ იმ ნორმებით და წესებით, რომლითაც ცხოვრობს ევროპა.

ინტერნეტში აზარტული თამაშების ნიშნის მიხედვით ქვეყნები 3 ჯგუფად იყოფა [1, გვ. 6]:

1. ქვეყნები, რომლებშიც ინტერნეტით აზარტული თამაშები დაშვებულია და რეგულირდება. ასეთი იურისდიქციის ქვეყნებში ინტერნეტში შეიძლება განთავსდეს აზარტული თამაშების ინფრასტრუქტურა, რაც ინტერნეტ-საიტებს მსოფლიოს ქვეყნებისთვის თავისი მომსახურების შეთავაზების საშუალებას აძლევს.
2. ქვეყნები, რომლებშიც ინტერნეტში აზარტული თამაშები კანონიერად ითვლება, მაგრამ არ რეგულირდება. ასეთ ქვეყნებში დარეგისტრირებული ინტერნეტ-საიტები რადგან არ კონტროლდებიან უკანონო გზით მიღებული ფულის „გათეთრების" ანდა ტერორიზმის დაფინანსების დიდ რისკს შეიცავენ.
3. ქვეყნები, რომლებშიც ინტერნეტში აზარტული თამაშები არ ითვლება კანონიერად. ფულის „გათეთრების" მიზნით გაწეული ასეთი საქმიანობა, ბუნებრივია, სამართალდარღვევას წარმოადგენს, რადგან ამ საქმიანობით მიღებული ფული არის არაკანონიერი წარმოშობის. მთელი რიგი ქვეყნები აცხადებენ, რომ მართალია, თავის ტერიტორიაზე მათ აკრძალული აქვთ ინტერნეტში აზარტული თამაშები, მაგრამ, ინტერნეტ-საიტები ახერხებენ მათ ფინანსურ ოპერაციებზე არსებული შეზღუდვების გვერდის ავლას. მაგალითად, საკრედიტო ბარათებზე ტრანზაქციებს აძლევენ ცრუ კლირინგულ კოდებს და ა. შ.

პირველი ჯგუფის ქვეყნები არიან „მანიველ"-ის წევრები და ყველა ამ ქვეყნებში აზარტული თამაშებისთვის ბიზნესში სახელმწიფოსგან ლიცენზია უნდა გაიცეს. ყველა ამ ქვეყანაში ამ ტიპის ლიცენზიის გაცემის წესი და ასეთი თამაშების განხორციელება თითქმის ერთნაირია.

ლიცენზიაზე განცხადება შეაქვს იურიდიულ პირს. მას ოპერატორი ეწოდება. ლიცენზიის მიღების დღიდან ოპერატორი იმ ქვეყნის კანონმდებლობას ექვემდებარება, სადაც აიღო ლიცენზია. იგი ვალდებულია დაიცვას ამ ქვეყნის მოთხოვნები, როგორც ამ საქმიანობის წარმართვის, ისე ანგარიშგების წარდგენის კუთხით.

„მანიველ"-ის წევრ ქვეყნების ხელისუფლებები ლიცენზიამიღებულ ოპერატორების საქმიანობაში ძირითადად თვალყურს ადევნებენ იმას, რომ მათ ფულის გადმორიცხვები მიიღონ, ასევე, ლიცენზირებულ საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებისგან და არა საეჭვო ორგანიზაციებისგან. ზოგიერთ ქვეყნებში აზარტული თამაშების ოპერატორსა და მოთამაშეს შორის ანაგრიშსწორების ტრანზაქციები მხოლოდ სპეციალურ ანგარიშზე ხორციელდება. უმრავლეს სამართლებრივ სისტემებში ოპერატორები ვალდებული არიან, რომ თამაშით მიღებული სახსრები იმ ანგარიშზე შეიტანონ, რომელი ანგარიშიდანაც თავდაპირველ თამაშში ჩადეს ფული. ამით ხდება იმის დაზღვევა, რომ მოთამაშე მესამე პირს ვერ გადაურიცხავს ფულს. ზოგიერთ ქვეყნებში თვით საფინანსო-საბანკო დაწესებულებები მოითხოვენ კლიენტისგან, მოცემულ შემთხვევაში მოთამაშისგან, რომ მას საკუთარი ფული და თამაშით მიღებული ფული ჰქონდეს სხვადასხვა ანგარიშებზე. ეს ბანკს სჭირდება აზარტული თამაშებდიან ასეთი კლიენტის შემოსავლების დამატებითი კონტროლისთვის.

ინტერნეტში აზარტული თამაშების ოპერატორები თითოეულ მოთამაშეს არეგისტრირებენ (სახელი, გვარი, დაბადების წელი, მისამართი, ზოგიერთ შემთხვევაში, პირადობის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და მოთამაშის როგორც გადასახადის გადამხდელის ნომერი). ზოგიერთ ქვეყანაში შეზღუდვებია მოთამაშის ასაკზე (18 წლამდე, 21 წლამდე), ზოგიერთში კი – თამაშში ერთჯერადად დადებული ფულის მოცულობაზე, მოთამაშისთვის სესხის მიცემაზე, თამაშში მოთამაშის დაშვებაზე, თუ მას ანგარიშზე არ აღერიცხება ფული და სხვა. ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ თამაშებში საქართველოში 18-წლამდე ახალაგზრდის დაშვება აკრძალულია კანონით – „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ".

ინეტრნეტში გახსნილ სათამაშო ანგარიშების შესავსებად გამოიყენება: პროვაიდერებიდან გადმორიცხვები, სადებეტო ან საკრედიტო ბარათებიდან სახსრების შეტანა, ელექტრონული ფული, ელექტრონული გადარიცხვები და სხვა.

ინტერნეტში აზარტული თამაშების ფულის „გათეთრების" სხვადასხვა ვარიანტები გამოიყენება. მათ შორის ცნობილია [2, გვ. 17]:

- დამნაშავე აზარტული თამაშების ოფშორულ საიტის ოპერატორთან შეთანხმებით დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ფულს განათავსებს თამაშების ანგარიშზე და შემდეგ, ამ თანხას მოხსნის იქიდან, როგორც მოგებულს. საიტის ოპერატორი ამ თანხიდან იტოვებს მხოლოდ საკომისიოს, დანარჩენ „გათეთრებულ" თანხას კი, დამნაშავე დეკლარირებას უკეთებს საგადასახადო ორგანოში და იყენებს კანონიერი მიზნებისთვის;

- დამნაშავე შემცვლელი პირების მეშვეობით ოფშორულ იურისდიქციაში ქმნის კომპანიას. აღნიშნული კომპანია ოფშორულ იურისდიქციაში იღებს ლიცენზიას აზარტული თამაშების საიტის გახსნაზე. ამ საიტს აკონტროლებს დამნაშავე, რომლის დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფული ირიცხება ამ საიტის მეშვეობით;

- უკანონო გზით ნაშოვნი ფული სხვისი სახელით განთავსდება თამაშების ანგარიშზე. მოთამაშე, თამაშებში მინიმალურ აქტიურობას იჩენს. გარკვეული თანხების წაგების შემდეგ დარჩენილი თანხა თამაშების ანაგრიშიდან ბანკში გადაირიცხება დამნაშავის კანონიერ ანგარიშზე და ა. შ. „შავი" ფულის მეპატრონეები თანხმდებიან იმაზეც კი, რომ „გათეთრების" პროცესში მათ მიერ ნაშოვნი „შავი" ფულის საერთო თანხის 60-70% დაეკარგებათ [3, გვ. 36].

იმისათვის, რომ ქვეყნის ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა ადვილად მოახდინონ ასეთი დამნაშავეების იდენტიფიცირება, არსებობს მათი გამამჟღავნებელი რამდენიმე ნიშანი, კერძოდ:

- მოთამაშემ ინტერნეტის აზარტულ თამაშებში დიდი თანხა დადო, მაგრამ თამაშში არ აქტიურობს;

- კლიენტი თავის ანგარიშზე შემოდის სხვადასხვა ქვეყნიდან;

- მოთამაშე სხვადასხვა სახელით ხსნის რამდენიმე ანგარიშს;

- მოთამაშე ერთი სახელით ცდილობს რამდენიმე ანგარიშის გახსნას;

- მოთამაშე ცნობილ პოლიტიკურ მორვაწედ არის იდენტიფიცირებული და ა. შ.

ინტერნეტში აზარტული თამაშების მეშვეობით ფულის „გათეთრება" დანაშაულის თანამედროვე ტიპია, თუმცა კაზინოს მეშვეობით ფულის „გათეთრება" უძველესი დროიდან ხდებოდა. კაზინოებით დიდი შემოსავალი ჰქონდათ მათ მეპატრონეებსაც და ხელისუფლებასაც. მარტო იაპონური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის – „იაკუძას" შემოსავლებში, რომელიც ზოგიერთი მკვლევარის აზრით, 22 მლრდ დოლარამდეა, XX საუკუნის 80-იან წლებში 24%-ს სათამაშო ბიზნესი აძლევდა [4, გვ. 109].

„შავი" ფულის შოვნაც და მისი გათეთრებაც ყველა ქვეყანაში არაკანონიერად ითვლება. ასეა საქართველოშიც. მაგრამ, ამ საქმეს მარტო კანონის მიღება არ შველის. საჭიროა ღრმა და სრული გაკონტროლება. ეს კი საკმაოდ რთული საქმეა. „შავი" ფულის მშოვნელები და მისი „გამთეთრებლები" სულ ახალ-ახალ მეთოდებს იგონებენ, რომლებზეც ინფორმაცია მწირია. ეს ეხება ინტერნეტში აზარტული თამაშებით ფულის „გათეთრებასაც".

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს ეროვნულმა მთავრობამ თავიდანვე უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისმა მოქალაქემ ცხოვრების ეს გზა – „შავი" ფულის შოვნა და შემდეგ მისი „გათეთრება" – არ აირჩიოს. დაკვირვებები ცხადყოფს, რომ ამ გზას ძირითადად ღარიბი ქვეყნების, ე. წ. „ჩავარდნილი" სახელმწიფოების მოქალაქეები ადგებიან, სადაც მთავრობამ ვერ შეძლო ან არ მოისურვა მოსახლეობის ძირითადი მასის უზრუნველყოფა მთავარი საზოგადოებრივი დოვლათით – გარანტირებული სამსახური, უსაფრთხოება და საკუთრების უფლების დაცვა.

პერუელი ეკონომისტი ე. დე სოტო (და აგრეთვე ამერიკელი ეკონომისტი ტ. კურანი), ავტორი ეკონომიკური ბეტსელერისა – „სხვა გზა", წერს, რომ „მერკანტულისტურმა სახელმწიფომ" ბევრ ქვეყანაში შექმნა მრავალრიცხოვანი ადმინისტრაციული ბარიერები, რომლებიც პრაქტიკულად მოკვეთენ ღარიბ მოსახლეობას მეწარმეობიდან. სწორედ ამ მიზეზით კანონმორჩილი ღარიბი ადამიანები მიდიან ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში, ხოლო ბევრი მათგანი უფრო შორს – პოლიტიკურ ტერორში" [5]. ე. დე სოტოს ეს განცხადება, გაფრთხილება უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მთავრობისთვის, რომ მან მაქსიმალურად შეუწყოს ხელი არა აზარტულ თამაშებს, არამედ, მწარმოებლურ მეწარმეობას, რომელსაც ღარიბები, რომელთაც ხშირ შემთხვევაში დაწყებითი განათლებაც კი არა აქვთ, ადვილად გაუძლვებიან. დღეს, ასეთი პირობები საქართველოში არ არის შექმნილი. შედეგად, დაუსაქმებელი ახალგაზრდობა კომპიუტერებში არიან ჩაფლულნი და მასში ან ერთობიან, ან აზარტულ თამაშებს თამაშობენ, რომელსაც მათთვის მეტად ცუდი პერსპექტივა აქვს. დაუსაქმებელი ახალგაზრდობა დღეს ამას ვერ აცნობიერებს, ხვალ კი უკვე გვიან იქნება...

ლიტერატურა:

1. Отчёт МАНИВЕЛ от 11 апрелия 2013 г. утвержденый на 41-м пленарном заседании МАНИВЕЛ (8-12 апреля 2013 г.), Страсбург, 2013.
2. Овчинников Б., Рынок онлайн-платежей в России, М., 2013.
3. ქირია ო., ისწავლეთ ფულის „გარეცხვა", ჟ.: „მაკრო-მიკრო ეკონომიკა", №2, 2001.
4. ბალარჯიშვილი ი., დანაშაულის და სახელის ეკონომიკა, თბ., 2010.
5. Сото Э. ge. Иной путь., Челябинск, 2008.

ONLINE GAMBLING – A NEW TOOL FOR MAKING BLACK MONEY AND MONEY LAUNDERING

IRAKLI KOGHUA
PhD student
Georgian Technical University

The given article refers to the new tool of online gambling, which has largely replaced the old method of money laundering resulting from gambling in casinos.

The article divides countries into three categories with respect to online gambling: The countries, which allow and regulate gambling; the countries where online gambling is considered legal but is not regulated; the countries where online gambling is considered an illegal acivity.

Georgia belongs to the second category. According to the author, this endangers unemployed Georgian youth and the government should encourage their invlolvement in business startups and support them financially at an initial stage.

# Financial literacy and saving preferences: a study from rural areas of Armenia



**Arthur Pokrikyan,**
Doctoral Student at International Black Sea University
Financial Education Expert, Central Bank of Armenia
E-mail: arthur.pokrikyan@gmail.com
Mobile: +37493707229

*Global organizations and policymakers in different countries started to focus on the financial literacy as an important prerequisite for the financial inclusion and financial stability in economies. In this regard, the positive relationship between the saving behavior and the financial literacy has been indicated by various studies. However, an important query is whether this relationship holds in emerging countries such as Armenia.*

*In this paper, the relationship between financial literacy and saving preferences in form of deposits among people living in rural areas of Armenia has been studied. A survey was conducted in 24 villages from 6 different regions of Armenia and logistic regression analysis was applied. The results of the analysis show that there is a positive relationship between financial literacy and saving preferences, and one-unit increase in financial literacy score increases the saving preference towards deposits with the probability of 64.5%. Another significant factor impacting saving preferences is found to be trust towards financial system, which is assumed to be explained by historical evidence.*



## Introduction

During last decades, the financial inclusion has been largely discussed as an important factor for economic development. On the micro level, technological advancements impacted global financial infrastructure by laying the foundation for the development of new, nontraditional and complex financial services, which usually require additional knowledge and skills from people in order to be able to use them. Particularly, the issue of complex financial services becomes more apparent for financially excluded consumers, who may face daily challenges and bear additional costs while managing their personal budgets. Lewis & Lindley mention, that "people without a bank account usually pay more for utilities and other services" [5, p. 3], which is a serious threat to the wealth of consumers and creates an imbalance between consumption and saving. On the macro level, the aggregated effect of mentioned issues slows down the economic development of the country as well. Evidence from study conducted by CGAP shows that the increase in financial inclusion positively affects economic growth, employment and income distribution in the country [3].

The reasons why people do not use bank account, deposits or other financial services may vary. Study done by Russia Trust Fund [12] shows some of the important causes of financial exclusion such as geographical, infrastructure, legal, cultural, religious and educational barriers, as well as financial vulnerability caused by personal circumstances, technological exclusion (e.g. internet access) and low level of financial literacy. Given mentioned issues different countries have increasingly implemented targeted policies towards increasing financial inclusion and driving healthy financial behavior among consumers.

Several studies in developed countries show positive relationship between financial literacy and saving preferences, behavior of consumers in the long-term. The impact of financial literacy on saving behavior especially in the context of retirement has been discussed by many researchers. In their research Lusardi et. al [9] show how financial literacy might impact wealth accumulation through two main channels. First, they found a positive relationship between financial literacy and stock market activity. Second, they showed that financial literacy is positively related to the retirement planning as well. Evidence from similar studies done in the US, Canada, Germany and the Netherlands also show that financial literacy is positively related to retirement planning and those people who have higher financial literacy are more likely to have a retirement plan [2; 6; 7; 8].

The positive relationship between financial literacy and consumers' saving preferences, behavior holds in the short-term as well considering more simple financial tools for saving such as bank accounts and deposits. A research published by the European Central Bank, studied the performance of individual savings accounts based on financial

literacy, and, in this case also, results reveal that financial literacy positively impacts the returns on savings accounts. In addition, one of the issues raised by the authors is lack of information. Many households might choose better saving alternatives even within the same bank if proper shopping around is done [4].

Impact of financial literacy on saving preferences in developing and emerging economies have not been vastly studied. In the research done by Mahdzan and Tabiani [10] in the context of Malaysia, the results from the probit regression analysis again show the importance of financial education programs as a tool to influence the rates of savings on national level. Similar results have shown also research done in Romania. The multivariate regression analysis shows that individuals with higher financial literacy are more likely to save in short-terms by using simple saving tools as well as to invest in pension funds [1].

In this study the relationship between financial literacy and saving preferences of people in rural areas is discussed by the case of Armenia. Binary logistic regression is used based on the survey data from 24 villages in Armenia.

**Methodology and Data**

The research has a goal to estimate a model of qualitative nature by using Binary Logistic regression method. These kinds of analysis are typical in the area of financial literacy and financial inclusion, when there is a need to understand the relationship between binary dependent variable with different explanatory variables. The aim of research is to use the Logit method to predict the probability of relationship between financial literacy and respondents' saving preference (SP) in terms formal (e.g. deposit) and informal (e.g. keeping at home) ways illustrated by $SP=P(Yj=1 \mid Xi \approx x)$. Meanwhile, since the regression is binomial the method of generalized linear method (GLM) introduced by Nelder and Wedderburn [11] is used. The scores are calculated in a first step by $\beta_0+\beta_T X$ that represents a linear combination of explanatory variables. In the second step, SP will be estimated by means of the function G, which is a logistic function that takes values between 0 and 1.

$$SP=P(Yj=1 \mid Xi \approx x)=G(\beta_0+\beta^T X) \quad (1)$$

Variance function and link function are given by the following way:

$$V(p)=p*(1-p/1) \quad (2)$$
$$G(p)=\ln(p/(1-p)) \quad (3)$$

The data used in the research is collected from the 24 different villages in Armenia. The villages were chosen as a part of the project, which aims to develop financial literacy in the villages through workshops. Even though the villages were not chosen randomly, they are relatively diverse considering factors such as region, local population, distance from the big cities etc. The survey data collected from these villages before the workshops served as a base for this research. 515 respondents filled the questionnaire used for the survey. The latter included questions related to the preferences of respondents regarding saving, taking debt and seeking for information. It also included questions for revealing respondents' knowledge and skills on financial matters, trust towards the financial system, financial inclusion and descriptive information about respondents.

In this study the preference of respondents to save in form of deposits serves as a dependent variable, which takes only values 1, if the responded mentioned deposits as a preferable way of saving and 0, if any other option (save at home etc.). As mentioned before the goal is to find out how the preference of respondents to save in deposits change based on different factors. Thus, as explanatory variables serve the descriptive demographic variables such as gender, age, education, weather respondent has finance related education or not, marital status, employment, family income, portion of personal income in family income, as well as trust towards financial system and financial literacy score (FLS). The latter is the combination of financial knowledge and skills people need to make financial decisions and is calculated based on the correct responses on the questions which reveal respondents' financial knowledge and skills. It is the average of correct responses of 9 questions and may take values from 1 to 5.

| | |
|---|---|
| FLS<20%, | 1-very low level of financial literacy |
| 21%<FLS<40%, | 2-low level of financial literacy |
| 41%<FLS<60%, | 3-average level of financial literacy |
| 61%<FLS<80%, | 4-high level of financial literacy |
| FLS>81%, | 5-very high level of financial literacy |

(4)

In order to understand which explanatory variables should be included in the model to have best fit, the summary statistics of the variables were studied as well as Pearson chi-square test was performed, which shows the relationship of each independent variable with the dependent one. Table 1 presents the summary statistics of variables as well as results from the chi-square test.

**Table 1: Summary Statistics and Pearson chi-square test**

| Variable | # | Possible values | Obs | Mean | Std. Dev. | P-value |
|---|---|---|---|---|---|---|
| Female | 2 | Gender, =1, if the respondent is female, and =0 otherwise. | 511 | 0.58 | 0.49 | **0.003*** |
| Age | 4 | Age, =1, if the respondent is <18, =2, if 18-30, =3, if 31-60, =4, if 60>. | 473 | 2.76 | 0.65 | 0.715 |
| Edu | 5 | Education, =1, if no education, =2, if primary, =3, if secondary, =4, if vocational, and =5, if higher education. | 500 | 4.13 | 0.98 | 0.793 |
| Fedu | 2 | Education related to finance, =1, if Yes, and =0 otherwise. | 480 | 0.22 | 0.41 | **0.079*** |
| Ms | 3 | Marital Status, =1, if married, =2, if not married, and =3, if widow. | 473 | 1.27 | 0.56 | 0.746 |
| Emp | 8 | Employment of respondents, =1, if employee, =2, if self-employed, =3, if seasonal worker, =4, if unemployed, =5, if student, =6, if retired, =7, if businessman and =8, if unable to work. | 494 | 2.18 | 1.92 | **0.032*** |
| Inc[1] | 5 | Family income, =1, if <$100, =2, if $101-$200, =3, if $201-$400, =4, if $401-$700, and =5, if $700>. | 427 | 2.71 | 1.10 | 0.233 |
| Pinc | 5 | Portion of personal income in family income, =1, if <25%, =2, if 26%-50%, =3, if 51%-75%, =4, if 76%-99%, and =5, if 100%. | 411 | 2.47 | 1.48 | 0.318 |
| Trust | 5 | Trust towards financial system, =1, if very low, =2, if low, =3, if average, =4, if high, and =5, if very high. | 187 | 2.94 | 1.24 | **0.000*** |
| Fls | 5 | Financial literacy score, =1, if very low, =2, if low, =3, if average, =4, if high, and =5, if very high. | 481 | 2.67 | 0.96 | **0.016*** |

* the significance level is p-value<0.1

In the P-value column of Table 1, the Pearson chi-square test results for explanatory variables are presented. The ones, which are going to be included in the model, are chosen based on the significance. In order to make sure that no important variable is excluded from the model, the variables with P-value less than 0.1, which are mentioned in bold, were included in the model. In addition, based on the experience and literature mentioned before, it was also decided to include the variables "edu" and "inc" in the model, even though p > 0.1 for these variables.

Before applying logistic regression, it is also important to test the variables, which are chosen for the model, for mutual collinearity. As some of variables are ordinal Spearman's rank correlation is used. The analysis results for collinearity are presented in Table 2.

**Table 2: Spearman's rank correlation**

| | female | edu | fedu | emp | inc | trust | fls |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| female | 1 | - | - | - | - | - | - |
| edu | 0.16 | 1 | - | - | - | - | - |
| fedu | -0.06 | **0.17*** | 1 | - | - | - | - |
| emp | **-0.17*** | **-0.40*** | 0.01 | 1 | - | - | - |
| inc | -0.08 | **0.30*** | **0.17*** | **-0.21*** | 1 | - | - |
| trust | -0.03 | -0.05 | 0.05 | -0.01 | -0.01 | 1 | - |
| fls | **-0.23*** | 0.15 | 0.01 | -0.07 | **0.21*** | -0.07 | 1 |

* the significance level is p-value<0.05

There is no big correlation between any of the variables included in the model, even though only some of the values are significant. The number of observations for the analysis was 135. The positive Spearman's coefficient shows positive relationship between the variables, while the negative sign shows negative relationship, as in case of some variables. Relatively high correlation has "edu" in relation towards "emp" and "inc", respectively 0.4041 and 0.3048 in absolute terms. As there is no high collinearity between any of the variables, all of them were included in the model.

After the steps described above, the model might be described by the following way:

$$G(p)=\beta_0+\beta_1 sex+\beta_2 edu+\beta_3 fedu+\beta_4 emp+\beta_5 inc+\beta_6 trust+\beta_7 fls \quad (5)$$

During the analysis process of the model (model 1) it turned out that the presence of "inc" variable and constant impact the quality of the model, thus the "inc" variable was removed from the model and constant was suppressed by building a new model (model 2). Even though both model 1 and model 2 were globally significant Prob > chi2 less than 0.05 with a Chi2 statistic of 33.89 and 38.32 respectively, the specification error test shows better results for model 2.

**Results**

The results of the estimation for model 2 are shown in the Table 3. According to the output, 3 out of 6 variables are statistically significant to the threshold of 5%. The significance of "edu" is close to the level.

**Table 3: Binary Logistic regression output**

| Q2_deposit | Coef. | Std. Err. | z | P>\|z\| | [95% Conf. Interval] | |
|---|---|---|---|---|---|---|
| female | -0.78 | 0.39 | -2.01 | **0.044*** | -1.54 | -0.02 |
| edu | -0.29 | 0.15 | -1.9 | 0.057 | -0.59 | 0.01 |
| fedu | 0.44 | 0.45 | 0.96 | 0.336 | -0.45 | 1.32 |
| emp | 0.11 | 0.09 | 1.23 | 0.22 | -0.07 | 0.29 |
| trust | -0.47 | 0.15 | -3.04 | **0.002*** | -0.77 | -0.17 |
| fls | 0.59 | 0.2 | 3.02 | **0.002*** | 0.21 | 0.98 |

* the significance level is p-value<0.05

The values presented in column Coef. show the relationship between the explanatory variables and the dependent variable, where the dependent variable is on the logit scale. These estimates tell the amount of increase in the predicted log odds of Q2_deposit = 1 that would be predicted by a one-unit increase in the predictor, holding all other predictors constant. For the variables "edu", "fedu" and "emp", which are not significant, the coefficients are not significantly different from 0. In case of the variable "female" one-unit increase in the predictor, in this case going from male to female, it is expected a 0.78 decrease in the log-odds of dependent variable, holding all other explanatory variables constant. On other hand, from cross tabulation with financial literacy score it is obvious that women have significantly low level of financial literacy than men by 4 percentage points, p=0.021.

Similar relationship is observed between trust and respondents saving preferences as one-unit increase in the trust towards financial system results to the 0.47 decrease ceteris paribus. From Table 3, it can be inferred that the significance level for this variable is very high. The importance of trust may be explained by the historical evidence, which shaped the negative attitude of people towards financial system. In the beginning of 1990s many people lost their savings in the banks. It is also assumed to explain the fact that family income has no significant impact on the preferences of respondents regarding saving in deposits.

Table 3 indicates that financial literacy score has very high significance and one-unit increase leads to 0.59 increase in the log-odds of the dependent variable, holding all other explanatory variables constant.

However, as coefficients in are in log-odds units, they are often difficult to interpret, so it is better to use odds ratios. Odds ratio shows the ratio of probability of success and probability of failure. So given equation (4) and changing it according to the model 2 parameters, the equation for odds ratio will be:

$$p=\exp(\beta_1 sex+\beta_2 edu+\beta_3 fedu+\beta_4 emp+\beta_5 trust+\beta_6 fls)/(1+\exp(\beta_1 sex+\beta_2 edu+\beta_3 fedu+\beta_4 emp+\beta_5 trust+\beta_6 fls)) \quad (6)$$

**Table 4: Odds ratio**

| Q2_deposit | Coef. | Std. Err. |
|---|---|---|
| female | 0.46 | 0.18 |
| edu | 0.75 | 0.11 |
| fedu | 1.55 | 0.7 |
| %emp | 1.12 | 0.1 |
| trust | 0.63 | 0.1 |
| fls | 1.81 | 0.36 |

Table 4 presents the odds ratios for explanatory variables of the study. The odds ratio study given in Table 4 shows that the probability of success in case of financial literacy score is high and equal to 1.81, which means that one-unit increase of financial literacy score, will change the saving preference towards deposits with the probability of 64.5%.

**Conclusion**

Based on this research results, it can be concluded that the financial literacy has a relatively high importance in terms of shaping preferences of consumers towards deposits. However, on the other hand, there are several other factors, which affect saving preferences such as gender and trust towards the financial system. The importance of trust in emerging countries like Armenia and in developed countries as well is highly probable to be connected with historical evidence. In order to understand the causal relationship between saving preferences and trust towards financial system a deeper qualitative research should be initiated.

The policymakers in the area of the financial literacy, financial stability and inclusion may significantly benefit from the results of this study. Currently in frame of National Strategy for Financial Education, Central Bank of Armenia is putting a lot of efforts in the area of the financial literacy. Various projects for various target groups such as women, rural, youth are implemented. Having in mind the results of this study, it is important to note that even though financial literacy programs positively affect saving preferences of consumers with the probability of 64.5%, it does not necessarily mean that the desired behavior will be achieved. There is still an urgent need to study the relationship between the transformation of saving preferences into actions.

References


1. Beckmann, E. (2013). Financial Literacy and Household Savings in Romania. Numeracy, 6(2).
2. Boisclair, D., Lusardi, A., & Michaud, P.-C. (2014). Financial Literacy and Retirement Planning in Canada. NBER Working Paper No. 20297.
3. Cull, R., Ehrbeck, T., & Holle, N. (2014, April). Financial Inclusion and Development: Recent Impact Evidence. Focus Note No. 92.
4. Deuflhard, F., Georgarakos, D., & Inderst, R. (2015, September). Financial literacy and savings account returns. European Central Bank.
5. Lewis, S., & Lindley, D. (2015). Financial Inclusion, Financial Education, and Financial Regulation in the United Kingdom. ADBI Working Paper 544.
6. Lusardi, A., & Bucher-Koenen, T. (2011, October). Financial Literacy and Retirement Planning in Germany. Journal of Pension Economics and Finance, 10(4), 565 - 584.
7. Lusardi, A., & Mitchell, O. S. (2011, October). Financial Literacy and Retirement Planning in the United States. Journal of Pension Economics and Finance, 10(4), 509-525.
8. Lusardi, A., Alessie, R. J., & Rooij, M. (2011, October). Financial Literacy, Retirement Preparation and Pension Expectations in the Netherlands. Journal of Pension Economics and Finance, 10(4), 527 - 545.
9. Lusardi, A., J. Alessie, R., & van Rooij, M. (2012). Financial Literacy, Retirement Planning and Household Wealth. Economic Journal, Royal Economic Society, 122(560), 449-478.
10. Mahdzan, N. S., & Tabiani, S. (2013). The Impact of Financial Literacy on Individual Saving: an Exploratory Study in the Malaysian Context. Transformations in Business and Economics, 12(1-28), 41-55.

11. Nelder, J. A., & Wedderburn, R. M. (1972). Generalized linear models. Journal of the Royal Statistical Society, Series A 135(3), 370-384.

12. Russia Trust Fund. (2013). The role of financial education in financial inclusion: OECD/INFE evidence, policies, and illustrative case studies.

## ფინანსური განათლება და დანაზოგებთან დაკავშირებული პრეფერენციები: კვლევა სომხეთის რეგიონების მაგალითზე

არტურ პოკრიკიანი
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
სომხეთის ცენტრალური ბანკის ექსპერტი
ფინანსური განათლების საკითხებში

საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ საზოგადოების ფინანსურ განათლებაზე, როგორც ეკონომიკური ინტეგრაციისა და ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვან წინაპირობაზე. დადებითი კორელაციაზე ფინანსურ განათლებასა და დანაზოგების მფლობელთა ქცევას შორის ხაზგასმულია არაერთ სამეცნიერო კვლევაში. ამასთან, ჯერ კიდევ სამეცნიერო კვლევის საგანია რამდენად ვლინდება იგივე ტენდენცია განითარებად ქვეყნებში, მათ შორის სომხეთში.

წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია კავშირი რეგიონების მოსახლეობის ფინანსური განათლებასა და მათი დანაზოგების განკარგვისას დეპოზიტებისატვის უპირატესობის მინიჭებაზე. კვლევა ჩატარდა სომხეთის ექვსი რეგიონის 24 სოფელში ლოგიკური რეგრესიული ანალიზის გამოყენებით. ანალიზის შედეგები მიუთითებს დადებით კავშირზე განათლებასა და დანაზოგების მფლობელთა ქცევას შორის და რომ ფინანსური განათლების დონეს ერთი ერთეულით ამაღლება 64.5% ალბათობით იწვევს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დეპოზიტებისათვის უპირატესობის მინიჭებას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი რომელიც გავლენას ახდენს დანაზოგებთან დაკავშირებულ პრეფერენციებზე, არის ნდობა ფინანსური სისტემისადმი, რაც სავარაუდოდ აიხსნება ისტორიული ფაქტებიტა და გამოცდილებით.

# Impact of consumer loans on real GDP growth: Case of Armenia



**Narek Mkrtchyan**
Doctoral Student at International Black Sea University
Head of Business Analyses and Financial Reporting Department
Unibank OJSC, Armenia
E-mail: n.mkrtchyan@iset.ge
Mobile: +374 93224289

*Concerning recent developments in the global financial system stability issues, regulatory authorities are building a new framework of banking regulation which may assume tightening the credit standards and restricting credit supply. Taking into account the fact that one of the risky banking segments in Armenia is consumer loans sector, this paper concentrates on modeling and analyzing the impact of consumer loans supply on the real GDP growth for the case of Armenia. The question, that is made an attempt to give an answer to, is whether binding the consumer loans supply, for the sake of financial stability, has significant impact on the real GDP growth. Finally, the work does find enough evidence to claim that at this point of time growth of the consumer loans level in Armenia brings to a worse state of the economy by decreasing the real GDP growth rate; hence contraction of the sector for increasing financial stability could be accompanied by real GDP growth.*

## Introduction

Economic history of the entire world shows how devastating consequences shocks in financial system can bring to the real sector of a particular economy. There is an experience of The Great Depression, the most recent financial crisis in the US that shook all the world and dozens of crises across the globe. These crises showed that the financial sector of a country and financial institutions operating there can be vulnerable and, thus, can trigger crises. This issue gave rise to the new wave of Basel accord 3 which is a global regulatory framework on banks' capital adequacy, stress testing and market liquidity risks.

With the appearance of the need to improve the steadiness of the financial sectors, that is to make banking sectors throughout the globe more stable and firm, the new regulations are assuming tightening the credit standards and banks' lending activities. In the leading economic giants like USA, Japan or European Union central banks or regulatory authorities have already set the required target for the level of capital banks must hold. There have been set other requirements on the components of capital, such as the level of tier 2 capital. In many other countries the tool for increasing a bank's liquidity has been the capital adequacy ratio instead of the absolute level of total capital. However one could think that these two ways of increasing banks' capitalization level are the same if the banks have satisfied all the demand for the credits at the moment of introduction of new regulations.

კონკურენციის ჩარჩო კანონით უნდა განსაზღვრულიყო კონკურენციიის სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი დეფინიციები, რეგულირებები და იმპლემენტაციის დებულებები, როგორიცაა:

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონცენტრაციის რეგულირება, შემზღუდველი შეთანხმებები, შეთანხმებული ქმედებები და ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებები, სახელმწიფო დახმარება, შესაბამისი ბაზრის განმარტება და გამონაკლისთა ჯგუფისპრინციპები,ინსტიტუციურიდებულებები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტოს ჩამოყალიბება" [7, გვ.23].

ასევე, „კონკურენციის სააგენტოს მიზანი უნდა ყოფილიყო, ხელი შეეწყო ეფექტურ კონკურენციისათვის საჯარო სექტორში და უზრუნველეყო სახელმწიფო შესყიდვების ეფექტურობა საზოგადოებისა და ბაზარზე მონაწილე ეკონომიკურ აგენტთა სასარგებლოდ. ამრიგად, კონკურენციის სააგენტო იქნებოდა სახელმწიფო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა კონკურენციის დაცვას და ზედამხედველობას გაუწევდა სახელმწიფო შესყიდვებს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად."

სტრატეგიითვე იყო გაწერილი კონკურენციის სააგენტოს მენეჯმენტის სტრუქტურა:

„კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა უნდა განხორციელიყო საბჭოს და შესაბამისი პალატების/დეპარტამენტების მიერ. საბჭოს წევრებად განისაზღვრებოდა კომისიონერები, რომლებიც დანიშნული იქნებოდნენ განსაზღვრული ვადით. კომისიონერების დანიშვნის გამჭვირვალობა განისაზღვრებოდა ჩარჩო კანონით.

გადაწყვეტილებები მიღებული იქნებოდა კომისიონერების საბჭოს კრებაზე. საბჭოს კრებას ექნებოდა უფლებამოსილება, მიეღო გადაწყვეტილება კომისიონერების უმრავლესობის დასწრების შემთხვევაში.

კონკურენციის სააგენტოს ადმინისტრაციულ მენეჯმენტს განახორციელებდა აღმასრულებელი მდივანი [7, გვ.17].

სტრატეგიის მოთხოვნის შესაბამისად კონკურენციის სააგენტოს შემდგომი ინტიტუციური გაძლიერების მიზნით 2011 წლის 19 დეკემბერს გამოიცა პრეზიდენტის #3829 ბრძანებულება. ბრძანებულების მიხედვით, რეორგანიზებული იქნა სსიპ-სახელმწიფო შესყიდვებისა და სსიპ-თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოები და 2012 წლის 1 იანვრიდან შეიქმნა სსიპ-კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. ცვლიელების შედეგად ახლად შექმნილ სააგენტოს ევალებოდა როგორც თვისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, ისე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონების აღსრულების მონიტორინგი.

სააგენტოს ფუნქციები განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის #497 დადგენილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ. დადგენილების მიხედვით: საგენტოს სტრუქტურა ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმით: ა) კონკურენციის დეპარტამენტი; ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი; გ) მონიტორინგის დეპარტამენტი; დ) იურიდიული დეპარტამენტი; ე) ადმინისტრაციული დეპარტამენტი; ვ) ანალიტიკური ჯგუფი [15, მუხლი 5. პუნქტი 2]. ხოლო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი უნდა განსაზღვრულიყო შინაგანაწესით [15, მუხლი 5. პუნქტი 2].

ამასთან, სააგენტოს რეორგანიზაციის შემდეგ, 2012 წლის 8 მაისს მიღებული იქნა საკნანონმდებლო ცვლილებები (ცვლილებები შევიდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში). „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში, კონკურენციის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აისახა/დარეგულირდა: დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების; კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების; კონცეტრაციის რეგულირების; სახელმწიფო დახმარებების; ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებების; გამონაკლისთა ჯგუფის საკითხები. კანონის გარდამავალი დებულებებით განისაზღვრა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების ვალდებულება: ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის განსაზღვრის შესახებ; სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ; სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგადი წესის შესახებ; საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის შესახებ; განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესისა და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების შესახებ [11, თავი VII, მუხლი 34. პუნქტი 5].

აღნიშნული ცვლილებებით პირობითად დასრულდა კონკურენციის სფეროს რეფორმის მესამე ეტაპი, რომელიც მიღებული ფორმით გაგრძელდა 2014 წლის 21 მარტამდე (როცა დამტკიცდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონში შემდგომი ცვლილებები 21.03.2014).

მესამე ეტაპთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ:

- განხორციელებული რეფორმა რიგ შემთვევებში არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკებერს მთავრობის #1551 განკარგულებით დამტკიცებულ, კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრაეგიას.

შეცვლილი კანონმდებლობა არ მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს, როგორც ეს სტრატეგიით არის განსაზღვრული. შეიძლება ითქვას, რომ იგი სექტორულ მარეგულირებლებთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობით შემოიფარგლება მხოლოდ.

- სტრატეგიასთან არ არის შესაბამისობაში და საერთოდ სხვაგვარად არის გადაწყვეტილი კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური მოდელი. საბჭოს შექმნისა და კომისიონერების ვადით არჩევის ნაცვლად იგი ისევ მთავრობის დაქვემდებარებაში დარჩა. კონკურენციის საგენტოს ხემძღვანელიც კი არ არის ვადით დანიშნული. მას თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი [11, თავი I, მუხლი 4. პუნქტი 2].

- მიზანშეუწონელი იყო ასევე კონკურენციის სააგენტოსა და სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს რეორგანიზაციისა და ახალი კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწრაფო წესით (კანონში ახალი ცვლიელების

განხორციელებამდე/ამოქმედებამდე) შექმნა. ახალი სააგენტო შეიქმნა 2011 წლის დეკემბერში, ხოლო საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდადა 2012 წლის მაისში.

აღნიშნულმა გამოიწვია ის, რომ ზემოაღნიშნული სააგენტოები ფაქტიურად მექანიკურად გაერთიანდა და ასეთად დარჩა ბოლომდე. ახალად შექმნილი საეგენტოს დებულება ჯერ კიდევ შეუცვლელი ფორმით მოქმედი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონის შესაბამისად გაიწერა (კანონმდებლობაში ჯერ არ იყო განხორციელებული ცვილებები მთავრობის #1551 განკარგულების შესაბამისად).

აღნიშნულს მოყვა ისიც, რომ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების შემდეგ აღარ შეიცვლა (სააგენტოების კვლავ გაყოფამდე) კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს 2011 წლის 27 დეკემბრის #497 დადგენილებით მიღებული დებულება.

სააგენტო თავისი არსებობის მანძილზე (სანამ ისევ ორ სააგენტოდ გაიყოფოდა) მოქმედებდა დებულებით რომელიც არ იყო შესაბამისობაში საკნონმდებლო აქტებში განხორციელებულ ახალ (გაერთიანებული სააგენტოს შექმნის შემდეგ მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებზეა საუბარი) ცვლილებებთნ.

- აღსანიშნავია ისიც, რომ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არსებობის მანძილზე (2011 წლის 27 დეკემბერი 2014 წლის 14 აპრილამდე) არ შემუშავებულა შინაგანწესი. არადა საგენტოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი სწორედ შინაგანწესით უნდა განსაზღვრულიყო [15, მუხლი 5. პუნქტი 3].

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ ორი უწყების გაერთიანება მექანიკურ ხასიათს ატარებდა. ასევე, სააგენტოს რომელი სტრუქტურული ერთეული რაზე იყო პასუხისმგებელი ფატობრივად დაურეგულირებელი იყო. აღნიშნული ზრდიდა საქმის ქაოტურად და არაეფექტურად წარმართვის რისკს.

- კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არსებობის მანძილზე არ ამოქმედებულა ასევე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონით განსაზღრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის განსაზღვრის შესახებ; სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ; სახელმწიფო დახმარების გაცემის პროცედურის ზოგადი წესის შესახებ; საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის შესახებ; განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესისა და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების შესახებ [11, თავი VII, მუხლი 34. პუნქტი 5].

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების არარსებობა ფაქტობრივად უმოქმედოს ხდიდა კონკურენციის კანონის აღსრულების კუთხით ახლად შექმნილ სააგენტოს და როგორც ზემოთ აღვნიშნე მექანიკური არსებობის ჭრილში გადაჰყავდა იგი.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავ სისტემის რეფორმის ჯანსაღი ხედვისა, მესამე ეტაპი გამოირჩეოდა ფრაგმენტულობით და რეფორმის განხორციელების არათანმიმდევრულობით. როგორც ჩანს შექმნილი სიტუაცია არ იძლეოდა რეფორმის თანმიმდევრულად და სრულყოფილად განხორციელების საშუალებას.

მეოთხე ეტაპი შეიძლება ითქვას 2014 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

2014 წლის 21 მარტს ცვლილებები შევიდა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში.

ცვლილებების მიხედვით შეიცვალა კანონის სათაური და ჩამოყალიბდა როგორც „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი (21.03.2014).

ახლებურად ჩამოყალიბდა და ცვლილებები შევიდა მთელ რიგ მუხლებში. კერძოდ შეიცვალა კანონის რეგულირების სფეროსთან, კანონში გამოყენებული ტერმინთა განმარტებებთან, უფლებამოსილი ორგანოსთან, დომინირებული მდგომარეობასთან, კონკურენციის შემზღუდველ ხელშეკრულებებთან, კონცეტრაციისთან, არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან. სახელმწიფო დახმარებებთან, რეგულირებადი სფეროს მარეგულირებლებთან საგენტოს ურთიერთობასა და სააგენტოს გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებული მუხლები.

კანონის საფუძველზე 2014 წლის 14 აპრილს საქართველოს მთავრობის #288 დადგენილებით შეიქმნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი -კონკურენციის სააგენტო. საგენტოს სრულფასოვანი ფუქციონირება დაიწყო 2014 წლის ოქტომბრიდან, როდესაც დასრუდა კანონით განსაზღვრული ყველა კანონქვემდება ნორმატიული აქტის მიღება.

ჩვენ არ დავიწყებთ რეფორმის მე-4 ეტაპის დეტალურ შეფასებას. დრო გვიჩვენებს რამდენად ეფექტური და მიზანშეწონილია შესაბამისი ფორმით

განხორციელებული რეფორმა.

- ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი კონკურენციის სააგენტოსათვის იგივე დაკვირვების სფეროა როგორც ეკონომიკის სხვადახხვა სექტორების ბაზრები

უფრო მეტიც სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი ერთ ერთი უმსხვილესია. იგი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ს უტოლდება [8, გვ.9]. 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ 2,846,942,257 ლარს მიაღწია [8, გვ.9], ხოლო 2015 წელს 3,203,258,126 ლარი შეადგინა [9, გვ.10].

შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე კონკურენციის დაცვა/კონკურენტული გარემოს შექმნა და ბაზრის კონკურენციის კუთხით მონიტორინგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

აღნიშნული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონითაც დასტურდება. კანონის ერთ-ერთი მიზანია „სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება" (მუხლი 2. პუნქტი. ბ).

კანონის მე-13 მუხლით განსაზღრულია, რომ „ . . . შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად . . . საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას."

კანონის V თავის მიხედვით რომელიც შეეხება შესყიდვების მონიტორინგს და კონტროლს, 22-ე მუხლის მიხედვით „შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე . . . ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა" [13].

სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება პირდაპირ-პროპორციულად აისახება როგორც აღნიშნული ბაზრის, ისე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე (გამომდინარე ბაზრის მასშტაბიდან). საკითხს მგრძნობიარობას მატებს ისიც, რომ ბაზარზე მოქმედი შემსყიდველები არიან სახელმწიფო ორგანიზაციები, ანუ ორგანიზაციები, რომლიც არ არის ორიენტირებული მოგებაზე. მათზე არ მოქმედებს ეგრეთ წოდებული „უხილავი ხელის" პრინციპი და არ არის კონკურენტულ მდგომარეობაში სხვა შემსყიდველებთან.

შესაბამისად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ ბაზარზე კონკურენციის დაცვას, საქმიანობის გამჭვირვალობას და სიმარტივეს, რომლისკენაც უნდა იყოს მიმართული შესაბამისი მარეგულირებელი აქტები.

სწორედ ზემოაღნული მიზეზების გამო მოხდა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოების გაერთიანება. შესაბამისად, ჩვენი აზრით მიზანშეუწონელი იყო ამ სტრუქტურის ისევ ცალ-ცალკე საგენტოებად დაშლა (ერთიანი ორგანოს/სააგენტოს სტრუქტურულ, ფუნქციურ და რეგულირების კუთხით უპირატესობაზე აქ ამჯერად აღარ შევჩერდებით). უკეთესი იქნებოდა მომხდარიყო ერთიანი სააგენტოს შიდა რეორგანიზაცია და ფუქციური დახვეწა ვიდრე, ისევ ცალცალკე სააგენტოებად დაშლა.

ორი სააგენტოს გაერთიანება (სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის რეგულირების ერთ სააგენტოში თავმოყრა) არ იყო რაიმე „ახალი ველოსიპედის გამოგონება". გადაწყვეტილება, ზემოთ მოყვანილ მიზეზებთან ერთად, დაფუძნებული იყო ინსტიტუციური მოწყობის კუთხით განხორციელებულ კვლევაზე. კვლევებისას განხილული იქნა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური მოწყობის შესახებ. არჩევანი შეჩერდა შვედურ მოდელზე, რომელიც აპრობირებულია და ერთ-ერთ წარმატებულ მოდელად ითვლება ევროპაში. შვედური მოდელის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის კანონმდებლობის განხორციელების მონიტორინგი ერთ უწყებაშია თავმოყრილი. ჩაითვალა, რომ საქართველოს ბაზრის მოცულობისა და ქვეყანაში არსებული ეკონომიკურ მდგომარეობის გათვალისწიებით, უმჯობესი იქნებოდა კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური მოწყობის რეფორმა შვედური (ევროპაში აპრობირებული და მისაღები) მოდელის საფუძველზე განხორცილებულიყო.

შვედური მოდელის მიხედვით, შვედეთის კონკურენციის სააგენტოს მართავს დირექტორი, რომელსაც ჰყავს მოადგილე. სააგენტოს სტრუქტურა მოიცავს 7 დეპარტამენტს: კონკურენციის აღსრულების/ზედამხედველობის დეპარტამენტი (Competition Enforcement Department (AK)), სახელმწიფო შესყიდვების აღსრულების/ზედამხედველობის დეპარტამენტი (Public Procurement Enforcement Department (AU)), ადმინისტრაციული დეპარტამენტი (Administrative Department), კომუნიკაციებისა და საერთაშორისო

ურთიერთობზების დეპარტამენტი (Department for communications and international affairs), იურიდიული დეპარტამენტი (Legal Department), მთავარ ეკონომისტთა დეპარტამენტი (Chief Economist's Department), ადვოკატირების დეპარტამენტი (Advocacy Department) [20].

- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავრობის 2010 წლის 3 დეკეზერს #1551 განკარგულებით დამტკიცებულ, კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველ სტრატეგიასთან არ არის შესაბამისობაში და საერთოდ სხვაგვარად არის გადაწყვეტილი კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური მოდელი. სააგენტო ისევ საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაშია. ხელმძღვანელი არ ინიშნება ვადით. ჩვენი აზრით, უწყების დამოუკიდებლობის ხარისხი არასაკმარისია.

მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი იქნება შეიქმნას ერთიანი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რომელიც მოიცავს ბაზრის ყველა სექტორს, მათ შორის, როგორც რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს, ისე სახელმწიფო შესყიდვების ბაზარს. უწყება უნდა იყოს რეგულირებისთვის საჭირო მინიმალური (მხოლოდ გარდაუვლად აუცილებელი) ფუქციებით აღჭურვილი. თუმცა აღნიშნული საკითხი შემდგომი კვლევის საგანია. ჩვენ გავაგრძელებთ საკითხის შესწავლას და ეტაპობრივად მოგაწვდით კვლევის შედეგებს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. სლავა ფეტელავა, „კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში" - გამომცემლობა „ლოი", თბილისი 2007 წელი.
2. სლავა ფეტელავა, შალვა გოგიაშვილი, „კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურისი)" - გამომცემლობა „ლოი", თბილისი 2007 წელი
3. სლავა ფეტელავა, შალვა გოგიაშვილი, „ანატიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა" - გამომცემლობა „ახალი საქართველოს", თბილისი 2013 წელი
4. გ. წერეთელი, ს. ფეტელავა, დ. შაბურიშვილი, „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო - გაწეული მუშაობის ანგარიში (2008 წელი)" - გამომცემლობა „ლოი", თბილისი 2009 წელი
5. გ. წერეთელი, ს. ფეტელავა, დ. შაბურიშვილი, „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო - გაწეული მუშაობის ანგარიში (2007 წელი)" - გამომცემლობა „ლოი", თბილისი 2008 წელი
6. შალვა გოგიაშვილი, „კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში" - საგამომცემლო სახლი „ინოვაცია", თბილისი 2009 წელი
7. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის #1551 განკარგულება „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ"
8. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2014 წლის ანგარიში - თბილისი 2015 წელი http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2014-tslis-angarishi-geo.pdf.aspx
9. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 2015 წლის ანგარიში - თბილისი 2016 წელი http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/AnalyticalStudiesReports/2015-wlis-angarishi.pdf.aspx
10. საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ - 03.06.2005
11. საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ - 22.08.2012
12. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი - 21.03.2014
13. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი - 23.12.2015
14. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 29 თებერვალს #143 ბრძანებულება, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს შექმნის შესახებ"
15. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის #497 დადგენილება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ"
16. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 19 დეკემბერის #829 ბრძანებულება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შექმნის შესახებ"
17. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის #497 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ"

18. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილს #288 დადგენილება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“

19. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდი www.mof.ge, http://www.mof.ge/4760. (15.09.2016)

20. შვედეთის კონკურენციის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.konkurrensverket.se/en, http://www.konkurrensverket.se/en/omossmeny/about-us/organisation/ (15.09.2016)

## Aspects of practical implementation of the competition policy in Georgia

Lasha Mgeladze
Magister of economics

Considering broad public interest in the country, the article is about the subject of competition (anti-monopoly) policy. People often talk about nonexistence of the authority regulating competition, or its improper functioning or insufficient sophistication of the respective legal base, ineffective management of various processes taking place in the economy or its different branches.

Because of the above said, the article reviews the aspects of practical implementation of the competition policy in Georgia which is conditionally divided into 4 parts and covers the period from 1992 up to now. The history of creation and development of the competition regulatory authority and legislation is reviewed at each stage. Author’s assessment of each stage is provided. At last, author’s view about legal model, as well as the institutional arrangement is briefly presented in form of a conclusion.

In the conclusion it is mentioned that it is recommended to create a single independent regulatory authority which will cover all segments of the market, among them the regulated economic sectors, as well as the state procurement market. The authority must be as transparent as possible and it must be equipped with minimal functions (critically necessary only) required for regulation. It is also explained that the issue of appropriateness of the model given in the conclusion is the subject of further research.

# ცოტა რამ ევკალიპტის შესახებ



სიმონ ზაქარაია
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

ევკალიპტების მასობრივი ნარგაობა ხალხის სამსახურში

„ეძლევა რა უდიდესი მნიშვნელობა ევკალიპტების გავრცელებას საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში, საქართველოს კ/პარტიის ცენტრალური კომიტეტი შემდეგშიაც შეუნელებელ მოთხოვნებს წაუყენებს სუბტროპიკულ რაიონებში განლაგებულ ყველა წარმოების ხელმძღვანელს, რათა მუდმივი ყურადღება არ შეანელოს ევკალიპტის გეგმიური გაშენების მიმდინარეობაზე. უახლოეს წლებში ევკალიპტის ხეები უნდა ხარობდეს ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიებზე. სოფლის მოსახლეობის გარშემო, ქუჩების გასწვრივ, მისთვის ცალკე გამოყოფილ ფართობებზე, სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების და სხვა დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიებზე. ასევე მთლიანად უნდა გამწვანდეს ქალაქები და სოფლის ცენტრები.“

საქ. კ/პ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ლავრენტი ბერია.
თბილისი.1934 წ.

მცირე ცნობები ევკალიპტების შესახებ

ევკალიპტები კონტინენტ ავსტრალიისა და კუნძულ ტასმანიის ენდემია, ასევე მცირე რაოდენობით გვხვდება მის ჩრდილოეთით გაბნეულ ზონდის კუნძულებზე და ახალი გვინეის ტერიტორიაზე. ოკეანისა და ზღვის გენიალურ მცურავებს ეს გიგანტური მცენარე მსოფლიოს არც ერთ მხარეში არ შეუნიშნავთ. პირველად ეს უცნაური სიდიდის - 100 მეტრზე მეტი სიმაღლის მცენარეები აღწერეს ინგლისელმა ბოტანიკოსებმა ვ. ანდერსონმა და დ. ნელსონმა, რომლებიც ჯეიმს ჰუკს ახლდნენ მესამე ექსპედიციის დროს 1777 წ. ავსტრალასა და კუნძულ ტასმანიაში. ჯ. ჰუკმა კუნძულ ტასმანიაზე სპეციალურად დაამზადებინა ერთი ხისგან ფიცარი, რომლის სიგრძე 70 მეტრი იყო, სიგანე 3 მეტრი, სისქე 6-7 სმ. რომელმაც ლონდონში მნახველთა უსაზღვრო განცვიფრება გამოიწვია. ბოტანიკოსების მონაცემებით (მიულერი; 1879 -1884; მეიდანი; 1903 – 1933; ბლეკლი; 1943 – 1955;) ავსტრალიაში და კუნძულ ტასმანიაზე ევკალიპტების 522 სახეობა და 150 სახესხვაობაა აღწერილი. გვარი Eucalyptus, ოჯახი Myrtaceae. ევკალიპტების უმრავლესობა მარადმწვანეა გარდა 10 სახეობის ფოთოლმცვენი ბუჩქოვანებისა. გიგანტურ სექვოიასთან ერთად ისინი მსოფლიოს მერქნიან მცენარეთა შორის როგორც სიმაღლეში, ასევე შტამბის გარშემოწირულობით, ყველაზე დიდია. მის სამშობლოში ევკალიპტის ზოგიერთი სახეობა 100 მეტრ სიმაღლეს აღწევს, მათი მერქნის დიამეტრი ფესვის ყელთან 10 მეტრამდეა. სამშობლოს გარეთ ევკალიპტ ( E –regnans F .V.) რეგნანსი განსაცვიფრებელ სიდიდეს მხოლოდ ბრაზილიაში, მდინარე ამაზონის ხეობებში, სადაც მისმა სიმაღლემ - 150 მეტრს მიაღწია, ხოლო დიამეტრმა კი ფესვის ყელთან 10-12 მეტრს.



Рис. 2 Ствол эвкалипта E. regnans F. v. M. в штате Виктория (Австралия)

მერქნის სიმაღლე 100 მეტრია, ხოლო დიამეტრი ფესვის ყელთან - 10 მეტრი. ევკალიპტის E –regnans F .V (M. B. Герасимов)

ევკალიპტები მსოფლიოში

ევკალიპტების ძვირფასი ბიოლოგიური და სამეურნეო მნიშვნელობის თვისებების გამო, დედამიწის ზურგზე არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ასეთი სისწრაფით და რაოდენობით გავრცელებულიყოს სხვა რომელიმე, თუ გნებავთ სასურსათო კულტურაც კი. ამჟამად იქ, სადაც ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი - 20$^0$ C დაბლა არ ეცემა, ევკალიპტები ყველა კონტინენტზეა გავრცელებული. მას დიდი წარმატებით იყენებენ გამწვანებაში, მერქნის წარმოებაში, ქარსაფარ ზოლებსა და ტყეების გასაშენებლად, ძვირფასი ეთეროვანი ზეთების მისაღებად და სხვა. ისე ბუნებრივი არეალი ევკალიპტების გავრცელებისა არის ჩრდილოეთი განედის 58$^0$, რომელიც გადის შოტლანდიაზე და სამხრეთის განედი 46$^0$, რომელიც გადის ახალ ზელანდიაში.

ევკალიპტი 40-50 წლის განმავლობაში გახდა მრავალი დიდი თუ პატარა ქვეყნების ეკონომიკური შემოსავლის წყარო. მისი ხე-ტყისა და მისგან დამზადებული სამშენებლო მასალების ხვედრითი წილი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

ბოლო ასი წლის განმავლობაში, თავისი სამშობლოს გარეთ ევკალიპტები გავრცელებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის მატერიკზე, ევროპის უმრავლეს ქვეყნებში, აფრიკის კონტინენტზე, ირანის, პაკისტანის, ინდოეთის, ჩინეთის (ეს ქვეყანა ძვირფასი ეთეროვანი ზეთების წარმოებით ბოლო 50 წ. მანძილზე პირველ ადგილზეა მსოფლიოში), იაპონიის, ლაოსის, ვიეტნამის, ტაილანდის, ფილიპინების და სხვა ქვეყნებში. მას ამჟამად ათეულობით მილიონი ჰექტარი უჭირავს მსოფლიოში. მარტო ავსტრალიაში 8 მილიონზე მეტი ჰექტარი უჭირავს მის საწარმოო პლანტაციებს. აი როგორ გამოიყურება ევკალიპტების გავრცელების არეალი მსოფლიო ქვეყნებში:

ბრაზილია - 400 ათასი ჰა.
ესპანეთი - 170 --- " ----
სამხრეთ აფრიკის კავშირი - 170 --- " ----
კუნძული მადაგასკარი - 135 --- " ----
ურუგვაი - 65 --- " ----
პორტუგალია - 60 --- " ----
ჩილე - 50 --- " ----
არგენტინა - 35 --- " ----
მაროკო - 25 --- " ----
აშშ - 25 --- " ----
ინდოეთი - 15 --- " ----
კენია - 010 --- " ----
ახალი ზელანდია - 8 --- " ----
ალჟირი - 5 ათასი
ეთიოპია - 4 --- " ---
ისრაელი - 3 --- " ----



Рис. 9. Естественный ареал эвкалипта

ევკალიპტების სახეობების გავრცელების არეალი საკუთარ სამშობლოში - ავსტრალიაში.

გარდა ამისა ათას ჰექტარზე მეტი ან ნაკლები ფართობები აქვთ გაშენებული კუბას, პერუს, ნიგერიას, როდეზიას ეკვადორს და სხვ. აქ ჩინეთი ჯერ კიდევ მცირე იმპორტიორთა რიცხვში იყო, თუმცა ახლა ეს უდიდესი ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ევკალიპტის ეთეროვანი ზეთის წარმოებით მსოფლიოში, მან უკვე მოასწრო რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და სხვა დიდი ქვეყნების ბაზრების დაპყრობა და მონოპოლია.

ეს მონაცემები საკმარისია ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ თუ რა საოცარი სისწრაფით დაიპყრო ევკალიპტებმა მსოფლიოში ახალ-ახალი სივრცეები და როგორ „დაეპატრონა" ახალი ქვეყნის ეკონომიკურ ბერკეტებს მისი მრავალმხრივი გამოყენებით.




ევკალიპტები საქართველოში

რევოლუციამდელ რუსეთში და მის კოლონიურ ქვეყნებში პირველად ევკალიპტები შემოიტანეს ყირიმის ნახევარკუნძულზე, ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში - 1816 წ; სოჭში - 1891 წ; თბილისში 1863 წ; (თუმცა თბილისის ბოტანიკურ ბაღში ყველა შემოტანილი სახეობები დაბალი ყინვების მოქმედებით ყველა დაიღუპა). სოხუმში - 1868 წ; ფოთში - 1870 წ; ქუთაისში - 1870 წ; ბათუმში - 1882 წ. (М. Б. Герасимов, эвкалипт. Гослесбумиздат, Москва – 1962 ).

სწორედ ცენტრალური კომიტეტის ზემოთხსენებული დადგენილების შესრულებისათვის დიდი სამუშაოები გაჩაღდა დასავლეთ საქართველოში, შეიქმნა ევკალიპტების სპეციალიზირებული სანერგე მეურნეობები, წინასწარ იქნა გამოყოფილი ევკალიპტის მუდმივ ადგილზე დასარგავი ფართობები, წარმოებდა ბაღ-პარკებისა და გზისპირების გამწვანება, შენდებოდა ქარსაფარები, ტყეები და სხვ. ასეთი ტემპებით და რაოდენობით ნერგების გამოყვანა, (მილიონობით ძირი) და დარგვის პროცესები რამდენიმე წლით შეაჩერა დიდმა სამამულო ომმა, მაგრამ იგი განახლდა 1944-45 წწ. სახელმწიფოს სტატისტიკური მონაცემებით 1934–1949 წწ. დასავლეთ საქართველოში დარგული და გახარებული იქნა 50 მილიონი ევკალიპტის სხვადასხვა სახეობის მცენარე. ამ ჭეშმარიტად გრანდიოზულ ღონისძიებას მოულოდნელად დიდი ზარალი მიაყენა 1949-50 და 1953-54 წწ.-ის ზამთრის ძლიერ დაბალმა ყინვებმა, (-8-120C

და ზოგან -17⁰C. სუსხიან ზამთარში მთლიანი ნარგაობის 95% გაიყინა! მხოლოდ 2,5 -3% გადარჩა მცირე დაზიანებით ან დაუზიანებლად.

საქმის რეალობა იმაში მდგომარეობდა, რომ თესლები, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ დარგის სპეციალისტებს, დაშვებული იქნა მექანიკური შეცდომა, მათი უმრავლესობა აღმოჩნდა სუსტი ყინვაგამძლე ეგზემპლიარებისგან დამზადებული. რამაც ევკალიპტებზე ინტენსიური მუშაობა რამდენიმე წლით შეაფერხა. აღნიშნული ზამთრების კრიტიკულად დაბალი ყინვებისაგან გადარჩენილი ევკალიპტები დღესაც დაუზიანებლად ხარობენ და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ეგზემპლიარები დასავლეთ საქართველოს ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში უკვე აკლიმატიზირებულია.



Рис. 1. Эвкалипт в возрасте 67 лет в Чакве (Аджарская АССР). Фото А. Е. Проценко

ევკალიპტების გამოყენება

მარადმწვანე ევკალიპტები უნიკალური დეკორაციული მცენარეებია

ფოთლების ფორმის, წამტაცი შეფერილობისა და სივრცეში ამაყად ატყორცნილი ვარჯის განუმეორებელი სილამაზის გამო, ევკალიპტები მსოფლიოში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთ უმშვენიერეს დეკორატიულ მცენარედ.

ევკალიპტების მწავნე ხეივანში გამვლელი თუ მოსეირნე ადამიანები ძალაუნებურად ხდებიან ამ გასაოცარი სილამაზის თანაზიარნი, რის გამოც მათმა გუნება-განწყობილებამ არ შეიძლება არ განიცადოს დიდი ესთეტიკური სიამოვნება, მით უფრო, როცა ამ მცენარეებთან დაყოვნებას სამკურნალო მნიშვნელობაც გააჩნია.

ევკალიპტების ბიოლოგიური თვისებებიდან გამომდინარე, ამ მცენარის ტოტებზე თითქმის მთელი წლის განმავლობაში ერთდროულად შეიმჩნევა მწიფე კოლოფები, ახალგამონასკვული ნაყოფები და გაშლილი ყვავილები, რომელნიც სასიამოვნო და მიმზიდველი სურნელებით ხასიათდება.

ევკალიპტები თაფლოვანი ყვავილების მქონე მცენარეებია

საქართველო განსაკუთრებული ჯიშის ფუტკრის სამშობლოა, სადაც ტრადიციულად ათასეული წლების განმავლობაში მზადდებოდა საუკეთესო ხარისხის თაფლი და მისი თანმდევი ნაწარმი. მას ისეთი რაოდენობით აწარმოებდნენ და გაჰქონდათ ქვეყნის გარეთ, რომ იგი მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროსაც წარმოადგენდა. ლიტერატურული წყაროები მოწმობენ, რომ

დასავლეთ საქართველოში ფუტკრის ოჯახები არა მარტო მოსახლეობაში იყო მასობრივად გავრცელებული არამედ, ისინი ტყის ფუღურო ხეების ხშირი ბინადრებიც ყოფილან, საიდანაც ხდებოდა მაღალი ხარისხის თაფლის მოპოვება. ასეთი ფაქტის მომსწრე ჩვენც ვყოფილვართ, როცა სოფლის ხანდაზმული მაცხოვრებლები ტყეში მიდიოდნენ და წინასწარ მოძებნილი და შესწავლილი ფუღურო ხეებიდან თავს მოიპოვებდნენ.

მაგრამ საუბედუროდ ეს საუკუნოვანი ტრადიცია საბჭოთა სისტემის დანერგვის პერიოდში ტყეების მასობრივმა ამოძირკვამ, ველ-მინდვრების გამასივებამ გაანადგურა და მოსპო, როგორც მერქნიანი ყვავილოვანი, ასევე მინდვრის სურნელოვანი ბალახოვანი მცენარეები. ასევე მცენარეებზე პერიოდულად შხამქიმიკატების ხსნარებით შესხურებამ სხვა მწერებთან ერთად მნიშვნელოვნად შეამცირა ფუტკრის ოჯახებიც, ამ პროცესმა თითქმის შეანელა საუკეთესო და საამაყო დარგის -- მეფუტკრეობისა და თაფლწარმოების ინტენსიური პროცესი საქართველოში. ამიტომ ევკალიპტების ტყეებისა და ქარსაფრების გაშენება, სხვა რიგ სიკეთეებთან ერთად, როგორც თაფლოვანი მცენარე, საუკეთესო საშუალება იქნება მეფუტკრეობის დარგის აღსადგენად.

ტრანსპირაციის მაღალი კოეფიციენტი ანუ მისი ტურგორული ძალა

ევკალიპტის ფოთლებს, ნიადაგში არსებული ჭარბი ტენის ტრანსპირაციის დიდი უნარი აქვს. მეცნიერების მიერ სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებითდადგენილია,რომევკალიპტისტოტმა, რომლის ფოთლების წონა 20 კილოგრამამდეა, 24 საათის განმავლობაში, როცა ჰაერის ტემპერატურაა 25-280C, აორთქლა ათეულობით კგ. წყალი. ამდენად მათი ხშირი ნარგაობა საუკეთესო საშუალებაა ჭარბტენიანი ნიადაგებიდან ზედმეტი ტენის მოსაცილებლად. ნიადაგის წყლის ასეთი ინტენსივობით აორთქლების შედეგად, ნარგაობის გარშემო ჰაერის ტენიანობა მატულობს, ხდება პაპანაქება სიცხისას ჰაერის ტემპერატურის დაწევა 3-40C -ით, რითაც ბაღში მოსეირნეები დიდ სიამოვნებას განიცდიან.

ევკალიპტები ფიტონციდური მცენარეებია, ისინი განეკუთვნებიან სამედიცინო-სამკურნალო მცენარეთა ჯგუფს

სამკურნალო და ეთერზეთოვანმა სურნელოვანმა მცენარეებმა დიდი ხანია განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ისეთი დარგის სპეციალისტებისა, როგორიცაა ბიოლოგები, მიკრობიოლოგები, ფარმაკოლოგები, იმუნოლოგები, ჰიგიენისტები, პულმონოლოგები (მეცნიერება, რომელიც სწავლობს ფილტვების არასპეციფიკურ დაავადებებს, როგორიცაა ქრონიკული პნევმონია, ბრონქიანული ასთმა, ფილტვების კიბო) და სხვა.

ევკალიპტების მრავალ სასარგებლო თვისებათა შორის ერთ-ერთია მისი ფიტონციდურობა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს, ხელს უწყობს მის ორგანიზმში იმუნოგენური თვისებების გაძლიერებას.

ფიტონციდი ორი სიტყვისგან შედგება პირველი -- ბერძნული piton ნიშნავს მცენარეს, მეორე ლათინური -- cacdoc კი აქროლად, დამცავ ნივთიერებას, რომლებიც თრგუნავენ ბაქტერიების, ვირუსებისა და სხვა უმარტივესთა ზრდა-განვითარებას.

არაერთი მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფის მიერ დადასტურებულია, რომ ევკალიპტის ნარგაობის მწვანე მასა, ნელ-ნელა, მაგრამ მუდმივად გამოყოფს ბიოლოგიურად აქტიურ, ტოქსიკური თვისებების მქონე აქროლად ნივთიერებებს, რომლის სივრცეში მოხვედრილი პათოლოგიური ვირუსები და ბაქტერიები იღუპებიან.

... თუმცა ევკალიპტის ერთეული ნარგავების ზეგავლენა გაბინძურებულ გარემოზე, რა თქმა უნდა უმნიშვნელოა. იმისათვის, რომ ეს ღვთიური მცენარე მუდმივად ჩავაყენოთ ადამიანის ჯანმრთელობის ყოველდღიურ სამსახურში, საჭიროა ქალაქებსა და დასახლებული პუნქტების გარშემო გაშენდეს მათი მეტი რაოდენობა, შევქმნათ მწვანე მასის სიუხვე, რაც გამოყოფილ სასარგებლო აქროლად ნივთიერებას სასურველ რაოდენობამდე გაზრდის. ერთი სიტყვით, ფიტონციდური აირის კონცეტრაცია ჰაერში პირდაპირ პროპორციულია ევკალიპტების ნარგაობის სიხშირეზე.

ევკალიპტების მწვანე მასის მიერ გამოყოფილი აქროლადი ნივთიერება გროვდება ნარგავების გარშემო ნისლივით, რომელიც ნიავსა და სუსტი ბრიზების ზემოქმედებით ჰაერთან ერთად ის აღწევს საცხოვრებელი ბინების, საბავშვო ბაღების, სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივ შენობებში და იქ იწვევენ, ყოველგვარი პათოგენური, უხილავი ანტისხეულების წინააღმდეგ მოქმედებას, თრგუნავს მათ და აჯანსაღებს როგორც გარეთა, ასევე შენობების შიგნითა სივრცეს.

ცნობილმა მეცნიერმა ა. კომაროვამ ხანგრძლივი გამოკვლევებით დაადგინა, რომ მცენარეული, კერძოდ ევკალიპტის აქროლადი ნივთიერებებით საბავშვო ბაღის შიდა ოთახების გამდიდრება იწვევს

მათ სტერილიზაციას. ევკალიპტების გარემოცვაში მთლიანად შეზღუდულია გრიპის გამომწვევი ეპიდემიის გავრცელება ადამიანთა შორის. ევკალიპტების ფიტონციდურობა საქართველოში დაადასტურა ბათუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ-თანამშრომელმა რ. ს. ჩიჯავაძემ და დღეს, როცა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ბუნებრივი ტყეებისაგან გაჩეხილია, როცა ყოველდღიურად გლობალურ ხასიათს ღებულობს სხვადასხვა ვირუსული და ბაქტერიული დაავადებების ფაქტები, შინაური და გარეული ფრინველებისა და ცხოველების ასი ათასობით დახოცვა, როცა მოსახლეობაში იხმარება ტონობით სხვადასხვა ფორმისა და ქიმიური შემცველობის პრეპარატები, ასეთ დროს ევკალიპტების ნარგაობის მასშტაბურად გავრცელება, მოსახლეობის ჯანმრთელობის გამყარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იქნება.

კონკრეტულად თუ ვიტყვით, მაქსიმალურად უნდა გავამწვანოთ ევკალიპტებით ქალაქებისა და სოფლის ტერიტორიები, განსაკუთრებით საბავშვო ბაღები, სკოლები, საავადმყოფოები, დასასვენებელი სახლები, ასევე კერძო საკარმიდამო ნაკვეთების განაპირა ზოლები, სოფლის გზის პირები და სხვ.

საკურორტო ზონის გარშემო ტერიტორიებზე უნდა შეიქმნას ევკალიპტების ნარგაობის მტკიცე ბაზა, სადაც ამ მცენარეების ვარჯის მწვანე მასა შექმნის გაბმულ უქყვეტ სივრცეს, ამ მასის მიერ გამოყოფილი აქროლადი აირი,თანდათან ტერიტორიებიდან გააძევებს სისხლისმწოველ, განებივრებულ კოღოებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან მოსვენებას არ აძლევს მოსახლეობას. გარდა ამისა, ქალაქში ევკალიპტების ხშირი ნარგაობა შთანთქავს ნახშირორჟანგა გაზს და სხვა მომწამვლელ აირებს, გამოყოფს ჟანგბადს ოზონის სახით, ჰაერს ასუფთავებს მტვრისაგან, ახშობს ხმაურს, ახდენს წყლის ტრანსპირაციას, არბილებს ზაფხულის სულისმხუთველ სიცხეს, მის ხეივანში აქროლადი ნივთიერებების გამოყოფის გამო ჰაერის ტემპერატურა 3-40C -ით დაბალია ნებისმიერი სხვა მწვანეთა ხეივანთან შედარებით.

ევკალიპტების მწვანე ხეივანში ხშირად მოსეირნე ფილტვების ანთებით დაავადებული ადამიანები თითქმის იკურნება ამ სენისაგან, რადგან ავადმყოფობის გამომწვევი კოკები ფიტონციდურ გარემოში იღუპებიან. ზოგიერთი მეცნიერის კატეგორიული მტკიცებით, ევკალიპტის ფიტონციდებით ტუბერკულიოზი უფრო დამაჯერებლად იკურნება, ვიდრე ცნობილი ანტისეპტიკური პრეპარატების პენიცილიუმისა და სტრეპტომიცინის მოქმედებით.

როგორც ავსტრალიაში, ასევე სხვა ქვეყნებში მიზნობრივად აშენებენ მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებს ევკალიპტის ტყის განაპირას, რადგან მის ტყეში ისინი დაცულია სიცხისაგან და სისხლისმწოველი მწერებისაგან.

## ევკალიპტების ნარგაობა საუკეთესო ქარსაფარია

ძლიერი ქარების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შორის ევკალიპტების ნარგაობის ქარსაფარად გამოყენება მსოფლიოში აღიარებულია. განსაკუთრებით ეფექტურია იგი ოკეანეებისა და ზღვების სანაპიროებზე განლაგებული ქვეყნებისათვის, სადაც მძლავრ ქარებს ხშირად დამანგრეველი შედეგები მოჰყვება.

ეს ყოველმხრივ ძლიერი, მაღალი ტანის მერქნიანი მცენარე თავისი მძლავრი ფესვთა სისტემით, რომელიც ღრმად ვრცელდება ნიადაგში, უძლებს ძლიერი ქარების ხანგრძლივ დარტყმებს. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, გაბატონებული ქარების სიხშირის, სიმძლავრისა და მიმართულების გათვალისწინებით შენდება ევკალიპტების მრავალმწკრივიანი (4, 6, 8 , 10) და მრავალსაფეხურიანი ქარსაფარი ზოლები ან მისი ტყეები, რომელთა სიმაღლე ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებისა და მცენარეთა სახეობების მიხედვით 25-30 მეტრამდე ხოლო ზოგან 80 მ სიმაღლესაც აღწევს, ასეთი მცენარეული ევკალიპტების მწვანე ქარსაცავი კედელი მნიშვნელოვანწილად ასუსტებს სტიქიური ქარების მიმართულ-მოწესრიგებულ ქროლვას და ამცირებს მის მიერ მიყენებულ ზარალს სახალხო მეურნეობისათვის.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის შავი ზღვის სანაპირო ქალაქები: ბათუმი, ფოთი, ქობულეთი, გურიის საკურორტო ზონა, ანაკლია და სხვა დასახლებული პუნქტები ხშირად განიცდიან ზღვიდან მონაბერი ციკლონების არასასურველ ზემოქმედებას, რომელიც სხვადასხვა სიდიდის ზარალით მთავრდება, ყოფილა ადამიანური მსხვერპლიც. ეს გარემოება აუცილებელს ხდის უპირველეს ყოვლისა ზემოხსენებული ქალაქების, დასახლებული პუნქტების და კურორტების დასაცავად შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმიდან ანაკლიამდე გაშენდეს ევკალიპტების რამდენიმე მწკრივიანი და საფეხურიანი ქარსაფრები, რაც მნიშვნელოვანწილად შეასუსტებს სტიქიის სიმძლავრეს და ატმოსფეროს გაამდიდრებს ჟანგბადითა და სხვა სასარგებლო აირებით.

ევკალიპტები ყველაზე სწრაფმზარდი მერქნიანი მცენარეა

დარგვიდან მე-5, მე-6 წელს ევკალიპტების სიმაღლე 7-8 მეტრს აღწევს, მსოფლიოში მერქნიან მცენარეებს შორის ყველაზე სწრაფმზარდია. იგი ჩვენში მთელი წლის განმავლობაში მეტ-ნაკლები ინტენსივობით იზრდება. ევკალიპტის ხელოვნური ტყე 18-20 წლის განმავლობაში ჰექტარზე გადაანგარიშებით იძლევა 1000 კუბ. მეტრ დასახერხ მორებს. ასეთივე ოდენობის ხე-ტყის მისაღებად მუხასა და წაბლს 100 წელი სჭირდება. ევკალიპტის მერქანს სიმკვრივის, სიმტკიცისა და გამძლეობის გამო დიდი გამოყენება აქვს, როგორც სამშენებლო მასალას. დახერხილი მასალის გაშალაშინებისა და გაპრიალების შემდეგ, წაბლისა და მუხის მსგავსად, მისი ზედაპირი მოწითალო ფერის ხაზებითა და ნახატებით ირთვება, ამიტომ მასზე დიდი მოთხოვნილებაა ძვირფასი ავეჯის წარმოებაში, ასევე მისგან მზადდება მრავალი სახის სამშენებლო მასალა. ევკალიპტის მერქნისაგან მზადდება მსოფლიოში მაღალი ხარისხისა და ღირებულების ქაღალდები, რომელიც გამოიყენება ფულის ქაღალდის კუპიურების დასამზადებლად.

უკანასკნელ 40-50 წწ. განმავლობაში ევკალიპტები ახალ ქვეყნებში გახდა ეკონომიური სიძლიერის წყარო. ისინი არა მარტო იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნებს მისი ძვირფასი მერქნისაგან და ეთეროვანი ზეთებისაგან, არამედ გარკვეული რაოდენობით საზღვარგარეთაც გააქვთ.

ევკალიპტებზე მეცნიერული მუშაობის შედეგები

1970 წლიდან მე დავიწყე მუშაობა სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების საცდელ სადგურში უმცროს მეცნიერ-მუშაკად, მაშინ ახალი დამთავრებული მქონდა ასპირანტურა ლენინგრადის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტში, სადაც წარვადგინე საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „კოლხეთის ახალდაშრობილი ნიადაგების ათვისება ერთწლიანი მარცვლეული და პარკოსანი კულტურებით“.

სოხუმის საცდელ სადგურში, მისმა დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ევგენ ჩიქვანაიამ მაშინათვე შემომთავაზა ახალი საკვლევი თემა - დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში 1949-50 და 1953-54 წწ. „დაბალი კრიტიკული ყინვებისაგან გადარჩენილი ევკალიპტების სახეობრივი შემადგენლობის შესწავლა და მათი წარმოებაში დანერგვის შესაძლებლობა.“

უპირველეს ყოვლისა თემის შესწავლა დავიწყე მასზე არსებული ლიტერატურული წყაროების გაცნობით, მთელს მაშინდელ საბჭოთა კავშირში. ამ მიზნით მივლინებული ვიყავი თბილისისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებსა და მოსკოვისა და ლენინგრადის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში. ორი წლის განმავლობაში დავამუშავე, როგორც სამამულო ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში უცხოური ლიტერატურული წყაროები. ამ სამუშაოების პარალელურად სამი წლის განმავლობაში ექსპედიციებს ვაწყობდი აფხაზეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს და აჭარის რაიონებში, ვსწავლობდი იმ სახეობებს, რომელიც გადაურჩა ზემოთ დასახელებულ წლებში დაბალ ყინვებს, არ დარცენილა არც ერთი უბანი ხსენებული რაიონებისა , სადაც ჩვენი ექსპედიცია ფეხით არ მისულიყოს და არ გვენახა თუნდაც ერთეული ძირებიც კი. თავიდანვე ჩემი ყურადღება მიიქცია ორმა, კარგად გამოკვეთილმა სახეობებმა -- ეს იყო მაღალი 15-30 მეტრის სიმაღლის თეთრი ქათქათა შტამბის მქონე, ულამაზესი ხე-მცენარე, ტირიფისებური ანუ ევკალიპტ ვიმინალისი (E. Viminalisi) და ნაცრისფერი, შედარებით დაბალმოზარდი ევკალიპტ ცინერეა (E. cinerea ) . შემდეგში მთელი ჩემი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობა წარიმართა ამ ორი სახეობის გარშემო. ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილი იყო, რომ დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში 1934 წლიდან 1950 წლამდე დარგული და გახარებული იყო 50 მილიონი ძირი ევკალიპტები, გარდა ზემოხსენებული 2 სახეობისა დარგული და გახარებული იქნა ათამდე სხვადასხვა სახეობები, რომლებიც დაბალი ყინვების დროს უმრავლესობა დაიღუპა. (აჭარის ტერიტორიაზე არ აღგვირიცხავს. ს.ზ.)

1975 წლიდან ტრესტი საქეთერზეთი მთლიანად გადავიდა მოსკოვის „საკავშირო ეთერზეთმრეწვის“ გაერთიანებაში და მათ შორის ჩვენი - სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების სამეცნიერო ორგანიზაციაც. რა თქმა უნდა, რომელიმე პერსპექტიული საკითხის დამუშავებისათვის ფინანსების მხრივ არანაირი დაბრკოლება არ გვქონდა, ამიტომ ევკალიპტებზეც გაიშალა ფართომასშტაბიანი კვლევა. ამასთან ერთად, მოსკოვმა მოგვცა დავალება - უახლოეს წლებში დაგვემუშავებინა ევკალიპტის პერსპექტიული, მაღალზეთოვანი სახეობებიდან ამონაყარი კულტურის გაშენების მეცნიერულად

დამუშავებული მეთოდები, რითაც მიღწეული იქნებოდა მწვანე მასის მაღალი მოსავლის მიღება და მისგან ევკალიპტის ძვირფასი ეთეროვანი ზეთის წარმოება. ამით უნდა დაკმაყოფილებულიყო მაშინდელი საბჭოთა კავშირის მზარდი მოთხოვნილებები ევკალიპტის ეთეროვან ზეთებზე.

As we have seen, the language barrier is one of the most problematic issues of International communication. The significance of communication and knowing languages become the main agenda in the 21st century. Obviously, learning a language is a complicated process which requires lots of time and effort. The process is getting more and more difficult when it comes to slangs, idioms, jargons which every language has in common.

The Language barrier occurs between different cultures and languages, as well as, within the same culture. The latter happens when there are many dialects spoken in the same country like India and china for example. In this case, the people from one specific part of the country find it almost impossible to understand those who come from a different part of the same country.

I can take an example of my country, Georgia, which is a small republic in the Caucasus region with the population of only 4 million people. The West part of Georgia is absolutely different from the East in many ways. People in the West are more conservative, traditional, strictly follow the rules left from the ancient ancestors as distinct from the people living in the East where people tend to be comparatively open-minded and modern. Georgia has many dialects, in the West we have "Megrelian" language with its specific dialect which is absolutely different from the official language of the country-Georgian. In General, the people from the capital do not understand what the people of the West are talking about. It is also worth noting that Georgian language, spoken by a Megrelian person, is quite different, in terms of accent, from the one living in the capital.

The above mentioned case is an example of a language barrier too, occurring within the same culture. We can imagine how strong the language barrier is in big countries like: The United States of America, Great Britain, Australia, China etc.

According to psychologists and anthropologists, the best way to overcome a language barrier is to increase the general knowledge and awareness of all the people of the specific culture we are going to communicate with. Avoid using slangs and jargons and speak slowly and clearly. Technological development might be a great help too, we can download special software to both facilitate our learning and increase out speed and understanding.

From my point of view, we all represent a small words in a big universe and we are all equal, absolutely unique creatures. Communication obviously increases our individual development as along as we respect the origins of one another.

## References:


1. Dictionary, C.E., 1991. Glasgow. UK: Harper Collins Publishers.
2. Hall, E.T., 1976. Beyond Culture, New York (Anchor Press) 1976.
3. Holliday, A., Hyde, M. and Kullman, J., 2010. Intercultural communication: An advanced resource book for students. Routledge.
4. Kim, E.E.K. and Mattila, A.S., 2011. The Impact of language barrier & cultural differences on restaurant experiences: A grounded theory approach.
5. Martin, J.N. and Nakayama, T.K., 2010. Intercultural communication in contexts.
6. Moll, L. C., & Gonzalez, N. (1994). Lessons from research with language minority students. Journal of Reading Behavior, 26(4), 439-461.
7. Schneider, S.C. and Barsoux, J.L., 2003. Managing across cultures. Pearson Education.
8. Tsuda, Y. (1999). The hegemony of English and strategies for linguistic pluralism: Proposing the ecology of language paradigm. In M. Tehranian (Ed.), Worlds apart: Human security and global governance (pp. 153–167). New York: Tauris.


## Internet sources:


9. http://sydney.edu.au/business/__data/assets/pdf_file/0017/90350/Study_intercultural_comms1.pdf
10. https://en.wikipedia.org/wiki/Jargon
11. http://www.language-translation-help.com/british-english.html

12. http://www.santafe.edu/media/workingpapers/08-12047.pdf
13. http://www.business2community.com/travel-leisure/15-tips-to-overcome-language-barriers-0118452#avixYLlIfbQaHTuA.97
14. https://www.communicaid.com/cross-cultural-training/blog/high-and-low-context/
15. https://www.communicaid.com/cross-cultural-training/blog/chronemics-concept-of-time/

# ენობრივი ბარიერის პრობლემა საერთაშორისო კომუნიკაციაში

ეკატერინე ლომია
პორტოს (პორტუგალია) უნივერსიტეტის მაგისტრი
ჰუმანიტარული ფაკულტეტი, სპეციალობა: ისტორია,
საერთაშორისო ურთიერთობები და კოოპერაცია
საკონტაქტო ინფორმაცია: +351 935 110 118
eka_lomia@yahoo.com

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია კომუნიკაციის ძირითადი როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო კულტურათაშორის ურთიერთობებში. კონკრეტულად, სტატია ეხება ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას აღნიშნულ სფეროში - ენობრივ ბარიერს.

ჩვენ ვცხოვრობთ ინტერკულტურულ საზოგადოებაში, რაც გამოწვეულია გლობალიზაციისმიერ. ვინაიდან, გლობალიზაციის ეპოქაში თანამედროვე მსოფლიო უფრო და უფრო დაკავშირებული ხდება ერთმანეთთან, საერთაშორისო კულტურათაშორისი ურთიერთობების როლი დიდად იზრდება. საზოგადოება აქტიურად ხდება ჩაფლული სიტუაციებში, სადაც საერთაშორისო უერთიერთობები მზარდად მოთხოვნადია. განსხვავებული ერის, კულტურისა თუ სოციალური ფენის ადამიანების ურთიერთობა ერთმანეთთან იწვევს საერთაშორისო კულტურათაშორისი უერთიერთობების ჩამოყალიბებას. სხვა და სხვა წარმომავლობის, ეთნიკურობის, რელიგიის, განათლების მქონე ადამინები აზიარებენ ინფორმაციებს, ცვლიან იდეებს ქმნიან ურთიერთობებს, რომლებიც დამახასიათებელია მათსავე კონრეტული კულტურისა თუ ეროვნებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენობრივი ბარიერი არის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა საერთაშორისო კულტურათაშორის ურთიერთობებში. ვინაიდან ენა თავისთავად წარმოადგენს წარმატებული კომუნიკიციის მთავარ საშენ მასალას. ენობრივ ბარიერთან დაკავშირებული პრობლემა უფრო და უფრო აქტუალური ხდება დღესდღეობით.

სტატიის მთავარი დანიშნულებაა ხაზი გაესვას აღნიშნული პრობლემის ძირითად გამოწვევებსა და პერსპექტივებს, ასევე, შემუშევებულ იქნეს პრობლემის გადაჭრის გზები და მეთოდები.



რუბრიკა მიჰყავს ომარ შუდრას

# კორპორაციული მართვის ხარვეზები ქართულ კანონმდებლობაში

მაია ომიაძე
გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის იურისტი
ელ.ფოსტა: maiaomiadze@gmail.com
ტელ: 577 41 55 91

კორპორაციული მართვის მრავალი დეფინიცია არსებობს, თუმცა ყველა დეფინიციისათვის საერთოა ის, რომ კორპორაციული მართვა წარმოადგენს კორპორაციების ხელმძღვანელობისა და კონტროლის სისტემას. კორპორაციული მართვის ძირითად ორგანოს წარმოადგენს კორპორაციების მმართველი ორგანოების კონტროლის უზრუნველყოფა, რათა მათ ბოროტად არ გამოიყენონ თანამდებობრივი მდგომარეობა და სამართავად მინდობილი ქონების განკარგვის უფლებამოსილება. რათა კორპორაციას სწორი მართვის სტარტეგია ჰქონდეს, აუცილებელია შიდა და გარე კონტროლის კარგი მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევს საწარმოს დიდი უპირატესობით ისარგებლოს საერთაშორისო კონკურენციაში და მიიზიდოს ინვესტორები.

თავიდან, რომ ავიცილოთ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული პრობლემები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კორპორაციების მმართველი ორგანოების მონიტორინგი. შესაბამისად ძლიერი შიდა და გარე კონტროლის არსებობა აღკვეთს წარმოშობილ სიძნელეებს და გზას გაუკვალავს სწორ მენეჯმენტს.

რაც შეეხება შიდა კონტროლს (Insider Control), მას განეკუთვნება კონტროლი აქციონერების მხრიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელია აქციონერთა უფლებების გაზრდა, განსაკუთრებით კი, კორპორაციების მენეჯერული ორგანოების მიმართ. შიდა კორპორაციულ მართვას ახორციელებენ შიდა კორპორაციული ორგანოები, როგორიცაა გამგეობა და სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანიის შიდა კონტროლის გაძლიერება უკავშირდება ძლიერი შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც ახორციელებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი და სხვა პერსონალი. მისი დანიშნულებაა ოპერაციების ეფექტურობის, ფინანსური ანგარიშგების, საიმედოობის, კანონების და წესების სათანადო შესაბამისობის უზრუნველყოფა. მარტო დებულებების, წესებისა და ინსტრუქციების მიღება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ კომპანია მუშაობდეს გამართულად, თუ არ ხორციელდება ეფექტური კონტროლი მის დაცვაზე.

გარე კონტროლის უმნიშვნელოვანეს ელემენტს კი წარმოადგენს კონტროლი ბირჟების, ბანკების და მასმედიის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ მსხვილი კორპორაციები მუდმივად იმყოფებიან მედიისა და პრესის მეთვალყურეობის ქვეშ. მათი მეშვეობით გამოქვეყნებული ინფორმაციები ხშირ შემთხვევაში, დიდ გავლენას ახდენენ საწარმოთა აქციების კურსზე. ასეთი ფაქტორების გათვალისწინებით კი, რომლებიც პერმანენტულად ზემოქმედებას ახდენენ კორპორაციის შიდა სამზარეულოზე, რთულია ეკონომიკური წარმატების მიღწევა.

კორპორაციული მართვის ინსტიტუტი თანამედროვე საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ინსტიტუტია. იგი არ წარმოადგენს საკანონმდებლო ცნებას, ტერმინი კორპორაციული მართვა (Corporate Governance) ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებასა და თეორიაში. მასში იგულისხმება კანონით გათვალისწინებულ ნორმათა ერთობლიობა, აგრეთვე ბირჟების, საზედამხედველო

უწყებების, ფასიანი ქაღალდების და ბირჟების კომიტეტი, ცალკეულ საზოგადოებათა წესდებებში დადგენილი წესები, რომლებიც შეეხება პასუხისმგებელ, წარმატებაზე ორიენტირებულ, გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში ფასეულობათა შექმნასა და წარმატებაზე ორიენტირებულ ხელმძღვანელობასა და კონტროლს ამ საწარმოებზე.

თანამედროვე კორპორაციების მართვის ორგანოთა სისტემა, მათი უფლებამოსილებები, კომპეტენციათა გამიჯვნა ცალკეულ ორგანოებს შორის, პასუხისმგებლობის გადანაწილება თანამდებობის პირებს შორის და მასთან დაკავშირებული სხვა მრავალი საკითხი კორპორაციული მართვის თაობაზე არსებული საერთაშორისო დისკუსიების მუდმივი თემებია.

კორპორაციული მართვის სისტემაში ცენტრალურ როლს ასრულებს დირექტორთა საბჭო. ევროპის მასშტაბით შემუშავებულია საბჭოს ორი საპირისპირო მოდელი: ერთსაფეხურიანი საბჭო (უნიტარული სისტემა) და ორსაფეხურიანი საბჭო (დუალისტური სისტემა). ევროპაში არსებული ტენდენცია მიმართულია მოქნილობის ზრდისაკენ, რაც კომპანიებს საშუალებას აძლევს გააკეთონ არჩევანი სხვადასხვა სისტემას შორის და მოახდინონ მათი ადაპტაცია რთული ბიზნესგარემოს მიმართ.

ერთსაფეხურიან სისტემას, ხშირად მოიხსენიებენ უნიტარულ ან მონისტურ სისტემად. ამ სისტემის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ხელმძღვანელობისა და კონტროლის ფუნქციები თავმოყრილია ერთი ორგანოს ხელში. ეს კი გულისხმობს შემდეგს, რომ კორპორაციული მართვის მთავარი, ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ელემენტი, ხელმძღვანელობა და კონტროლი განხორციელებულია ერთი ორგანოს - დირექტორთა საბჭოს მიერ.

ერთსაფეხურიანი სისტემის დროს დირექტორთა საბჭოს ისეთივე ფუნქციები აქვს, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს. ტენდენცია, რომ აქციონერთა საერთო კრებასა და აღმასრულებელ ორგანოს შორის შუალედური რგოლი ჩამოყალიბდეს, სრულიად ლოგიკურია. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კომპეტენციის განსაზღვრა, როგორც წესი დამოკიდებულია წესდებებზე. სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობისა და გარკვეულობისათვის კი სასურველია, რომ კომპეტენციათა გამიჯვნა კანონით იყოს განსაზღვრული.

უდავოა, რომ ორივე ძირითად მოდელს გააჩნია როგორც დადებითი, ისე  უარყოფითი მხარეები. ერთსაფეხურიანი სისტემის ნაკლად ასახელებენ ნეიტრალურობის შენარჩუნების პრობლემას მმართველი გუნდის მიერ ერთდროულად ზედამხედველობის და მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელების გამო, ხოლო რაც შეეხება მართვის ორსაფეხურიან სისტემას, აქ ხარვეზად მოიაზრება სამეთვალყურეო საბჭოს არაეფექტური საზედამხედველო ფუნქცია კომპანიის მართვის საქმეში ნაკლებად ჩახედულობის გამო, რითაც შეიძლება ისარგებლონ არაკეთილსინდისიერმა დირექტორებმა და არ მიაწოდონ საბჭოს სწორი ინფორმაცია.

2008 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ლიბერალიზაციას და მნიშვნელოვნად შეცვალა სამართლებრივ სივრცეში მოქმედი სააქციო საზოგადოებების მმართველობითი ორგანოების არსებული სტრუქტურა და შემოიტანა სრულიად ახალი მოდელი. კერძოდ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოებაში სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს ანგარიშვალდებულ საწარმოს „ფასიანი ქაღალდები ბაზრის შესახებ" კანონის შესაბამისად, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ან ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს. სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისაგან, ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო.

აღნიშნულმა ცვლილებებმა ერთსაფეხურიანი მართვის სისტემის (ბორდი) დაკანონებით არა თუ შეცვალა ქართული კორპორაცული მართვის მოდელი, არამედ მრავალი პრობლემური საკითხიც წარმოშვა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მონისტური სისტემის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ბორდი წარმოადგენს ერთიან ორგანოს, მასში რეალურად არსებობს ფუნქციათა გადანაწილება მის წევრებს შორის, სადაც კომპანიის მართვა ხორციელდება აღმასრულებელი დირექტორების მიერ, ხოლო კონტროლის ფუნქცია მინდობილია მმართველი გუნდის არააღმასრულებელ წევრებზე. ამ მხრივ გაკეთებული კომენტარი კანონში, რომ სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში კანონით დადგენილი მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები წესდებით გადანაწილდება საწარმოს მართვის სხვა ორ-

განოზე, არ არის საუკეთესო გამოსავალი და ვერ უპასუხებს ყველა იმ კითხვას, რაც ასეთმა ფუნქციათა გადანაწილებამ შეიძლება წარმოშვას.

ორსაფეხურიანი (დუალისტური) მართვის სისტემისათვის, დამახასიათებელია ხელმძღვანელობისა და კონტროლის ორგანოთა მკვეთრი გამიჯვნა. ამავე დროს ამ ორგანოებს შორის არ არსებობს იერარქიული დამოკიდებულება, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი თანაბარი დონის ორგანოები არიან. მოსამართლეთა ჩატარებული კვლევის თანახმად, მრავალი კითხვა დაისვა კონტროლისა და მართვის განცალკევების მნიშვნელობის შესახებ. აღინიშნა, რომ კარგი კორპორაციული პრაქტიკის თვალსაზრისით აუცილებელია გაიყოს მმართველობა და კონტროლი. ყველაზე ხშირად პრობლემა ასოცირდებოდა ერთ პირთან, ზედამხედველობისა და აღმასრულებელი ფუნქციის გამო. ამიტომ მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭოს სიძლიერე, რათა არ მოხდეს გადახრები დირექტორატის მხრიდან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ჩარევა დირექტორატის საქმეებში არის მავნე ფაქტორი, რადგან ამ დროს დირექტორატი კარგავს დამოუკიდებლობას და ზღუდავს გადაწყვეტილების ადეკვატურად მიღების შესაძლებლობას.

ჩვენ განვიხილეთ კორპორაციული მართვის ორი განსხვავებული: მონისტური და დუალისტური მოდელი. როგორც აღინიშნა ერთსაფეხურიანი სისტემისათვის დამახასიათებელია მართვის და კონტროლის ფუნქციების თავმოყრა ერთი ორგანოს ხელში, ხოლო ორსაფეხურიანი სისტემა ამ ფუნქციებს შორის მკვეთრ გამიჯვნას აკეთებს. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ქართული კანონმდებლობის მიერ შექმნილი მოდელი ცალსახად არ განეკუთვნება არც მონისტურს და არც დუალისტურს. ცვლილების განხორციელებამდე კანონმდებლობით დადგენილი იყო კორპორაციული მართვის ორსაფეხურიანი სისტემა, რაც კორპორაციებისათვის სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის აუცილებლობას ითვალისწინებდა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კორპორაციული მართვის იდეალური მოდელი არ არსებობს. შესაძლებელია შევარჩიოთ სისტემა, რომელიც მეტ-ნაკლებად გამართლებულია კონკრეტულ გარემოსა და პირობებში და მაღალი ეფექტურობით ხასიათდება.

კარგი მმართველობა ნიშნავს, რომ რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით, არსებული ინსტიტუტებისა და მიმდინარე პროცესების მეშვეობით ვიღებთ შედეგს, რომელიც პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს. ანგარიშვალდებულება ეფექტური მმართველობის უმთავრესი მოთხოვნაა. არამარტო სახელისუფლებო ინსტიტუტები,არამედ კერძო სექტორიცა და სამოქალაქო საზოგადოებაც უნდა იყვნენ ანგარიშვალდებული ხალხისა და მათთან ინსტიტუციონალურად დაკავშირებული ადამიანების წინაშე.

საჭიროა მოხდეს ინტერესთა კონფლიქტის დარეგულირება შიდა დებულებების მეშვეობით და საზოგადოებისათვის წლიური ანგარიშის წარდგენა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საჭიროებს დახვეწას კორპორაციული მართვის კუთხით, კერძოდ, უნდა მოხდეს მარეგულირებელი ნორმების გაძლიერება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა ხდებოდეს დადგენილი ნორმების აღსრულება. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სასურველია სახელმწიფომაც დააფიქსიროს თავისი ნება კორპორაციული პრაქტიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და დანერგოს უფრო მოქნილი, ეფექტური მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც შეიძლება კომპანიებისათვის კორპორაციული მართვის მინიმალურ სტანდარტებს მაინც განსაზღვრავდეს.

მოსამართლეთა რეკომენდაციებში მკვეთრადაა ნათქვამი, რომ კარგი კორპორაციული მართვის თვალსაზრისით აუცილებელია გაიყოს მმართველობა და კონტროლი. საერთაშორისო თვალსაზრისით, კორპორაციული მართვის სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არააღმასრულებელ წევრთა უმრავლესობისაგან, რომლებიც საბჭოს შემატებენ გარე პერსპექტივას და გადაწყვეტილების მიუკერძოებლობას, დამატებით გამოცდილებას, ცოდნასა და სასარგებლო კონტაქტებს.

დღევანდელი რეალობიდან ჩანს, რომ საქართველოში არათუ კორპორაციული,არამედ ზოგადად სამართლებრივ-ეკონომიკური კულტურა განვითარების ეტაპზეა. შესაბამისად უპრიანი იქნებოდა, სახელმწიფოს მხრიდან სამართლის გზით მეტი რეგულირება. კანონმდებლობის დასახვეწად აგრეთვე საინტერესო იქნება ევროპის კავშირის საკორპორაციო სამართლებრივი დირექტივების გათვალისწინება, რომელიც შესაძლებელია საფუძველი გახდეს ქართული სამართლის ახალი კოდიფიკაციისათვის.

არსებული რეალობიდან გამომდინარე კარგი მმართველობა არის იდეალი, რომლის ერთბაშად მიღწევა ძნელია. ძალზე ცოტა ქვეყანა და საზოგადოება თუ მიუახლოვდა ერთბაშად ეფექტურ მმართველობას. თუმცა, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის, საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები, რათა ეს იდეალი რეალობად იქცეს.

რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს,ომარ შუდრას



# აკადემიკოსი ილია ვეკუა

ილია ვეკუასთან 70-იან წლებში მოსკოვის საავადმყოფოში სანახავად ნაცნობი აკადემიკოსები მივიდნენ. მას ყელის არეში ოპერაცია ელოდებოდა, ის კი ხუმრობდა და იცინოდა მეგობრებთან ერთად. ცნობილი აკადემიკოსი ელფთერ ანდრონიკაშვილი გაოცებული იყო: "ხვალ კაცს ყელი უნდა გამოსჭრან და ის კი ..." ილიას მკურნალი ექიმიც გაკვირვებული იყო: "მე ჯერ არ შემხვედრია ავადმყოფი, თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ არ ეკითხოსო".

ოპერაციის მეორე დღესვე ვეკუამ საწერ-კალამი მოითხოვა და შეუდგა მუშაობას. ამ მონოგრაფიამ - "გარსთა თეორიის სხვადასხვა ვარიანტის აგების ზოგიერთი ზოგადი მეთოდებისთვის", მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის მერე მიიღო სსრკ სახელმწიფო პრემია.

ბოლო რამდენიმე წელს ილიას ლაპარაკი უჭირდა – ჩურჩულით საუბრობდა. სიცოცხლის ბოლო თვეებში კი არც შინიდან გამოდიოდა და არც არავის იღებდა ...

ილია ნესტორის ძე ვეკუა დაიბადა 1907 წლის 23 აპრილს, სოფელ შეშელეთში, გალის რაიონში. ილია ვეკუამ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1925 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მიუხედავად იმისა, რომ მას ისტორიკოსობა სურდა ...

1930 წელს ილიამ წარმატებით დაამთავრა ფიზიკა – მათემატიკის ფაკულტეტი და რეკომენდაცია მიეცა ლენინგრადის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩარიცხვისთვის. სწორედ აქ გაიცნო ნიკო მუსხელიშვილმა მისი საუკეთესო მოსწავლე ილია ვეკუა ... პროფესორი ნ. მუსხელიშვილი პირველად ილიათი დაინტერესდა მაშინ, როცა დიდი მეცნიერი ა. კრილოვი ვეკუაზე ლაპარაკობდა, ხოლო ვეკუას მოხსენების მოსმენის შემდეგ თავად დარწმუნდა ახალგაზრდა ასპირანტის უნიკალურ ნიჭსა და შესაძლებლობაში. მათი მეგობრობა კი სწორედ ამ სემინარის შემდეგ დაიწყო. ნ. მუსხელიშვილი იხსენებდა, რომ მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ისინი მალე დამეგობრდნენ. ის წერდა: "ილია ვეკუას ლექციები გამოირჩეოდა ღრმა, ფართო ცოდნით, ჩამოყალიბებული ლოგიკური აზროვნებით, გამორჩეული ნიჭით, რომლითაც ის გამოჰყოფდა მთავარ მათემატიკურ აზრს თანმიმდევრული წყობით. მისი მაღალი პროფესიონალიზმის შედეგი იყო ის, რომ მსმენელებს ზუსტად გადასცემდა საგნის მთელ სიღრმესა და სილამაზეს" ...

1937 წელს ილია ვეკუამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "დრეკადი ტალღების გავრცელება უსასრულო ფენაში". იმავე წელს აირჩიეს დოცენტად. 1939 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1940 წელს იგი უკვე პროფესორია. 1940-1944 წლებში ილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანია.

1944 წელს ილია ვეკუა აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს – აკადემიკოსად.

1944-1947 წლებში ილია იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში, 1947-51 წლებში – თსუ-ის უმაღ-

ფლესი მათემატიკის კათედრის გამგე. 1950 წელს მან მიიღო სსრკ სახელმწიფო, ხოლო 1963 წელს ლენინური პრემია.

1951 წლიდან მოყოლებული მან თოთხმეტი წელი გაატარა მოსკოვსა და ციმბირში, როცა ის ცნობილმა მეცნიერმა სერგი ხრისტიანოვიჩმა მიიწვია ცენტრალური აეროდინამიკის ინსტიტუტში სამუშაოდ. მოსკოვში მუშაობის პერიოდში მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. 1952 წელს იგი ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის დიფერენციალური განტოლებების კათედრის პროფესორად აირჩიეს, სადაც 1959 წლამდე იმუშავა. 1959 წელს კი – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

1958 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და ახლად დაარსებული ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველ რექტორად. იყო რამდენიმე სოლიდური ჟურნალის რედკოლეგიის წევრი.

1964 წელს ილია ვეკუა თბილისში დაბრუნდა. მას პატივი ხვდა წილად, ორჯერ ყოფილიყო უნივერსიტეტის რექტორი – 1953 წლის ივლისიდან სექტემბრამდე და 1966 წლის აპრილიდან 1972 წლამდე. უნივერსიტეტში მან დააარსა რამდენიმე ახალი ფაკულტეტი, კათედრა, კაბინეტი, 1966 წელს უნივერსიტეტთან შეიქმნა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური ლაბორატორია, რომელიც თანამედროვე ტექნიკური მოწყობილებებით აღიჭურვა. მის ბაზაზე მოგვიანებით ჩამოყალიბდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი იყო ვეკუა. მისი გარდაცვალების შემდეგ ინსტიტუტს ილია ვეკუას სახელი მიენიჭა.

1969 წელს, როგორც გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ილია ნესტორის ძე ვეკუას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. დაჯილდოვებული იყო მრავალი ორდენითა და მედლებით. 1972 წელს ვეკუა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს. ამ პოსტზე მან თავისი მასწავლებელი ნიკო მუსხელიშვილი შეცვალა.



სიცოცხლის ბოლო თვეებში

ილია ვეკუა გარდაიცვალა 1977 წლის 2 დეკემბერს. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ომარ შუდრა
ნანა ლომიძე

უკვე გამოსაცემად მზად არის ცნობილი მკვლევარის, ეკონომიკის დოქტორის ნასყიდა დარბუაშვილის წიგნი „ეკონომიკა და აზროვნება“. წიგნი საკმაოდ მოცულობითია (600 გვერდამდე), A5 ფორმატის. ვფიქრობთ, აღნიშნული წიგნი საინტერესო იქნება ეკონომისტთა საზოგადოებისათვის, პირველ ყოვლისა ეკონომიკური თეორიით დაინტერესებულთათვის. ამიტომაც ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ახალი წიგნის სარჩევს.

სარჩევი


ავტორისაგან . . . . . 9
შესავალი. . . . . 15

ნაწილი I. ეკონომიკის და კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები . . . . . 31
თავი I. საზოგადოების განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა . . . . . 33
1.1. საზოგადოების ჩამოყალიბება და არსებობისათვის ბრძოლა . . . . . 33
1.2. ტექნიკური პროგრესი და მისი ზემოქმედება საზოგადოებრივ განვითარებაზე . . . . . 46
1.3. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები და კაცობრიობის მომავალი . . . . . 60
1.4. ადამიანის გონების ინტერპრეტირებული კვლევა და „ციფრულ აზროვნებასთან” შედარებითი ანალიზი . . . . . 63
1.5. ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური ასპექტები . . . . . 70
1.6. ფულის და ფულადი სისტემის წარმოშობის და განვითარების ისტორია და მომავალი . . . . . 73
1.6.1. ფულის წარმოშობის წინა პირობები . . . . . 73
1.6.2. ფულის წარმოშობა . . . . . 76
1.6.3. ქაღალდის ფულის წარმოშობა . . . . . 79
1.6.4. კრედიტების, უნაღდო ანგარიშსწორების და ბანკების წარმოშობა . . . . . 82
1.6.5. ოქროს სტანდარტზე უარის თქმა . . . . . 86
1.6.6. თანამედროვე ფულადი სისტემები, ელექტრონული ფული . . . . . 89
1.6.7. მომავლის ტექნოლოგიები . . . . . 91

თავი II. შეცდომები ეკონომიკურ თეორიებში და ეკონომიკურ მოდელებში . . . . . 94
2.1. შეცდომები ადამს სმითის თეორიებში და საბაზრო ეკონომიკის კლასიკურ მოდელში, უხილავი ხელი “გუდავს” ეკონომიკას. . . . . . 94
2.2. შეცდომები კარლ მარქსის თეორიებში, შრომა და შრომის ექსპლოატაცია, რა ვერ გათვალა კარლ მარქსმა. . . . . . 121
2.3. სოციალიზმი და გეგმიური ეკონომიკა, მითები და რეალობა . . . . . 136
2.4. “ეფექტური მოთხოვნილების ეკონომიკა”, შეცდომები კეინსის თეორიებში . . . . . 255

ნაწილი II ახალი ეკონომიკა . . . . . 171
თავი III. ფული და მონეტარული ეკონომიკა . . . . . 173
3.1. ფულის რაოდენობრივი თეორია და შეცდომები ფიშერის ფორმულაში . . . . . 173
3.2. “ეკონომიკური განვითარების მონეტარული მოდელი” და შეცდომები მილტონ ფრიდმანის კვლევებში . . . . . 184
3.3. ფულის ბრუნვის სიჩქარე და მისი ეკონომიკური მნიშვნელობა, ახალი მიდგომა . . . . . 198
3.4. მონეტარიზაციის დონე და მონეტარიზაციის კოეფიციენტი . . . . . 206
3.5. რეალური ფულის მასა, მისი ეკონომიკური მნიშვნელობა და გამოთვლის მეთოდი . . . . . 220
3.6. ფულის ბრუნვის სიჩქარის პროგნოზირება და წინასწარი გამოთვლა . . . . . 234

3.7. ფულის ფუნქციები და თვისებები. ფულის ახალი ფუნქცია . . . . . . . . . . . . . . 242
3.7.1. ფული როგორც მიმოქცევის საშუალება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 243
3.7.2. არის თუ არა ფული საქონელი? . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 243
3.7.3. ფული როგორც ღირებულების საზომი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 247
3.7.4. ფული როგორც დაგროვების საშუალება . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 259
3.7.5. ფული ახალი ფუნქცია და მისი მნიშვნელობა ეკონომიკაში . . . . . . . . . . . . . 274
3.7.6. ფულის ფუნქციები და თვისებები (დასკვნითი შემაჯამებელი ნაწილი) . . . . . . . . . . . . 282
3.8. ფულის აგრეგატები და მათი მნიშვნელობა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 284
3.9. ფულის მასის დასათვლელი ახალი ფორმულა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 292
3.10. ფულადი სისტემის და ცენტრალური საემისიო ბანკის როლი და ფუნქციები ეკონომიკის განვითარებაში. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 295
3.10.1. ცენტრალური საემისიო ბანკის ძირითადი ფუნქციები . . . . . . . . . . . . . . . . . 299
3.10.2. ცენტრალური საემისიო ბანკის ფუნქციები საფინანსო ბაზრებზე . . . . . . . . . . . . . . . . 306
3.10.3. როგორ ხდება უცხოური ვალუტის ფასის ფორმირების პროცესი? . . . . . . . . . . . . . . . 310
3.10.4. სავალუტო ბაზრზე მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირება და პრევენციული ზომების დაგეგმვა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 318
3.10.5. ექვივალენტობის ეფექტი სავალუტო გაცვლებში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 322
3.10.6. ცენტრალური საემისიო ბანკის მიზნები და ამოცანები სავალუტო ბაზარზე . . . . . . . . 325
3.10.7. ფულის ემისია და ფულის მასის კონტროლი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 329
3.10.8. მთავრობის როლი და მნიშვნელობა ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში . . . . . . . . . . . . 336
3.10.9. ბრუნვაში შესატანი დამატებითი ფულის მასის გამოთვლა და რეგულირება . . . . . . . . . . . 340
3.10.10. კომერციული ბანკების როლი და მნიშვნელობა ეკონომიკაში . . . . . . . . . . . . . . . . 350
3.10.11. ცენტრალური საემისიო ბანკის მთავარი მიზნები და ამოცანები . . . . . . . . . . . . . . 353
3.10.12. ფული და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 356
3.10.13. არსებული "ფულად-საკრედიტო" პოლიტიკა და ცენტრალური საემისიო ბანკის "ფუნქციები" . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 359
3.11. მსოფლიო ფული და პრობლემები საერთაშორისო ანგარიშსწორებაში . . . . . . . . . . . . . 366
3.11.1 საერთაშორისო ანგარიშსწორება ძვირფასი ლითონების და სხვა ქვეყნის ვალუტის გარეშე. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 376
3.12. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და გლობალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა . . . . 383
3.13. მონეტარული ეკონომიკის შედეგების ანალიზი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 388
3.14. ახალი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ახალი შეცდომები "ინფლაციის ტარგეთირება" აწმყო და მომავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 400
3.14.1 ინფლაციის თარგეთირება და მისი შედეგები მსოფლიოში და საქართველოში . . . . . . . 402

თავი IV. გადასახადების როლი და მნიშვნელობა ეკონომიკაში სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 405
4.1. გადასახადების მნიშვნელობა და ფუნქციები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 405
4.2. თანამედროვე გადასახადები და საგადასახადო სისტემა . . . . . . . . . . . . . . . . . . 411
4.3. გადასახადები როგორც სახელმწიფო შემოსავლების წყარო . . . . . . . . . . . . . . . . 414
4.4. გადასახაადები როგორც სტატისტიკური მონაცემების მიღების საშუალება . . . . . . . . . . . . 418
4.5. გადასახადები როგორც ეკონომიკის რეგულირების საშუალება . . . . . . . . . . . . . . . 420
4.6. სახელმწირო ბიუჯეტის მნიშვნელობა, როლი და ადგილი ეკონომიკის და საზოგადოების განვითარებაში. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 421
4.7. ლაფერის მრუდი, რა ვერ გათვალა არტურ ლაფერმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 425
4.8. ეფექტური მიწოდების ეკონომიკა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 428
4.9. გადასახადების მატემატიკა, როგორ დავითვალოთ საგადასახადო ტვირთი და ოპტიმალური გადასახადი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 432

თავი V ახალი მიდგომები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 444
5.1. ახალი საზომი "ადამი" . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 444

5.2. განივთებული ინტელექტი და მისი როლი ეკონომიკაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 452
5.3. განათლება, ინტელექტი და მისი როლი მაკრო და მიკრო ეკონომიკაში . . . . . . . . . . . . . . . 455
5.4. სახმარი ღირებულება, მოთხოვნა, მოთხოვნილება და მათი
ეკონომიკური მნიშვნელობა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 475
5.5. ფასი და საფასური . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 489
5.6. ფულის ეფექტიანობა ეკონომიკაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 493
5.6.1. მოგება, მოგების მნიშვნელობა ეკონომიკაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 494
5.6.2. რატომ "გარბის" ფული ეკონომიკის რეალური სექტორიდან . . . . . . . . . . . . . . . 502
5.6.3. ფულის მულტიპლიკატორული ეფექტი ეკონომიკაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . 514
5.6.4. ფულის კონცენტრირება ანუ "ლაზერის" ეფექტი ეკონომიკაში . . . . . . . . . . . . . . 522
5.7. ფასწარმოქმნა და მომავლის პრობლემები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 530
5.8. მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების კოეფიციენტი და
მოსახლეობის კეთილდღეობის დონე . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 536
5.9. მონოპოლია, მონოპოლიური კაპიტალი, ოლიგარქია და
ეკონომიკური განვითარების პრობლემები . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 554
5.10. საკუთრების ფორმები და მათი ეკონომიკური მნიშვნელობა . . . . . . . . . . . . . . . . 550
5.11. უცხოური ინვისტიციები მითი და რეალობა, შავი ხვრელები ეკონომიკაში . . . . . . . . . . . 555
5.12. განივთებული ინტელექტი და ექსპლოტაცია, შრომის ექსპლოატაციის გარეშე . . . . . . . . 565
5.13. სოციალური საბაზრო ეკონომიკა -არჩევანი ალტერნატივის გარეშე . . . . . . . . . . . . . 572

ბოლო სიტყვა. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 589

გამოყენებული ლიტერატურა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 591

EAST EUROPEAN UNIVERSITY

**აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი**

EAST EUROPEAN UNIVERSITY

№ 623/01-01-29-06 „01" „08" 2016წ.

ჟურნალ "ახალი ეკონომისტის" მთავარ რედაქტორს,

ბატონ ლოიდ ქარჩავას

ბატონო ლოიდ,

გაცნობებთ, რომ თანახმა ვარ ვიყო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის - "ახალი ეკონომისტის" სარედაქციო კომისიის შემადგენლობაში. ამასთან, გიდასტურებთ, რომ ჟურნალი "ახალი ეკონომისტი" აღიარებული იქნება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ, როგორც რეფერირებადი ჟურნალი. ამის საფუძველს გვაძლევს ჟურნალის ფორმატი და მისი სარედაქციო საბჭოს მაღალი პროფესიული შემადგენლობა.

პატივისცემით,

დავით ჩერქეზიშვილი

რექტორი

საქართველო, თბილისი 0178, შატილის ქ. N4, ტელ/ფაქსი: (+995 248 01 41), ელ. ფოსტა: info@eeu.edu.ge,
4. Shatili Str. 0178 Tbilisi, Georgia, Phone/Fax: (+995 248 01 41), E-mail: info@eeu.edu.ge, Web: www.eeu.edu.ge

# ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Acadnusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Acadnusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HB0000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო", ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Acadnusx font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Acadnusx and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8 GEL (Lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5 GEL (Lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB0000000000713602, "Halyk Bank Georgia", central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.economisti.ge; www.loi.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

Smarty
Print Hause

შპს "**Smarty**" გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა



ფართოფორმატიანი ბეჭდვა




ოფსეტური ბეჭდვა




- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწებადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი: ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

**ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!**

მის.: ქ. თბილისი, აგლაძის ქ.83

✆ 551 30 33 20

smartyLTD@gmail.com

smarty.ltd

Smarty

www.smarty.ge